



არსენალი

№ 9 (78). 1 - 14 მაისი, 2009. „კვირის პალიტიკა“-ენალიზიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**გათორება
კლასიდან
პირდაპირ
ჯარში?!**

1425
2009



**ვინ უნდა
უპყრნაღოს
სხინვაღის ოგში
ღაჭრიღებს?**

**აუგ
გამანაღგურაგელს
გაღგოგვსაგს...**

**უკან ღახეულგა
ჯარისკასგა იარაღი
არ უნდა გაღააგღოს**



ვინ უნდა
უეკურნალოს
ცხინვალის
ოგუი დაჭრილ
სამხედროებს

13



რუსული
„ლაშის
მონადირეები“
საქართველოს
საზღვრებთან

34



ამერიკა
გამანადგურებელ-
ბომბდამბენს
გვიგზავნის

20

გურინავი კოსმოდროები

26



ყიულაყ
სპერ
კუნდაისტან
დაგებული
ხაფანგი

37



„კოსმოდროების“
დაღუპვიდან
20 წელი
შესრულდა

43



სარჩები

კალიდოსკოპი

4 ახალი ამბები

საპალაულო სამსახური

6 მეთორმეტე კლასიდან პირდაპირ ჯარში?!

კონსულიზის ზონა

7 ქართულ სოფლებში რუსული იარაღის ყდარენი კვლავ ისმის

საფრთხე

8 დაპირისპირებამ ქაჯასიაში გადმოინაცვლა

პორტრეტი

11 უკანდახეულმა ჯარისკაცმა იარაღი არ უნდა გადააგდოს...

პრობლემა

13 ვინ უნდა უმჯურნალოს ცხინვალის ომში დაჭრილ სამხედროებს

რეპორტი

16 ქაჯასიური მოვლენების მიმოხილვა...

სამხედრო სიგელოვანი

18 რუსული სამხედრო ავიაციის „ახალი“ ვარსკვლავები...

ექსპონატი

20 ამერიკა გამანადგურებელ-ბომბდამშენს გვიგზავნის

თოფიანი კამის იუმორი

23 მონადირეები ხუმრობენ

კოსმოსი

26 მფრინავი კოსმოდრომები

მეზობელი ქარისაო

34 რუსული „ღამის მონადირეები“ საქართველოს საზღვრებთან

მწერა გამოსდილება

37 ყიზლას სპურ უნდა ისთან დაგებული ხაფანგი

სიხლე შეიარაღებუნი

42 ახალი საპატრულო კატარდა

საზღვაო კატასტროფები

43 „კომსომოლცის“ დატუპვიდან 20 წელი შესრულდა

შემთხვევები

46 საზღვაო ავარიები

ახლო წარსული

48 საქართველო და საბჭოთა სამხედრო ავიაცია

კრონოლოგი

52 არსენალვორდი

„არსენალის“ იარაღის მალაზია

53 ДШК ქართულ არმიას უბრუნდება

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის სკეტი

მაის-ივნისში დაგეგმილ საერთაშორისო სამხედრო სწავლებებს „კოოპერატივ ლანსერ/კოოპერატივ დონგ-ბოუს“, რომელიც NATO-ს პროგრამა „პარტნიორობა შვეიციისთვის“ პროგრამის ფარგლებში გაზიანში უნდა გაიმართოს, დიდი პრობლემები ელოდება.

რუსეთის ზეწოლის შედეგად ამ ეტაპზე ყაზახეთმა და სერბეთმა უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე, შეიძლება მათ რიცხვს სხვა რამდენიმე ქვეანაც მიუერთდეს.

მიუხედავად ამისა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უკან არ იხეხს და მაინც აპირებს საქართველოში სწავლების გამართვას.

გასულ წელს ანალოგიური პროგრამით გამართული სწავლება „დაუფრენებელი პასუხის“ დამთავრებიდან ერთ კვირაში რუსეთმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში სამხედრო აგრესია დაიწყო.

როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სწავლების დროს და მისი დამთავრების შემდეგ?

ირაკლი ალადაშვილი
გიორგი შორაშოლიანი

ყურადღება!

გამოინერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
02.02.2009

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvirispalitra.com
ერნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

26667

რუსეთის არმია ყველაზე სრულყოფილ კლანიკულად კასეტურ ბომბს მიიღებს



უახლესი პლანირებადი კასეტური ბომბი ПБК-500У უახლეს მოძვეალ-ში შვეა რუსეთის არმიის შეიარაღება-

ში. მისი გამოცდა 2009 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ფინანსირების ნაკლებობის გამო ვაღამ გადაიწია.

ПБК-500У ახალი ნაკეთობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოიყენონ ბომბები მოწინააღმდეგის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოქმედების ზონის გარეთ რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, ასევე 100 მ სიმალიდან 20 კილომეტრამდე. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება დარტყმების სიზუსტე, რომლებიც თანამგზავრული ნავიგაციისთვის არის დამახასიათებელი.

კერძოდ, „გახსნის“ ზონაში მიტანის შემდეგ, კასეტებიდან თვითღამიზნების ახალი თაობის საბრძოლო ელემენტები გამოდის და თითოეული მათგანი „პოულობს“ და ანადგურებს თავის მიზანს.

ჩინეთი უახლეს ატომურ წყალქვეშა ნავეზს წარმოადგენს

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მესამე წლისთვისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე პეკინს განზრახული აქვს საჯაროდ წარადგინოს ატომური წყალქვეშა ნავეზი, რომლებიც ქვეყნის მზარდი სამხედრო სიძლიერის სიმბოლო იქნება. სამხედრო-საზღვაო აღლუმში მონაწილეობას მიიღებს 14 ქვეყნის 20 ხომალდი. რუსეთს წარადგენს წყნარი ოკეანის ფლოტის ფლაგმანი სარაკეტო კრეისერი „ვარიაგი“.

ამჟამად ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფლოტში დაახლოებით 225 ათასი კაცი მსახურობს. სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია 72 საბრძოლო ხომალდი, 70 წყალქვეშა ნავი, მათ შორის 10 ატომური. ამასთან, ატომური სუბმარინების ზუსტ რაოდენობასა და მათ მახასიათებლებს არ ახმაურებენ.

პირველი ჩინური ატომური წყალქვეშა ნავეზი პროექტ 091 Han-ის ფარგლებში შეიქმნა და შეიარაღებაში 1974 წლიდანაა. ამჟამად აგებულია პროექტ 092 Xia-ს ერთი წყალქვეშა ნავი. ეს არის აზიაში პირველი ატომური წყალქვეშა ნავი, რომელიც აღჭურვილია ბირთვული იარაღით. აიგო ასევე პროექტ 093 Shang-ის ორი ატომური წყალქვეშა ნავი, რომლებიც აღჭურვილია ტორპედოებითა და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით. უკანასკნელი პროექტი 094 Jin-ი, რომლის ფარგლებ-

ში შენდება ბალისტიკურ რაკეტებიანი წყალქვეშა ნავეზი, ჩინეთის ფლოტის სიამაყეა. მიუხედავად ამისა, სუბმარინების ზუსტი რაოდენობა, რომელთა აგება აქვს დაგეგმილი ან უკვე ააგო პეკინმა, ასევე შეიარაღებაში მათი მიღების ვადა ცნობილი არ არის. ექსპერტების აზრით, პირველი ატომური წყალქვეშა ნავი უკვე შევიდა ან შვეა შეიარაღებაში 2009 წელს, თუმც ზოგიერთი წყარო უფრო ადრეულ თარიღსაც ასახელებს.

პროექტ 094-ის წყალქვეშა ნავეზი, რომლებსაც, სავარაუდოდ, აღლუმზე გამოიყვანენ, შეიარაღებული არიან საზღვაო ბაზირების ახალი ბალისტიკური რაკეტებით Ju Lang-2-ებით, რომლებიც შექმნილია Dong Feng 31-

ის ბაზაზე. ისინი დაკომპლექტებულია როგორც ჩვეულებრივი, ასევე ბირთვული საბრძოლო ქობინებით და ექსპერტთა შეფასებით, შეუძლიათ მიზნის 12 ათას (სხვა მონაცემებით 8 ათასი) კმ სიშორეზე განადგურება.

როგორც ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალმა განაცხადა, პეკინი დააჩქარებს ახალი თაობის შეიარაღების შემუშავებასა და წარმოებას, რაც მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში ტერიტორიულ საზღვაო წყლებში საბრძოლო მოქმედებების წარმოების საშუალებას მისცემს. ფლოტს დაგეგმილი აქვს დიდი წყალზედა ხომალდების, ზებგერითი თვითმფრინავების, ტორპედოების, წყალქვეშა ნავეზისა და სხვა შეიარაღების აგება.



იაპონიის ფლოტს სიხსლის ბასნის უფლება მისცას

იაპონელმა პარლამენტარებმა მიიღეს ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მეკობრეობასთან ბრძოლას. კანონპროექტის მიხედვით, ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ორ გემს, რომლებიც სომალის ნაპირებთან ოპერაციაში მონაწილეობენ, უფლება ეძლევა, მეკობრეებს შეებრძოლოს სხვა ქვეყნების სამოქალაქო გემების დაცვის მიზნით იაპონიის კანონმდებლობა, რომელიც მთლიანად მსოფლიო ომის შემდგომ მიიღეს, გემებს უფლებას აძლევდა თავდაცვისთვის ან ქვეყნის დროშით მოცურავე გემების დასაცავად გაეხსნათ ცეცხლი.



მიმდინარე წლის მარტში კი იაპონია შეუერთდა იმ ქვეყნებს, რომლებიც სომალის რაიონში მეკობრეობას ებრძვიან. ახალი კანონის თანახმად, სამხედრო-საზღვაო თავდაცვის ძალების ხომალდები დაიცვენ არა მარტო იმ გემებს, რომლებიც იაპონიის დროშით დაცურავენ, არამედ იმ გემებსაც, რომლებზეც იაპონელი მოქალაქეები ან ტვირთი იქნება, ასევე სხვა გემებსაც.

შეგახსენებთ, რომ მარტის ბოლოს პირველად 2009 წელს იაპონურ გემს „ჯეზმინ ეისს“, რომლის ბორტზეც ფილ-

იპინის მოქალაქეებისგან დაკომპლექტებული ეკიპაჟი იყო, თავს დაესხნენ სომალელი მეკობრეები, გასულ წელს კი მეკობრეებმა 12 იაპონური გემის ხელში ჩაგდება სცადეს.

სომალის ნაპირებთან ოპერაციაში მონაწილეობს პროექტ **Takanami**-ს ორი იაპონური „სახანამი“ და პროექტ **Murasame**-ს ფრეგატი „სამიდარე“. შესაბამისად, 4650 ტ და 4550 ტონა წყალწვეის გემები შეიარაღებულია „ხომალდი-ხომალდი“ კლასის რაკეტებით **Mit-**

subishi Type 90, ამერიკული რაკეტა **RIM-16 Sea Sparrow**-ებით, ტორპედოებით, ტყვიამფრქვევებითა და იარაღის სხვა ნიმუშებით.

ორივე ხომალდის ბორტზე, რომელთაც 30 კვანძამდე სიჩქარის განვითარება შეუძლიათ, ბაზირებულია **Mitsubishi**-ს წარმოების **SH-60B/F Seahawk** მოდიფიკაციის შვეულმფრენები **SH-60J/F**. ისინი აღჭურვილი არიან ნავსაწინააღმდეგო ტორპედოებითა და ტყვიამფრქვევებით.

ავშ-ში უპილოტო AVENGER-ის გამოცდა დაიწყო

General Atomics-მა ახალი მოდიფიკაციის ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატ **Predator**-ის გამოცდა ჩაატარა. აპარატმა, რომელსაც **Predator Avenger**-ი უწოდეს, პირველი გაფრენა 4 აპრილს შეასრულა, 14 აპრილს კი კიდევ ორი გამოცდა შედგა.

General Atomics-ის წარმოებული ცნობილი უპილოტოებისგან — **MQ-1 Predator**-ი და **MQ-9 Reaper** (**Predator B**) — განსხვავებით, ახალი მოდიფიკაცია შესრულებულია სტელსტექნოლოგიით და აღჭურვილია უფრო მძლავრი **PW 500** ძრავით. მწარმოებლის განცხადებით, ამ უპილოტო საფრენ აპარატს ყველა ის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, რაც **Predator**-ის ძველ მოდელებს ჰქონდათ.

კერძოდ, **Avenger**-ს აქვს ზოგიერთი ისეთი საფრენი მახასიათებელი, რაც **MQ-1**-ს, და შეუძლია წაიღოს იმდენი შეიარაღება, რამდენიც **MQ-9**-ს. გამოირჩევა ფრენის გაზრდილი ხანგრძლივობითა და საზღვაო ტერიტორიების დაზვერვის შესაძლებლობებით. ზომითაც ოდნავ დიდია, ვიდრე **MQ-9 Reaper**-ი, შეიარაღების ნაკრები კი, პრაქტიკუ-

ლად, ამ უპილოტო საფრენი აპარატის იდენტურია.

Predator-ის სერიის აპარატებისგან ეს უპილოტო აპარატი, რომლის ზუსტ მახასიათებლებს არ ახმაურებენ, გამოირჩევა მაღალი სიციცხლისუნარიანობითა და სიჩქარით. მისი გამოყენების შესაძლო სფეროებს შორის დასახელებულია საჯარისო შენაერთების ინტერესებისთვის ადგილმდებარეობის დაზვერვა, მოწინააღმდეგის მიზნებისთვის დარტყმების მიყენება დროის შეზღუდულ მონაკვეთში, საზღვრების

დაცვა, ასევე ასიმეტრიულ საფრთხეებთან — ტერორიზმსა და მეკობრეობასთან ბრძოლა.

Predator C-ს ფიზიკური სიგრძე დაახლოებით 12 მ-ს აღწევს, ფრთების გაქანი — დაახლოებით 20მ-ს. შეუძლია 18 კმ სიმაღლეზე აფრენა. დაკომპლექტებულია ელექტრონობტიკური და ინფრაწითელი კამერებით, სენსორებითა და სხვა უახლესი შეიარაღებით. კომპანიის განცხადებით, მისი შექმნისას გამოიყენეს ყველა შესაძლო ინოვაცია, რაც კი აქვს აშშ-ის მრეწველობას.





აშშ-ის არმია ავტონომიური მორინავი სნაიპერის გამოცდა დაიწყო

მეთორბეზე კლასიდან პირდაპირ ჯარში?!

სახელმწიფომ არ იცის, რაში გამოიყენოს ამდენი წვევამდელი

2009 წლის საგაზაფხულო განწვევას, როგორც შევიტყვეთ, თან გაუგებრობა ახლავს. კერძოდ, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, განწვევა იანვრიდან აგვისტომდე გრძელდება, რის გამოც პრობლემა შეექმნათ 18 წელს მიღწეულ მეთორმეტეკლასელებს, რომლებიც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გამოიძახეს. ჩვენ შევეცადეთ კომპეტენტურ პირებთან გაგვეჩვენოთ ეს საკითხი. როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარემ თათია ებრაელიმ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება. გარდა ამ პრობლემისა, სამხედრო-სავალდებულო განწვევებთან დაკავშირებულ არაერთ საინტერესო საკითხზე გვესაუბრა მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში განწვევის კოორდინირების სამსახურის უფროსი გოჩა ხარშილაძე. როგორც გაირკვა, სამინისტროებისაგან წვევამდელებზე მოთხოვნა სულ უფრო მცირდება, სახელმწიფომ არ იცის, რა უფოს გასანწვევი კონტინგენტის ჭარბ რესურსს.

აშშ-ის არმიამ დაიწყო ავტონომიური შევლემფრენული სნაიპერული სისტემა ARSS-ის (Autonomous Rotorcraft Sniper System) გამოცდა. ARSS-ი უპილოტო შევლემფრენია, რომელზეც დამონტაჟებულია დისტანციურად მართვადი სნაიპერული შაშხანა. ამერიკელი სამხედროები ამ შაშხანის სრულსაყოფად 2005 წლიდან მუშაობენ.

კონსტრუქტორთა მონაცემებით, მფრინავ სნაიპერს შეუძლია მაღალი სიზუსტით გაანადგუროს მიზანი, რომელიც ზომებით ადამიანის სხეულს შეესაბამება. ამასთან, ოპერატორებს, რომლებიც მას მართავენ, შეუძლიათ მოწინააღმდეგე გაანადგურონ ჰორიზონტის ზაზს ან დაბრკოლების იქით. როგორც სამხედროები ვარაუდობენ, ARSS-ი გამოდგება ქალაქის პირობებში საბრძოლო მოქმედებებში, ასევე სხვა ოპერაციებშიც, სადაც სნაიპერის ჩარევა საჭიროა.

შაშხანა RND Edge ტურელზე მონტაჟდება, რომელიც აღჭურვილია ზუმიანი კამერით. მას შეუძლია 7-10 დამოიზნებით გასროლა წაშში. შეიარაღების სახით შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ტყვიამფრეკვეი M249 ან იარაღი AA-12 არამფრენი საბრძოლო მარაგით. ოპერატორი უპილოტო საფრენ აპარატს და შეიარაღებასაც ჩვეულებრივი ნოუტბუკის, ასევე Xbox 360-ის Geimpad-ით მართავს.

— ბატონო გოჩა, როდის დაიწყო განწვევა და რამხელაა წვევამდელთა კონტინგენტი?

— საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის №638 ბრძანებულებით, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე მოქალაქეთა გაწვევა 2009 წლის 5 იანვრიდან 2009 წლის 1-ელ აგვისტომდე მიმდინარეობს. გამოძახებები თებერვლის ბოლოს დაიწყო, მანამდე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ დანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1500-ით განისაზღვრა, ოუსტიციის სამინისტროში — 340 წვევამდელით. თავდაცვის სამინისტროს კვოტა 1400 კაცია. გაწვევა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით დაიწვეთ, ამჟამად თავდაცვის უწყებაში მიმდინარეობს.

— გამოძახების შემთხვევაში რამდენ ხანში უნდა გამოცხადდეს წვევამდელი შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში? გამოუცხადებლობის შემთხვევაში რა სახის სასჯელია?

— ვადა მკაცრად განსაზღვრული არ არის, პირი გამოძახების შემთხვევაში დაახლოებით 7-14 დღეში უნდა გამოცხადდეს.

პირველ ჯერზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მეორედ მიუვა გამოძახება, თუ ამჯერადაც არ გამოცხადდა, თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, კანონი ითვალისწინებს 1.000-ლარიან ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმ-

რობას 30 დღის ვადით. სასჯელის მოხდის ან ჯარიმის გადახდის შემდეგ, პირი მაინც მიგვეყავს ჯარში. მიმდინარე გაწვევაზე თავის არიდების მცდელობა, ფაქტობრივად, არ გექნია.

— ბატონო გოჩა, გასანწვევი ახალგაზრდების რესურსი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ყოველწლიურად ძალოვანი უწყებების მოთხოვნაა. რა კრიტერიუმებით არჩევენ გასანწვევი კონტინგენტს და რა ბედი ეწევა ჭარბ რესურსს?

— არაუიოთარი კრიტერიუმი არ გვაქვს, შერჩევა პირობითად ხდება. ამის მარეგულირებელი მექანიზმი არ არსებობს. ჩვენ ვცდილობთ უფროსი ასაკის ახალგაზრდებით დავიწყოთ ხოლმე გაწვევა.

— ერთ განწვევაზე დარჩენილი რესურსი მეორე განწვევაზე გადადის და ასე დაუსრულებლად? ასე ხომ შეიძლება ვიღაც, უხეშად რომ ვთქვათ, მშრალი გამოვიდეს წელიდან და სავალდებულო-სამსახურის მოხდის გარეშე მიაღწიოს ზედა ზღვარს, ანუ 27 წელს?

— თეორიულად შეიძლება ასეც მოხდეს, რადგან მოთხოვნა რესურსთან შედარებით მართლაც ძალიან მცირეა. რესურსი რამხელაა, ვერ დაგიკონკრეტებთ, ეს საჯარო თემა არ არის.

— სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს რაოდენობა ყოველწლიურად 45-დან 50 ათასს შორის უნდა მერყეობდეს. აქედან კი დაახლოებით 7 ათასი პირი მიდის ჯარში.

— როგორც მოგახსენეთ, დამცავი მექანიზმი არც ახლა არსებობს და არც ადრე არსებობდა.



ქართულ სოფლებში რუსული იარაღის ქაჩვები კვლავ ისე

რუსულ-ქართული ომის შემდეგ ცხინვალის რეგიონში ვითარება კვლავ დაძაბულია. მიუხედავად სიმშვიდისა, მინც იგონება რუსული ტანკების სიახლოვე. ბუფერულ ზონებში მოსახლეობა საცხოვრებლებს დაუბრუნდა. ამ სოფლებში ცხადად ჩანს რუსული აგრესიის კვალი. დანგრეულია რამდენიმე სოფელი პატარა ლიახვის ხეობაში, მთლიანად დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების სოფლები. ქართულ სოფლებში სტრატეგიულ სიმაღლეებზე რუსულ და ოსურ ფორმირებებს სანგრები და თავდაცვითი ზღუდეები აქვთ მოწყობილი. საოკუპაციო ძალები 7-8 აპრილისათვის განსაკუთრებით გააქტიურდნენ და ყველა საგუშაგო დამატებით ძალებით გაამაგრეს. მაგალითად, სოფელ დისევში, რომელიც, ფაქტობრივად, პირობით საზღვარზე მდებარეობს, ადრე მსუბუქად გამაგრებული საგუშაგო იდგა. ამჟამად მას ორი ერთეული ჯავშანტექნიკა დაემატა. ეს ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა შენიშნა. სხვათა შორის, სოფელ დისევის თავზე გადის ცხინვალისა და ახალგორის დამაკავშირებელი გზა, რომელსაც ოკუპანტები იყენებენ.



ომის შემდგომი პირველი შეხვედრა ერგნეთში

ტერიტორიიდან შუაღამისას სოფელ ფლავეში ჯერ ქართული პოლიციის საგუშაგოს, შემდეგ კი საცხოვრებელ სახლებს გაუხსნეს ცეცხლი. საბედნიეროდ, ქართული პოლიცია პროვოკაციას არ წამოეყო.

ასეთი ინციდენტების ფონზე კი ერგნეთში, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ქართული მხარე პირველად შეხვდა ცხინვალის თვითაღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლებსა და რუს სამხედრო მაღალჩინოსნებს. შეხვედრა, რომელიც ვეროკავშირისა და ეუთოს დახმარებით შედგა, შენედა მოლაპარაკებების დროს გადაწყდა. შეხვედრისას უნდა განხილულიყო კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების საკითხები. ქართულ მხარეს შს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი წარმომადგენდა. შეხვედრას ესწრებოდა რუსეთის სახმელეთო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი ანტონოვი. ცხინვალის კომენდანტი ანატოლი ტარასოვი კი მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოჩნდა ერგნეთისა და ცხინვალის გზის მონაკვეთზე საგანგებოდ გაშლილ კარავში. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას დე ფაქტო მინისტრ ბორის ჩოჩიევის მოადგილე მერაბ ჩიგოვეი წარმომადგენდა.

ქართულმა მხარემ იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრები ხშირად გაიმართება, რომლის მთავარი იდეა იმ პროვოკაციების პრევენცია იქნება, რომელიც რუსულ-ქართული ომის შემდეგ ძალზე გახშირდა ქართულ სოფლებში. როგორც ჩანს, პირველ შეხვედრაზე არც რუსული და არც ოსური მხარე არ იყო მზად ამ კონკრეტულ კითხვებზე და შენიშვნებზე ეპასუხა და როგორც ვეროკავშირის სადამკვირვებლო მისიის

ხელმძღვანელმა ჰანს იორგ ჰაბერმა განაცხადა, კონკრეტული გადაწყვეტილება მხოლოდ მომდევნო შეხვედრის თარიღის თაობაზე მიიღეს. „მხარეებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა პრინციპით უნდა იმუშაოს ამ ფორმატმა და შექნან მხარე. სხვა კონკრეტულ საკითხებზე შეხვედრის მონაწილეებს არ უმსჯელიათ“, — განაცხადა ჰანს იორგ ჰაბერმა, რომელიც უკმაყოფილებას არც იმის გამო მალაუდა, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ცხინვალში ვეროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებელთა შეხვედრის თაობაზე. როგორც ცნობილია, უცხოელ დამკვირვებლებს რუსი და ოსი ფორმირებები უწყვეტ წინააღმდეგობას.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ შს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, ქართული მხარე ყველანაირად შეეცდება, რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროება აღკვეთოს. მომდევნო შეხვედრა მისიის დასაწყისში გაიმართება, ადგილი კვლავ ერგნეთის ნეიტრალური ტერიტორიაა.

ერგნეთის შეხვედრის შემდეგ რუსეთის სახმელეთო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე სერგეი ანტონოვი კი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე წოდებულ საზღვარზე ამოქმედდება „ცხელი ხაზი“, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. მიუხედავად ცხელი ხაზის ამოქმედებისა, ქართულ სოფლებში სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან სროლა კვლავ ისმის.

ვიორგმე თუხარელი

ტელეკომპანია „საქართველო“ სპეციალურად „არსენალისათვის“

დაპირისპირება კავკასიაში გაღმონაცვლა

ოკუპანტები ბრძანების
მოლოდინში არიან



ვაზიანში „პარტნიორობა მშვიდობის“ პროგრამით დაგეგმილი საერთაშორისო სწავლებები — 6-19 მაისს „კოოპერატივ ლანსერ-2009“ (მონაწილეობს 19 ქვეყნის 347 სამხედრო მოსამსახურე) და 21 მაისიდან 3 ივნისამდე „კოოპერატივ ლონგოუ-2009“ (მონაწილეობს 19 ქვეყნის 739 სამხედრო მოსამსახურე) თბილისისა და მოსკოვის ახალი დაპირისპირების მიზეზი ხდება.

დღე ისე არ გაივლის, რუსეთიდან მუქარის შემცველი განცხადებები არ გაკეთდეს. პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის თქმით, დაგეგმილი სწავლება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან რუსეთის დაახლოებას ხელს არ შეუწყობს.

NATO-ში რუსეთის წარმომადგენელის დმიტრი რაგოზინის შეფასებით, საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ცხინვალის საზღვრებთან სხვა ქვეყნის ჯარების გამოჩენა პროვოკაციაა.

მედვედევს სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერი სერგეი ბაღაუში გამოუქმაურა, — დასაუღეთის ქვეყნები საქართველოს მხარს უჭერენ, ატარებენ სწავლებას, მაგრამ სწავლებაზე იქნება ასეთივე პასუხი — სხვა სწავლებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩავატარებთო.

მოსკოვმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და 7 მაისს რუსეთისა და NATO-ს ქვეყნების გენშტაბების უფროსთა შეხვედრაზე რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი მონაწილეობას არ მიიღებს.

გრძელდება ზეწოლა თანამეგობრობისა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ვაზიანში ჩამოსვლას გეგმავენ.

საქართველოში ჩამოსვლაზე ყაზახეთის თავდაცვის სამინისტრომ უკვე უარი განაცხადა. მოსკოვი ახლა აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვას რეაქციას ელოდება.

მწვევე შეფასებები გაკეთდა ცოტა ხნის წინ ბათუმში ამერიკული ფრეგატი FFG 42 KLARKRING-ის შემოსვლის თაობაზე, რომელიც რუსეთმა მტრულად მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩათვალა.

რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ფრეგატი ერთ-ერთი ის ხომალდია, რომელსაც უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები ამერიკისაგან უანგაროდ მიიღებს. ხომალდზე ამერიკული ეკიპაჟი დარჩება, მაგრამ უკრაინული დროშით, ამავე დროს შავ ზღვაში გამოჩნდება ამერიკული ხომალდების დაჯგუფება, რომელიც ცურვას ცისფერ-ყვითელი დროშით დაიწყებს.

„ცივი ომის“ ხანაში ევროპაში დასაუღეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულმა დაპირისპირებამ კავკასიაში გაღმონაცვლა. პუტინის გაუღენის სფეროთა თეორიის შესაბამისად მოსკოვისათვის კავკასიაში საქართველოს მხარდასაჭერად დასაუღეთის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ქმედებები მიუღებელია. ჩრდილოელი მეზობელი ცდილობს საქართველოს პოლიტიკურ იზოლაციას და საერთაშორისო მხარდაჭერის დაბლოკვას. სამაგიეროდ, ოსებისა და აფხაზების დაცვის საბაბით კავკასიაში სამხედრო ყოფნას აფართოებს.

დასრულდა ოკუპირებულ რეგიონებში — აფხაზეთსა და ცხინვალში რუსული სამხედრო ბაზების ფორმირება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზეთში რუსული 131-ე მოტომსროლელი ბრიგადა შეიარაღებაში T-90 ტიპის ტანკებს იღებს.

აფხაზეთში შემოტანილია საჰაერო თავდაცვის სისტემა C-300 და ახლა მისი გაშლა მიმდინარეობს.

დაწყებულია ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ბუდიონოვსკის 487-ე ცალკეული საბრძოლო შეეულმფრენთა პოლკის Ми-28Н ტიპის უახლესი შეეულმფრენებით აღჭურვა. ამ პოლკის შეეულმფრენთა ესკადრილიები მონაცვლეობით ჯავაში ბაზირებენ.

NATO-ს სწავლების საპასუხოდ რუსეთის საოკუპაციო ჯარები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და შავი ზღვის ფლოტის ძალები აქტიურ სამხედრო მზადებაზე არიან გადასული. შეიმჩნევა ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის გადა-

რუსული საოკუპაციო ჯარების ბაზა ცხინვალის მახლობლად



ჩვენი დღისე: 68-ე საწვალოსნო რაიონის დაცვის ბრიგადაში (სეფასტოპოლი) შედის: მე-400 წვალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ზომადღებისა და 418-ე მტრალავი ზომადღების დივიზიონები;

მე-400 დივიზიონის შემადგენლობაშია კორვეტები: „ალექსანდროვი“ (პროექტი 1124), „მურომეცი“ (პროექტი 1124M), „სუზდალეცი“ (პროექტი 1124M), და „ვლადიმირეცი“ (პროექტი 1145);

418-ე დივიზიონის შემადგენლობაშია მტრალავები: „კოვროვი“ (პროექტი 266M), „ივან ვოლუბეცი“ (პროექტი 266M), „ტურბინისტი“ (პროექტი 266M) და „ვიცე-ადმირალ შუკოვი“ (პროექტი 266M);

41-ე სარაკეტო კატარღების ბრიგადის (სეფასტოპოლი) შემადგენლობაში შედის: 166-ე და 295-ე სარაკეტო კატარღების დივიზიონები;

166-ე დივიზიონის შემადგენლობაშია: საპაერობალიზიანი სარაკეტო ზომადღები MPK-27 „ბორა“ (პროექტი 1239) და MPK-17 „სამუმი“ (პროექტი 1239), პატარა სარაკეტო ზომადღები „შტილი“ (პროექტი 1234.1) და „მირაჟი“ (პროექტი 1234.1);

295-ე დივიზიონის შემადგენლობაშია სარაკეტო კატარღები: P-60, P-239, P-109, P-334 „ფანოვი“ (ოთხეუ პროექტ 1241.1-ს მიეკუთვნება) და P-71 (პროექტი 1241.7)

184-ე საწვალოსნო რაიონის დაცვის ბრიგადაში (ნოვოროსიისკი) შედის 170-ე მტრალავი ზომადღებ-



ჯავის
მახლობლად
რუსული
შვეულმფრენები
ბაზირებენ

ის და 181-ე წვალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ზომადღების დივიზიონები;

170-ე დივიზიონის შემადგენლობაშია საზღვაო მტრალავები: „ფელენზიაკოვი“ (პროექტი 12660), „ვალენტინ პიკული“ (პროექტი 266M) და „ვიცე-ადმირალი ზახარინი“ (პროექტი 02668);

181-ე დივიზიონის შემადგენლობაშია კორვეტები: „პოლორონი“ (პროექტი 1124M), „ეისკი“ (პროექტი 1124M) და „კასიმოვი“ (პროექტი 1124M);

ზომადღებისა და კატარღების შეიარაღებაშია ზომადღსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები „მოსკიტი“, „ტერმისტი“ და „მალახიტი“, საზენიტო-სარაკეტო სისტემა **OCA-MA**, 76 მმ-იანი ქვემუხები, 30 მმ-იანი საზენიტო ავტომატები და სხვ.

ადგილება, მიმდინარეობს პოზიციების გამაგრება.

ვაზიანში ჩასატარებელი სწავლება შინაარსითა და დანიშნულებით კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფას ემსახურება და მასში სულ 1300-მდე სამხედრო მიიღებს მონაწილეობას მძიმე ჯავშანტექნიკის, არტილერიის, ავიაციისა თუ ფლოტის მხარდაჭერის გარეშე.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსებს უკვე ჰყავთ 10 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, რომელიც გაძლიერებულია ტანკებით, თვითმავალი არტილერიით, მოიერიშე შეუულმფრენებითა და ავიაციით, ხოლო საქართველოს მიმდებარე წყლების ახლოს კურსირებენ შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ზომადღები.

შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი
სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“





რუსული
ჯავშანტექნიკა
ემზადება

6 აპრილს რუსეთის შვეი ზღვის ფლოტის პრაქტიკულად ყველა ბრძოლისუნარიანი ხომალდი ზღვაში იყო. კერძოდ, ფლაგმანი — სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“, კორაბები — „სუზდალცი“ და „ალექსანდროვიცი“, პატარა სარაკეტო

ხომალდები — „ბორა“ და „მირაჟი“, სარაკეტო კატარღები — P-60, P-334 და „ივანოვიცი“, საზღვაო მტრალავი „ივან გოლუბეცი“, დიდი სადესანტო ხომალდები — „ცეხარ კუნიკოვი“, „იამალი“, „სარატოვი“ და „ნოვოჩერკასკი“ და სხვ.

საბრძოლო ხომალდებს უზრუნველყოფას დამხმარე გემები და საზღვაო ავიაცია, მათ შორის 4 Cy-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენი უკეთებდა.

აკვისტოს ომის შემდეგ რუსეთის შვეი ზღვის ფლოტის ხომალდებისა და კატარღების სამხედრო აქტიურობა ოკუპირებული აფხაზეთის მიმდებარე წყლებში მოიმატა. სოხუმში ან ოჩამჩირეში ყოფელთვის არის ერთი ან ორი რუსული ხომალდი და კატარღა.

დეკემბერში აფხაზეთის წყლებში იმყოფებოდა საზღვაო მტრალავი „ივან გოლუბეცი“, რომელიც 2 მარტს ისევ შემოვიდა. 24 მარტს სოხუმში ჩამოდგა საზღვაო მტრალავი „ვიცე-ადმირალი ჟუკოვი“. ცოტა ხნის წინ სოხუმში შეინიშნეს სარაკეტო კატარღა „ივანოვიცი“ და ა.შ.

საკურორტო სეზონის დაწყებასთან, რუსი დამსვენებლების უსაფრთხოების მიზნით, ერთად რუსული ფლოტის აქტიურობა კიდევ უფრო მოიმატებს. ამ მისიას, ძირითადად, შვეი ზღვის ფლოტის 68-ე, 41-ე და 184-ე ბრიგადები ასრულებენ.

თემურ ჩაჩანიძე



დაცვის პოლიცია გთავაზობთ ბინებისა და ოფისების დაცვას სიგნალიზაციით

ჩვენი მომსახურების უპირატესობები:

- ჩვენ ვიცავთ ობიექტებს მსოფლიო ლიდერი კომპანიების AES IntelliNet-ის და Honeywell-ის მიერ წარმოებული დაცვის საგანგაშო სიგნალიზაციის უახლესი და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.
- დასაცავი ობიექტი 24 საათის განმავლობაში ჩართულია დაცვის პოლიციის ცენტრალური დაკვირვების პულტზე და განგაშის შემთხვევაში დაკავების ჯგუფი გადის ობიექტზე.

როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ:

- დარეკეთ საინფორმაციო სამსახურის ნომერზე - 0-25 და 24 საათის განმავლობაში მიიღეთ ამომწურავი ინფორმაცია ჩვენი მომსახურების შესახებ, ან
- მოგვმართეთ განცხადებით მისმართზე: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №6, ხოლო რეგიონებში - დაცვის პოლიციის რეგიონალურ სამმართველოებში, ან შეავსეთ ელექტრონული განაცხადი ჩვენს ვებ-გვერდზე www.spd.ge



უკანდახეულა ჯარისკაცმა იარაღი არ უნდა გადაეგდოს...

გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკომენდანტო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ენვერ გიგლემიანი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მისი შექმნის დღიდან მსახურობს. ბოლო წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ სამივე ომში მონაწილეობდა. აფხაზეთის ომის დროს ნაღმზე აფეთქდა და ცალი ფეხი დაეარგა, მაგრამ სამხედრო სამსახურისთვის თავი არ დაუნებებია, 2008 წლის ცხინვალის ომში უშუალოდ იყო ჩართული. მაშინ მეოთხე კვეთი ბრიგადის ლოჯისტიკის ხელმძღვანელი იყო.

გამოცდილი მებრძოლი შეიარაღებული ძალების დადებით და უარყოფით მხარეებზე გვესაუბრება:



ქართველი პოლკოვნიკის თვლით დანახული ქართული ჯარის პრობლემა 90-იანი წლებიდან დღემდე

— სამხედრო სამსახურზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ამაში წვლილი ბიძაჩემს, სერგო ფანგანს მიუძღვის, რომელიც სამხედრო პოლკოვნიკი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურის გაგრძელებამ მურმანსკის ოლქში მომიწია. ეს არის პოლარული ზონა, სადაც 6 თვე ღვია და 6 თვე — ღამე. შემდეგ სწავლა სუვოროვის სამხედრო-სახლავო საინჟინრო ოთხწლიან სამხედრო სასწავლებელში გაუარძელე, მაგრამ პირველ კურსზე თავი დაღუნე. მშობლები წინააღმდეგი იყვნენ, ძალიან შორს არისო, არც ის უნდოდათ, სამხედრო საქმეს გაეყოლოდი. რუსეთიდან კი წამოვედი, მაგრამ სწავლა საქართველოში გაუარძელე. თულაში იყო ასეთი სასწავლებელი — დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. ეს იყო 1987-91 წლები. სწორედ 90-იანი წლებიდან იწყებოდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. იმავე წლის 12 სექტემბერს შინაგანი ჯარი შეიქმნა და იმ დროიდან ქართულ შეიარაღებულ ძალებში ვმსახურობ... 1992 წელს აფხაზეთის ომშიც დაიწყო, სადაც პირველივე დღიდან ვმონაწილეობდი.

— **მაშინ რა წოდება გქონდათ?**

— ლეიტენანტი ვიყავი და შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის მეთაურ სადაზვერუო ასეულს ვმეთაურობდი.

— **როგორი ვითარება იყო მაშინ ქართულ შეიარაღებულ ძალებში?**

— ქართული ჯარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იყო. აფხაზეთის ომში 18-19 წლის ბიჭები იბრძოდნენ, პროფესიული გამოცდილება არც ჰქონდათ. ძალზე ძნელი და სარისკო იყო საომარ მოქმედებებში მათი ჩართვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა.....თუკი ომამ-

დე ვითარებას გაეხსენებო, წვრთნებიც შეძლებისდაგვარად ნორმალურად მიდიოდა. კვირა არ გავიდოდა, ასეული პოლიგონზე არ გასულიყო. საბრძოლო და ფიზიკურ მომზადებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ჩვენი მეთაური გენერალი გუჯაგურაშვილი იყო, რომელსაც კარგი სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული (აფხაზეთის ომის დროს ორჯერ სასიკვდილოდ დაიჭრა). მაშინ ყველაფერი საბჭოური ჯარის მიხედვით ხდებოდა, დღეს კი სულ სხვანაირი ხედვა და სტრატეგიაა, NATO-ს სტანდარტების დონის...

თუ აფხაზეთის ომის გახსენებას მთხოვო, გამიჭირდება, რადგან ომს კარგად ვერაზინ გაიხსენებს, მით უმეტეს, დამარცხებულ ომს. იმ წლებში ქართული ჯარი ცუდად იყო შეიარაღებული, ყველა ტიპის იარაღს ვიყენებდით, რაც კი მოგვეპოვებოდა. კალაშნიკოვის ავტომატები კი გვქონდა, მაგრამ ტყვიამფრეველი, ნაღმსატყორცნები და სხვა მსხვილკალობრიანი იარაღი გვაკლდა, მძიმე ტექნიკაც... და კიდევ, ბრძოლის მსურველი ბევრი იყო და საკმარისი იარაღი არ გვქონდა. ისეთი დღეებიც მასხოვს, როცა კრიტიკული ვითარება იყო, მოწინააღმდეგე გვიტყედა, საჭირო იყო საპასუხო ცეცხლი, ხალხი გვეყვოდა, მაგრამ ტყვია-წამალი და საბრძოლო ტექნიკა არ გვეყოფინდა. ერთადერთი, რაც გამართულად მუშაობდა, არტილერია იყო...

— **ვიცი, რომ აფხაზეთის ომში დაჭრილხარ?**

— დიახ, 1993 წლის 25 ივლისს სიკვდილს გადაურჩი. 12 კაცი სადაზვერუო ოპერაციაზე გაგვეზავნეს; სოფელ ლინდავას გუფით, აფხაზების კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა გადაე-

სულიყო, რომელიც ადრე ბერძნებით იყო დასახლებული. მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების რაოდენობა უნდა დაგვედგინა. გეგმის მიხედვით, საქმეს სამ დღეში უნდა მოერჩენილიყო, მაგრამ ომში დაგვეძლიოს შესრულება ყოველთვის არ ხერხდება. ასე რომ, 3-ის ნაცვლად, 5 დღე-ღამე დავრჩით. საქმე გაუკეთოთ, მაგრამ აქეთობისას სწორედ იმ სოფლის ახლომახლო ტერიტორია აღმოჩნდა დანაღმული და ნაღმმა ფეხი წამწყვიტა. ჩემგან 5-6 მეტრის დაშორებით კაპიტანი მაშუკა ლიპარტელიანი იყო, რომელიც ჩემს გადასარჩენად სიცოცხლეს არ ზოგავდა. ნაღმურ ველზე არავინ შემოუშვა, რომ არ აფეთქებულიყვნენ და გაჭირვებით ოდნავ აქეთ, სამშვიდობოსკენ გადმოფორთხდით. მაშუკა ცდილობდა, დროზე გაეყვანე იქიდან... ბიჭები ისე დაღლილები იყვნენ, ჩემი კი არა, საკუთარი ბარგის ტარებაც კი უჭირდათ. მასხოვს, დღის 12-ის წუთები იყო, ბიჭები ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ დატრიალდნენ, ხის ტოტებისგან საკაცე გააკეთეს და ზედ დამაწვინეს.

— **ამ დროს, ალბათ, აუცილებელია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა...**

— რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის სამედიცინო ლოჯისტიკა, რომელიც ყველა რანგის სამხედრო პირმა უნდა შეძლოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს. ბიჭებმა მაშინვე ლახტი გადაამჭირეს, რომ სისხლდენა შეჩერებულიყო და რამდენიმე საათი ზურგით მატარეს. მათი წყალობით გადაურჩი — საღამოს 8 საათზე უკვე სოხუმის საავადმყოფოში ვიყავი.

— სამხედრო საქმის გაგრძელება როგორ შეძელით?

— ცალფეხა კაცს სამხედრო კი არა, სამოქალაქო ცხოვრებაშიც უჭირს, მაგრამ მე გამიმართლა, მაშინდელმა ხელმძღვანელებამ ნება დამართო და ამ საქმეს დღემდე ვემსახურები.

— ვიცი, რომ ცხინვალის ომშიც მონაწილეობდით?

— დახ... ცხინვალის ომში აფხაზეთისგან რადიკალურად განსხვავებული ვითარება იყო. სხვათა შორის, ცხინვალის ომში 90-იან წლებშიც ვმონაწილეობდი. რა თქმა უნდა, წინა ომებთან შედარება არც შეიძლება... შეიარაღებული ძალები მაღალ დონეზე იყო გაწყვეტილი, შეიარაღებაც გვექონდა და ლოჯისტიკაც უზრუნველყოფილი იყო. ეს იყო ბრძოლა, სადაც რუსეთის ავიაცია და ტექნიკის უდიდესი ნაწილი იყო შემოსული. ჩვენ ვებრძოდით რუსეთის საყოველთაოდ განთქმულ 58-ე არმიას. ეს იყო უთანასწორო ომი, იმდენად უთანასწორო, რომ ნეიტრალურმა ადამიანმა ფილმში რომ ნახოს აგვისტოს ომის კადრები, საქართველოს არმიანზე გული დასწყდება.

რუსეთთან ბრძოლა ყოველთვის უთანასწორო იქნება, რადგან იმ სახელმწიფოს ხელა ვერასდროს გაეზღვებოდა. შეცდომები გვექონდა, მაგრამ ომი იმიტომ წაგაგეთ, რომ მათთან შედარებით ცოტანი ვიყავით არც ტყვეა-წამლის, არც იარაღისა და არც ლოჯისტიკის მხრივ პრობლემები არ გვექონია...

7 აგვისტოს საღამოდან, როგორც კი საპასუხო ცეცხლის გახსნის ბრძანება მივიღეთ, ცხინვალის მისადგომებთან ვიყავით. ცხინვალში შესვლა ორი მხრიდან შეიძლება, — ტყვეა-წამლისგან და შინდისიდან. ჩვენი, მეთოხე ქვეითი ბრიგადა, შინდისის მხარეს იყო განლაგებული. მაშინ იქ ემსახურებოდა და ლოჯისტიკური უზრუნველყოფა მეხებოდა. სანამ სახმელეთო ბრძოლები მიმდინარეობდა, ყველაფერი ზედმიწევნით იყო გათვლილი და გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ, როცა საქმეში რუსული არმია ჩაერთო, ვითარება რადიკალურად შეიცვალა... საპაქრო დაბომბვისას ბრიგადის არტილერიის მეთაური ერეკლე ყუროშვილი მოგვიკლეს. თუკი ვინმემ იბრძოლა იმ ომში, არტილერიას მართლაც რომ ლომის წილი მიუძღვის. მან თავისი საქმე ბრწყინვალედ გააკეთა... ჩემი მოვალეობა საბრძოლო მოქმედებები არ იყო. მე ზურგში ვიყავი და ჩვენი ნაწილების საბრძოლო მასალებით, საკვებითა და წყლით მომარაგება, ასევე დაჭრილების დროული

გადანაწილება მევალებოდა. პირველად სამედიცინო მომსახურებაში არც ერთ მებრძოლს პრობლემა არ შექჰქმნია, ფრონტის ხაზიდან კილომეტრ-ნახევარში თუ 2 კილომეტრში საველე ჰოსპიტალი იყო გახსნილი, სადაც დაჭრილ სამხედროებს დახმარებას უწევდნენ, იქიდან კი გორის სამხედრო ჰოსპიტალში აგზავნიდნენ. ექიმები თავდაუზოგავად მუშაობდნენ, მანქანები მობილიზებულად და ორგანიზებულად გადაადგილდებოდნენ, მედიკამენტების რაოდენობაზე არაფერს ვამბობ.

— კავშირის არარსებობაზე რას იტყვით, რაზეც ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ?

— როცა ტერიტორია ინტენსიურად იბომბება, რაც უნდა კარგი აპარატურა გქონდეს, კავშირის პრობლემა მაინც შეიქმნება, მისი დახშობა პრობლემას არ წარმოადგენს. ომის წაგების მიზეზი ეს არ ყოფილა. მაშინ, როცა რუსეთისთან სახელმწიფოსთან გიწვეს შებრძოლება, რაც უნდა გამართული კავშირი, მაღალი დონის აპარატურა ჰქონდეს ჯარს, გამარჯვების შანსი მაინც მცირეა...

— როგორც ვიცი, უკან დახვევაც საკმაოდ არაორგანიზებული იყო...

— უკან დახვევა ისეთი სამხედრო ელემენტია, რომ დარღვევები ყოველთვის იქნება. ამის ზედმიწევნით განხილვა საკმაოდ რთულია და იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება საომარი მოქმედებების დროს მოვლენები, თუმცა შეცდომები მაინც გვექონდა.

— კონკრეტულად?

— ჯარზე რეგულარულ არმიანზე ძალიან იმოქმედა საპაქრო აგრესიამ. პანიკა გამოიწვია. მთელი ცა თვითმფრინავებით იყო მოფენილი და ამ დროს ჩვენ, დაბლა მყოფებს, წინააღმდეგობის გაწყვეის საშუალება არ გვექონდა. ჯარისკაცები ცდილობდნენ, სადმე შეეფარებინათ თავი, ყველას ხომ ძლიერი ფსიქიკა არ აქვს. სახმელეთო ბრძოლები, პრაქტიკულად, მოგებული გვექონდა, მაგრამ სამდღიანმა სისტემატურმა საპაქრო დაბომბვებმა ჯარისკაცები პანიკაში ჩააგდო. პირველ დღეს შედარებით მობილიზებული იყვნენ, იმავეს ვერ ვიტყვი მეორე დღეზე... 10 აგვისტოს ღამეს ვარიანამდე ჩამოვდივით, უფრო სწორად, შინდისსა და ვარიანს შორის ვიდევით, მეორე კი, როცა მასობრივი დაბომბვა დაიწყო, იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა...

— ამ ომში უამრავი იარაღი დაიკარგა, ბევრმა ჯარისკაცმა ამის მიზეზად მეთაურის დაბნეულობა დაასახელა...

— ჩვენ ორი ბატალიონის მეთაური მოგვიკლეს, ბრიგადის მეთაური და სერჟანტი კი დაიჭრნენ. ორივენი დაბომბვაში მოყვნენ, არსად გაქცეულან და თავიანთი მოვალეობას ასრულებდნენ. არავის აქვს მორალური უფლება, თქვას, იარაღი იმიტომ დაეკარგე, მეთაური თავისი სიმაღლეზე ვერ იყო. როცა ბრიგადის ყველა მეთაური წინა ხაზზე იყო, ბევრი ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან გარბოდა. თუ ისინი მეთაურს თავმოუბმელობაში ადანაშაულებენ, რატომ არ იყვნენ მის გვერდით?... რასაკვირველია, ამას ყველაზე არ ვამბობ და მადლობას ვუხდით იმ ბიჭებს, ვინც ღირსეულად იმსახურა. ფიზიკური მომზადება მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მზარეც. ამიტომაც ვამბობ, როცა ჯარისკაცს უკან დახვევის ბრძანებას აძლევენ, ვალდებულია, თავისი იარაღიც წამოიღოს.

— საომარი მოქმედებების დროს ყველა სამხედრო პირს თავისი დავალება აქვს. რამდენად შესაძლებელია, მეთაურმა ჯარისკაცების ქმედებები გააკონტროლოს?

— ბრიგადის მეთაურს 5 ბატალიონი, სამი ცალკეული ასეული, საარტილერიო, სატანკო ბატალიონები და ა.შ. ჰყავს. ბრიგადის მეთაური ყველაზე ვერ იქნება, ის სამეთაურო პუნქტშია და კოორდინატებს იძლევა, სწორედ ეს არის კავშირი. შესაძლოა, ბატალიონის მეთაურმა საჭიროების შემთხვევაში ასეულები სხვადასხვა მიმართულებით დაგზავნოს და ყველა მათგანს სათავეში ჩაუდგება ასეთი მეთაური, ოცმეთაური და ათმეთაური, რომლის ბრძანებაცაც უნდა დაემორჩილოს ჯარისკაცები... ვიცი, რომ ამ და სხვა მიმართულებებითაც არსებობდა პრობლემები, ამ დეტალებზე ნუ ვილაპარაკებთ, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ბრიგადაში ამ მხრივ პრობლემები არ ყოფილა. რაც შეეხება შეიარაღებას, როგორც გითხარით, ბრიგადაში ლოჯისტიკის ხელმძღვანელი ვიყავი და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ბრძოლის ველზე ერთი ცალი პისტოლელიც არ დამიტოვებია, ავტოტრანსპორტიც გამოვიყვანეთ, ტანკებიც, ბემპეც, ჰაილექსები, ტყვიამურქვევები და ა.შ. გამართული ტექნიკის 99% გადავარჩინეთ და საბრძოლო მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობ, რაც საომარი მოქმედებების დროს დაიწვა და აფეთქდა. დაიკარგა ის იარაღიც, რომელიც დაღუპულ ჯარისკაცებს ჰქონდათ.

ლელი პაპუასკირი

ვინ უნდა უპასუხებოდეს სხინვალის ომში დაჭრილ სამხედროებს

ცხინვალის ომში დაჭრილი ჯარისკაცების სრულყოფილად მკურნალობის თემა აგვისტო-სექტემბერში ყვალაზე აქტუალური და მომგებიანი იყო, მაგრამ გავიდა ხანი და, როგორც ხშირად ხდება, ეს საკითხი სხვა, უფრო „აქტუალურმა“ საკითხებმა ჩაანაცვლა და ნაეტებასაყურადღებო გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი ჯარისკაცი სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩა. მას შემდეგ, რაც სამხედროებს სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებულ მკურნალობის კურსზე ხან შემოვლით, ხანაც პირდაპირ უარი უთხრეს, უმრავლესობამ მკურნალობა თავისი ხარჯით გააგრძელა. ერთი ნაწილის ჯანმრთელობას კი ჯერაც საფრთხე ემუქრება. ჩვენ შევეცადეთ, გაგვეჩვენოთ, ვინ არის პასუხისმგებელი დაჭრილი ჯარისკაცების მკურნალობის საჭირო ხარჯებზე.

კობა, 31 წლის:

— ცხინვალის მისაღლომებთან ჭკურეის ნამსხვრევი მომხდდა და ორივე მუხლისთავი ჩამქმსხვრა. როგორც მითხრეს, ოპერაციას მოგვიანებით გამიკეთებდნენ, მანამდე ნამსხვრეუს ირგვლივ „კაფსულა“ უნდა „შემოქსოვა“. ოპერაციამდე სარეაბილიტაციო კურსი უნდა გამეკვლო, რამდენიმე უტაბი გავეიარე, მაგრამ ტკივილი მაინც მაწუხებდა. ასე გავიდა თვე-ნახევარი. წვრთნებში ვეღარ ვმონაწილეობდი...

მოგვიანებით, როცა ტკივილი უფრო გამძიმავდა, ჩემს ექიმთან მისვლა ვცადე. მის კართან უამრავი აუადმყოფი ტრიალებდა, სამი დღე ვცდილობდი მასთან შესვლას, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მერე ერთ ნაცნობ ექიმს მივმართე. მითხრა, რომ ოპერაცია მჭირდებოდა, მუხლისთავი დამსხვრეული იყო და სახსრის სინოვიალური სითხე შრებოდა. ასეთი სირთულის ოპერაცია დაზღვევის ფარგლებში არ ჯდება, თან არც იმის გარანტია ჰქონდათ, რომ ოპერაციიდან რაღაც დროის შემდეგ სახსარი არ დაიშლებოდა. როგორც იმ კაცმა მითხრა, ასეთი ტიპის ოპერაციებს გერმანიის კლინიკებში აკეთებენ და თან გამაფრთხილა, თუ არ მიხედავ, შესაძლოა, ფეხი მოსაჭრელი გაგიხდეს, უკეთეს შემთხვევაში კი დაკოჭლდები... როცა სადაზღვევო კომპანიას მივმართე, მითხრეს, ცოტა ხანში თავად დაგაკეტირებდით, რადგან თქვენნიარი ბეჯი გვირეკავსო. „ცოტა ხანი“ რამდენიმე თვეს გავრძელდა. დეკემბრის ბოლომდე ვითმინე ტკივილი, დღემში რამდენჯერმე უძლიერეს გამაყურებლებს ვსვამდი, მერე კი უკვე ინიექციებს ვიკეთებდი. ასე გავგრძელება აღარ შემეძლო და იძულებული გავხდი, მკურნალობა ჩემი ხარჯით გამეგრძელებინა. ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე, ჩემს პატარა ბიზნესში ჩადებული თანხა მივამატე და გერმანიამ წავედი. ოპერაცია დიდი თანხა დამიჯდა, მაგრამ რაკი დაინვალიდებას გადავურჩი, არაფერი მიხდა.

— თავდაცვის სამინისტროს თუ მიმართეთ დახმარებისთვის?

— ჩენი უწყება მატერიალურ დახმარებებს არ იძლევა... ზოგმა მიმართა შუამდგომლობისთვის, მაგრამ როგორც გუარკვიე, ამ სამხედრო პირებს კონტრაქტი ვადამდე აღრე გაუშქმეს, ზოგს კი ისეთი პირობები შეუქმნეს, თვითონ წამოვიდა... საპატიო მიზეზი მქონდა და წვრთნებში არ ვმონაწილეობდი, მარტში კი კონტრაქტის ვადა დამიძაჰრდა და აღარ გამიგრძელებია.



ამისთვის არც ჯანმრთელობა მიწვობს ხელს და თუნდაც სალსალამათი ვიყო, სამხედრო სისტემაში დარჩენის სურვილი დავკარგე. ასეთი დამოკიდებულება მეომრის ფსიქოლოგიაზე დამანგრეველად მოქმედებს. სამშობლო ყველას უყვარს, მაგრამ სახელმწიფომაც უნდა აიღოს ვალდებულება და დაჭრულს უპატრონოს. გამოდის, სანამ კარგად ვარ, ვჭირდები, მაგრამ თუ ჯანმრთელობის პრობლემა შემიქმნა, მზად არის, სანაგვეზე მომისროლოს.

დათო, 21 წლის, ჯარისკაცი:

— ომის შემდეგ ფსიქოლოგიური პრობლემები დამეწყო, ნერვული აშლილობა მაქვს. ვცდილობ, თავს მოეურო, მაგრამ ომის დღეებზე თავისთავად ვფიქრობ. სასმელს აღარ ვეკარები, მაგრამ ყოველდღე კომპარებს ვეღარ ვერევი. მითხრეს, ამ დაავადებას „ვიეტნამის სინდრომი“ ჰქვია და მკურნალობა გჭირდება რომელიმე კარგ ფსიქოლოგიურ ცენტრში, სადაც ერთი ფსიქოლოგიური სეანსის ღირებულება 20 ლარიდან იწყება. ერთმა ჩემმა მეგობარმა ამაზე რომ დაიხივლა, უპასუხეს, ომი ომია, აბა, იქ დისკოთეკა რომ ყოფილიყო, არავის გაუჭირდებოდაო.

— წვრთნები ომისთვის ფსიქოლოგიურად შემზადებას არ ითვალისწინებს?

— როგორ არა, მაგრამ რეალურ საბრძოლო მოქმედებებში მოხვედრამ მაინც ძალიან იმოქმედა. ჯავასთან ვიდევით, როცა მტრის ჭურვმა ჩემი თანამებრძოლი ნაფლეეთებად აქცია. მისი სხეულის ნაწილები ვერც კი ვნახეთ... ასეთივე პრობლემა ბევრ ჩემს მეგობარს აქვს, თვით რეინჯერის სკოლაგულის ბიჭებსაც.

— ისინი თუ მკურნალობენ?

— ზოგი კი, ზოგი — არა... ვისაც პატრონი ჰყავს, მკურნალობს, ზოგს ოჯახმა მიხედა. ჩემს ოჯახს ამის საშუალება არ აქვს, უდედამოდ გავიზარდე, მაძიად გამზარდა.

სამხედრო საქმე ძალიან მომწონდა, ვფიქრობდი, კონტრაქტს გააფორმებ-მეთქი, ახლა კი ასე ერთი ხელის მოსმით ვერ მივდივარ გადაწყვეტილებას... სამშობლო მიყვარს, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ სახელმწიფოს მაშინ ვჭირდები, სანამ კარგად ვარ. ერთხელ იმასაც შევესწარი, როგორც დავეყვს კატეგორიებად აფხაზეთის ომის მონაწილეები და ჩვენ, ცხინვალის მეომრები. ძველებს შევარდნადის ომის ინვალიდები უწოდეს. გამოდის, ჩვენ სააკაშვილის ომის ინვალიდები ვართ. აგვისტოს ბოლოს, როცა ომის ქარცეცხლი ახალი ჩაგლილი იყო, აფხაზეთის ომის ერთმა ინ-



ვეთორეაზე კლასიფიკაცია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვლიდმა თქვა, ამ ბიჭებს თან ჰყვებიან, ჩვენ კი ჭრილობის გადასახვევი ბინტიც არ გვექონდა. მართალი იყო ის კაცი... თავს არავის ვაცოდებ, ჩემი ფუნქცია ზედმეტი ვიცი და ისიც კარგად მესმის, რომ მეომარი ვეღვაფრისთვის მზად უნდა იყოს, ინვალიდობისთვისა და სიკვდილისთვისაც კი, მაგრამ ძნელი ასატანია, როცა სახელმწიფო არ ზრუნავს შენზე. ბევრმა დაკარგა სამხედრო სამსახურის გაგრძელების სურვილი. ბიჭებს იმის შიში აქვთ, თუ სამკურნალო გავხდით, კარდაკარ მოგვიწვევს მათხოვრობა. მით უმეტეს, როცა ქართული არმია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა. მართალი ვითხრათ, იმ ომით გამოწვეული შიშის ფაქტორი ჯერ კიდევ მწკვედ დავს ქართულ ჯარში. ძნელია ასეთ პირობებში ჯარისკაცს პატრიოტიზმი და ერთგულება მოსთხოვო.

რამდენად ადევენს თვალს თვდაცვის სამინისტრო სამხედრო პირების ხანგრძლივ მკურნალობას, ვის უნდა მიმართონ დარღვევების შემთხვევაში დაზარალებულებმა, როგორია თვდაცვის სამინისტროს როლი იმ შემთხვევაში, თუ სამკურნალო დაწესებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებაზე უარს აცხადებს და ოფიციალური მონაცემებით რამდენ სამხედრო პირს სჭირდება რეაბილიტაცია, ამის გასარკვევად „არსენალი“ თვდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მიმართა:

— თვდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ცნინვალის ომში მონაწილე რამდენ სამხედრო მოსამსახურეს სჭირდება ხანგრძლივი მკურნალობა?

— დღეს ხანგრძლივ სამედიცინო მკურნალობას გადის მხოლოდ 2 კაცი. რეზერვისტი დაჩი ხურცილაია, რომელსაც მუცლის ღრუში შეეჭრა ინფექცია, ხანგრძლივი მკურნალობის კურსს გერმანიაში გადის, ხოლო მაიორი გრიგოლ მინაგორაშვილი — გორის სამხედრო ჰოსპიტალსა და თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტში. მას ხერხემლის დაზიანება ჰქონდა. ასევე 18 სამხედრო მოსამსახურეს უტარდება კიდურებისა (თურქეთის რესპუბლიკაში) და თვალის (საქართველოში მოწვეული უცხოელი სპეციალისტების მიერ) პროთეზირება.

— ვინ მეთვალყურეობს მათ მკურნალობას?

— ამ პროცესში შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის ვეველა რგოლია ჩართული და პასუხისმგებელია დაჭრილების მეთვალყურეობასა და მათ შემდგომ რეაბილიტაციაზე. ასევე არსებობს სათანადო კავშირები NATO-ს წევრ ქვეყნებთან, რომლებიც ქართულ მხარეს დაჭრილების რეაბილიტაციამო ეხმარებიან.

— სამკურნალო დანებსებულებები ხშირად უარს ამბობენ სამხედრო მოსამსახურეების ხანგრძლივ და ძვირად ღირებულ მკურნალობაზე, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება იმ ოდენობის თანხებს არ ითვალისწინებს. მსგავს შემთხვევებში როგორია თვდაცვის სამინისტროს როლი?

— თვდაცვის სამინისტრო დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს მკურნალობს სამხედრო სამედიცინო დაწესებულებებში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ტარდება მკურნალობა ამ დაწესებულებებში, მკურნალობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაწილს თავის თავზე იღებს სადაზღვევო კომპანია IC-ჯგუფი; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო კომპანია ვერ აფინანსებს მკურნალობას, მას აფინანსებს თვდაცვის სამინისტრო.

სახელდობრ ომში მიღებულ დაზიანებებს აფინანსებს ასევე ჯანდაცვის სამინისტრო, თუ მკურნალობის ჩატარება შესაძლებელია საქართველოს სპეციალიზებულ კლინიკებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეები იგზავნიებიან საზღვარგარეთ სპეციალიზებულ კლინიკებში თვდაცვის სამინისტროს ხარჯით.

ლალი პაპასკირი

თუ ვინმეს სურვილი აქვს და მოგვემართოს, მის მოთხოვნას აუცილებლად ვაკმაყოფილებთ. თუ რომელ ძალოვან უწყებაში უნდა წვევამდელს წასვლა, პრობლემა არ არის, თუ იმ ეტაპზე შევსებული არ არის ადგილები.

არის ასევე საკონტრაქტო სამსახური, რომელიც რატომღაც ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩება. ვგულისხმობ დაცვის პოლიციის, სამთავრობო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და თვდაცვის უწყების საკონტრაქტო სამსახურს. წვევამდელს სურვილის შემთხვევაში შეუძლია ერთწლიანი ვადით წავიდეს საკონტრაქტო სამსახურში, სადაც წლის ბოლოს ჩვეულებრივ სამხედრო ვალდებულებაც მოხდის და ჩათვლება და გადავა რეზერვში. ამ სახით რამდენიმე ათასი ახალგაზრდა მსახურობს ჯარში. ჩემი აზრით, ეს ძალიან დემოკრატიული მიდგომაა საკითხისადმი.

— სარეზერვო სამსახურში ხომ არ არის სიახლე? რა ბედი ეწევა იმ რეზერვისტებს, რომლებმაც სამჯერადი სარეზერვო შეკრებიდან მხოლოდ ერთის ან ორის გავლა მოასწრეს?

— ველოდებით კანონში ცვლილებებს, ახალი კანონი განსაზღვრავს ვეველაფერს. საერაულოდ, ვეველაფერი ერთ თვეში გახდება ცნობილი.

— რაც შეეხება კანონში ცვლილებას გადავადების მოსაკრებელთან დაკავშირებით, 2006 წელს წელიწადნახევრის გადავადების თანხად 2.000 ლარი დადგინდა, მაშინ როცა მანამდე ერთწლიანი გადავადების მოსაკრებელი 200 ლარს ითვალისწინებდა, ხოლო 27 წლამდე გადავადება — 2.000 ლარს და ეს სისტემა ძალიან ამართლებდა. როგორ აისახა ცვლილება ბიუჯეტზე?

— გადავადების მოსაკრებლის შემოტანა, ჩემი აზრით, ბიუჯეტის შესავსებად არ იყო განსაზღვრული. ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დემოკრატიისა, როცა პირს აძლევს საშუალებას, მოაგვაროს პრობლემები და შემდეგ მოიხადოს ქვეყნის წინაშე კანონით გათვალისწინებული ვალი.

— მაგრამ ამის გაკეთება 200 ლარად უფრო მარტივი არ იყო?

— ამაზე მე ვერ გიპასუხებთ, მოსაკრებლის რაოდენობის განსაზღვრა ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მე შემიძლია ვაგაცნოთ ოფიციალური მონაცემები, თუ რამდენმა პირმა შემოიტანა გადავადების მოსაკრებელი კანონში ცვლილების შემდეგ და თვად გამოიტანეთ დასკვნა: 2007 წლის შემოდგომაზე ჯარიდან გათავისუფლდა 530-მდე პირი; 2008 წლის გაზაფხულზე 540-მდე; ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე — 630-მდე წვევამდელი. როგორც ხედავთ მაჩვენებელი ზრდადია. (ჩვენ მოვიპოვეთ წინა წლების მონაცემებიც: 2002 წელს ერთი წლით 2396 კაცი გათავისუფლდა; 2003 წელს — 4935; 2004 წელს — 8350-მა წვევამდელმა გადაიხდა 200 ლარი, ხოლო 52-მა კაცმა — 2.000 ლარი; 2006 წელს — 6441-მა 200 ლარი გადაიხდა, 288 პირმა — 2.000 ლარი. გამოდის, რომ სანამ გადავადების მოსაკრებელი 200 ლარი იყო, თითქმის 10-ჯერ მეტი წვევამდელი სარეგებობდა ამ საშუალებით. — ავტ.).

— რას იტყვით სამედიცინო კომისიაზე?

— ძირეული ცვლილებები არც ამ მიმართულებით გვაქვს. გაწვეული კონტინგენტის 40-50% წუნია. ამხელა პროცენტული მაჩვენებელი იმიტომ გვაქვს, რომ სამედიცინო კომისიები ადრე ადგილობრივ თვითმმართველობებში იყო და ადგილზე ხდებოდა გაცხრილვა. ჩვენამდე უკვე შედარებით ჯანმრთელი კონტინგენტი მოდიოდა.

პირდაპირ ჯარში?!

— ძირითადად, რა დაავადებები გხვდებათ?
— მიმდინარე გაწვევაზე გამოკვეთილი მიმართულებებია ტრავმატოლოგიური, ფსიქონევროლოგიური და ინფექციური. ნაკლებია თერაპიული, თვალისა და ქირურგიული პრობლემები.

— ბატონო გოჩა, სამინისტროების კვოტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გასაწვევი კონტინგენტის რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით მომატებული არ არის, პირიქით, დაკლებულიცაა, მაშ, რატომ გახდა საჭირო განვევის ვადის გახანგრძლივება?

— გეთანხმებით, წვევამდელთა რაოდენობა წინა გაწვევასთან შედარებით ნაკლებია. რატომ გაგრძელდა ვადა პირველ აგვისტომდე, ჩემთვის უცნობია. ჩვენ ბრძანების შესაბამისად ემოქმედებთ. ფაქტობრივად, ჩვენ სამუშაოს შესრულებას მაისის ბოლომდე მოვასწრებდით, მაგრამ, ალბათ, სამინისტროებს ფინანსების აქვთ შტაბების შევსება და ამიტომ გახანგრძლივდა ვადა.

— სწორედ ამის გამო შეიქმნა გაურკვევლობა იმ მეთორმეტეკლასელების განვევის საქმეში, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 18 წელი. რატომ თავიდანვე არ იქნა გათვალისწინებული ეს საკითხი?

— იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა რამდენიმე მოსწავლე გამოიძახეს კომისარიატში, ვაზუსტებ, გამოიძახეს, და არა გაიწვიეს, მაგრამ მოსწავლეობის ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში მათ აუცილებლად გადაუადგებდათ სამხედრო-საჯალდებულო სამსახური.

— მაგრამ ეს ბავშვები იცნობს თვეში იღებენ ატესტატებს, ეროვნული გამოცდები კი ერთი თვის შემდეგ არის და ისინი, ფაქტობრივად, აღარც მოსწავლეები იქნებიან და ჯერ არც სტუდენტები, განვევა კი პრეზიდენტის ბრძანებულებით აგვისტომდე გრძელდება და დიდი შანსია, გასაწვევთა კონტინგენტში მოჰყვნენ.

— მართალია, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მეცხრე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს, რომ თუ მოქალაქე არის 18-დან 27 წლამდე და არ აქვს გადაადგების ან გათავისუფლების უფლება, ის ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას, მაგრამ ამ კატეგორიაში მოხვედრილი ახალგაზრდები და მათი მშობლები მინდა დაფარულიყო: ადრეც და ახლაც გაწვევები, როგორც წესი, უფროსი ასაკიდან მიმდინარეობს. პირველ რიგში 24-27 წლის პირების გამოძახება ხდება. შემდეგ გადადივართ შედარებით დაბალ ასაკზე. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ნაკლებსაყარაუდოა ამ პირების გაწვევა. მაისში, ფაქტობრივად, მთავრდება გაწვევა. ივლისის თვეში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროდა იწვევს. თანაც, წინსწრებით, ამ სამინისტროს კვოტის დიდი ნაწილი უკვე შევსებულია და ივლისის თვეში საშუალოდ 70 კაცამდელა დარჩება გასაწვევი. ჩვენ ვეცდებით მეთორმეტეკლასელებს მივცეთ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების საშუალება. სექტემბრამდე გაირკვევა, ჩაირიცხნენ თუ არა და შესაბამისად, შეეხებათ კანონით დადგენილი წესი.

პრობლემის განხილვა უფრო ამომწურავი რომ ყოფილიყო, განათლების და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროს თათია ებრალიძეს ვესაუბრეთ:

— მაქსიმუმ 10 დღეში იქნება პოზიცია ჩამოყალიბებული (ინტერვიუ ჩაწერილია 24 აპრილს. — ვტ.). ვიცი, რომ ამ ბავშვებისათვის თითოეული დღე მნიშვნელოვანია, ამიტომ პროექტი გამზადებულია და ამაზე დრო აღარ დაიხარჯება. სამართლებრივი გზებიც მოძებნილია, ახლა ველოდებით, როდის დამტკიცდება პროექტი, გაიცემა პრეზიდენტის ბრძანებულება.

— ქალბატონო თათია, როდესაც დადგინდა საშუალო განათლების მისაღებად 12-წლიანი სწავლება, რატომ მაშინ არ გაითვალისწინეს კანონში, რომ



მეთორმეტეკლასელი ვაჟების უმრავლესობა სრულწლოვანი იქნებოდა და სამხედრო-საჯალდებულო სამსახური მოუწევდათ?

— პრობლემა დღის წესრიგში ახლა იმიტომ დადგა, რომ სამხედრო გაწვევების ვადა აგვისტომდე გაგრძელდა და ამ საკითხზე შეშაობა ახლა ამიტომ დაეიწყეთ. თანაც, ეს მხოლოდ განათლების და მეცნიერების სამინისტროს პერიოგატივა არ არის. აქ საკმაოდ კომპლექსური სამუშაოა შესასრულებელი, უშიშროების საბჭოსა და ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან შეთანხმებით. ვეცდებით მაქსიმალურად სწრაფად მოვაგვაროთ პრობლემა.

P.S. იმედია, ზემოხსენებული, ვითომდა, წვრილმანი ლაფსუსი მალე აღმოიფხვრება და ახალგაზრდები, სკოლიდან პირდაპირ ჯარში არ მოხვებიან.

როგორც ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორმა ირაკლი სესიაშვილმა, რომელიც უკვე ათი წელია წვევამდელთა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს იცავს, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შედგავის სკოლადამთავრებული და 18 წლის ახალგაზრდებისათვის და მათი საჯალდებულო სამსახურში გაწვევა სკოლის დამთავრების (ან 18 წლის შესრულების) მერე დღესვე შეუძლიათ, ისე, რომ არ დააცადონ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება. ამით საქართველოს კანონმდებლობა ახალგაზრდების ნაწილს არაპირდაპირი სახით უზღუდავს განათლების მიღების გაგრძელების უფლებას, რაც კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევაა“.

ინტე მამუკაძე

კავკასიური მოვლენების

აზერბაიჯანი

18 აპრილს ბაქოში დაიწყო „პარტ-ნიორობა მშვიდობის“ პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო სწავლება „რეჯიონალ რუსპონს-2009“. სწავლების მონაწილეებს მიესალმა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი ეივან ჯაფაროვი და ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალი გენერალი კარტერ ჰევი.

სწავლების სამი დღე საშტაბო და ხუთი დღე საველე წვრთნებს დაეთმობა, რომლებიც მოიცავენ საკონტროლო-გამშვები პუნქტის მოწყობის, გზებზე უსაფრთხოების, საიდუმლო დოკუმენტაციის მომზადების, შენობების ბლოკირება-შემოწმების, ანგარიშების მომზადებისა და სხვა სახის ამოცანათა დამუშავებას.

● მოსკოვში ვიზიტად მყოფი აზერბაიჯანის პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს შეხვდა. საუბრის დროს ამ უკანასკნელმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს საქართველოსთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შეწყვეტა სთხოვა, რომელიც საბრძოლო მასალების შემოტანას შეეხებოდა.

სომხეთი

სტრატეგიული და ეროვნული კვლევების სომხეთის ცენტრის დირექტორი რიჩარდ გირაგოსიანი მიიჩნევს,

ყარაბაღი სომხეთს აიძულებს არმია ბრძოლისუნარიანი ჰყავდეს



პრეზიდენტი ალიევი არმიის გაძლიერებას დიდ ყურადღებას უთმობს



რომ აზერბაიჯანმა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები არასწორად გაიგო. მისი აზრით, ბაქოში საქართველოს მთავარ შეცდომად თვლიან ძალის გამოყენებას იმ პირობებში, როცა ქვეყანა ომისათვის მზად არ იყო, ხოლო აზერბაიჯანი ძალას გამოიყენებს მაშინ, როცა გამარჯვებაში დარწმუნებული იქნება. მისივე აზრით, ომის მთავარი გაკვეთილია გაყინული კონფლიქტების იარაღით გადაწყვეტის შეუძლებლობა. სომეხი პოლიტოლოგის შეხედულებით რეგიონში რუსეთის როლი გამომჩნდა და ამით საქართველოს NATO-ში შესვლის იმედიც დასრულდა, დასუსტდა

საქართველოს პოტენციალი და დასავლეთისათვის კავკასიაში საქართველოს დასაყრდენად გადაქცევის მოლოდინი კრახამდე მივიდა.

● რუსეთისა და სომხეთის გაერთიანებული საჰაერო თვითდაცვის ჩამოყალიბება 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს.

ჩრდილო კავკასია

რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა 16 აპრილს ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციის რეჟიმი გააუქმა, რომელიც იქ 1999 წლიდან მოქმედებდა და რომლის გაუქმებასაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ბოლო დროს აქტიურად მოითხოვდა. ამის შემდეგ ჩეჩნეთს შინაგანი ჯარის ქვედანაყოფები დატოვებენ, გროზნოს აეროპორტი საერთაშორისო სტატუსს მიიღებს და რესპუბლიკა ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგება.

ჩეჩნეთიდან გაყვანა 25 ათას სამხედროსა და მილიციელს მოეწიება. მათ შორის არიან ფედერალური უშიშროების სამსახურისა და მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ქვედანაყოფები, კონტრაქტით მომსახურე მოცილებილი ჯარისკაცები და მილიციელები. ჩეჩნეთში დარჩება შინაგანი ჯარების 46-ე ბრიგადა და რეფორმირების სტადიაში მყოფი 42-ე მოტომსროლელი დივიზია.

გიგოსილვა...

კონფლიქტი კავშირები

აფხაზეთი

კოდორის ხეობაში სოფელ წებელ-დასთან მდებარე პოლიგონზე დასრულდა სეპარატისტთა საარტილერიო ნაწილების, ქვედანაყოფებისა და სოხუმის უმაღლესი სამხედრო-სამეთაურო სასწავლებლის კურსანტების სწავლება, სადაც სამხედროებმა სხვადასხვა საარტილერიო სისტემიდან სროლაში ივარჯიშეს.

2 აპრილს პოლიგონზე ბანაკი გაიშალა და ორი კვირის განმავლობაში სვალდებულო სამსახურით გაწვეულებმა, კონტრაქტით მომსახურებმა და კურსანტებმა საბრძოლო და სამხედრო მოზადება გაიარეს. ყურადღება ექცეოდა სამეთაურო თვისებათა გამოუმუშავებას, სროლის გათვლებს, სროლის სიზუსტესა და ცეცხლის მართვას.

სწავლების დასკვნით ნაწილში საარტილერიო პოლკის, მე-3 ცალკეულ სამთო-მსროლელთა და მე-2 ცალკეულ საზღვაო ქვეითთა ბატალიონების ნაღმსატყორცთა გათვლებმა სროლა „გრადის“ დანადგარებით, 120 მმ-იანი და 82 მმ-იანი ნაღმსატყორცებით შეასრულეს.

სწავლების შედეგები სეპარატისტთა გენშტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლი ზაიცევმა „კარგითა“ და „ფრიადით“ შეაფასა.

● აფხაზ სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ-მაიორ ზაქანბეი ნანბას ინფორმაციით, აპრილში გალის რაიონში განლაგებული ქვედანაყოფების როტაცია განხორციელდა გუდაუთის რუსული მე-7 ბაზის შემადგენლობაში მყოფი სხვა ნაწილებით. ბაზის პირადი შემადგენლობა მაიკოპის 131-ე მოტომსროლელი ბრიგადით არის დაკომპლექტებული.

● 17 აპრილს სეპარატისტთა ლიდერმა ბაღაფშმა მოსკოვში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სოხუმი გალის რაიონში საზღვარს აძლიერებს და ასე გაკეთდება ყოველთვის, როცა საქართველოში არეულობა იქნება. ბაღაფშის თქმით, „ჩვენ ამისაგან დავიდალეთ. რადგანაც საქართველოში არეულობა ძალიან ხშირად ხდება, ამიტომ ჩვენთან სწავლებები ყოველ ორ თვეში ტარდება“. ვაზიანში დაგეგმილი

ყარაბალი ისევ ცხელ წერტილად რჩება



სწავლების თაობაზე კი განაცხადა, საპასუხო სწავლებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარდება. მისივე შეფასებით, NATO-ს სწავლებები რეგიონის სტაბილიზაციას არ უქადის, რადგან სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარების მიზეზი საქართველოა. „ჩვენ თვალყურს ვადევნებთ სიტუაციას და ვაძხადებთ პასუხს. დაე, საქართველომ იფიქროს, როგორ აპირებს მომავალში ცხოვრებას“, — ამ სიტყვებით დაასრულა სეპარატისტთა ლიდერმა პრესკონფერენცია.

ყარაბალი

თვითაღიარებული ყარაბალის სამხედრო-სპორტულმა ლიცეუმმა, რომელიც ყარაბალის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ ქრისტოფ ივანიანის სახელს ატარებს, არსებობის მერვე წლისთავი აღნიშნა. ლიცეუმში მდიან ახალგაზრდები რვაწლიანი კანონით და სწავლას მე-9-10 კლასის პროგრამით გადიან, მაგრამ გაძლიერებული სამხედრო-სპორტული განხრით. კურს-

დამთავრებულებისათვის სწავლის სამხედრო სასწავლებელში გაგრძელება აუცილებელი არ არის, მაგრამ უმრავლესობა მაინც სამხედრო პროფესიას ირჩევს.

ქრისტოფ ივანიანი 1920 წლის 20 დეკემბერს თბილისში დაიბადა, დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, მონაწილეობდა II მსოფლიო ომში და ომის შემდეგ საბჭოთა არმიაში მაღალი თანამდებობები ეკავა. 1992 წელს 72 წლის პენსიონერი გენერალი სანქტ-პეტერბურგიდან ყარაბალში თანამემამულეთა დასახმარებლად ჩავიდა და დიდი წვლილი შეიტანა ყარაბალის არმიის, განსაკუთრებით, არტილერიის ჩამოყალიბებაში, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ოპერაციას. გარდაიცვალა 1999 წლის 30 აგვისტოს სანქტ-პეტერბურგში.

● 13 აპრილს მთიანი ყარაბალის არმიამ ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლება დაიწყო. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბაკო სააკიანმა პრემიერ-მინისტრ არა არუთინიანისა და თავდაცვის მინისტრ მოვსეს აკოფიანის თანხლებით მონაახულა რეზერვისტთა შეკრების ადგილები და რამდენიმე სამხედრო ნაწილი.

თეიმურ ჩაჩანიძე

სეპარატისტული აფხაზეთის არმია ყოველ ორ თვეში ერთ სწავლებას ატარებს



რუსული სამხედრო ავიაციის „ახალი“ პარსკვლავები...



22 აპრილს რუსეთის სენატორებმა არ დაამტკიცეს კანონპროექტი, რომელიც რუსეთის საჰაერო კოდექსში ცვლილებების შეტანას ისახავდა მიზნად. ცვლილება ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების განმასხვავებელი ნიშნების შეცვლას ეხებოდა. მანამდე აღნიშნული კანონპროექტი 8 აპრილს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მესამე განხილვით დაამტკიცა განმასხვავებელი ნიშნების ცვლილების პროექტი და შემდგომი დამტკიცებისთვის სენატს გადასცა. ახალი კანონის თანახმად, ანალოგიური წითელი ვარსკვლავის შენარჩუნებისას, შიგნითა კონტურზე მას ლურჯი ზოლი ემატებოდა და განმასხვავებელი ნიშანი რუსეთის სახელმწიფო დროშის ფერებს იძენდა. თავდაპირველად, ცვლილების მიღება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ მისი განხილვა ახალი სიმბოლიკის სურათის არარსებობის გამო გადაიდო.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო

ძალების მთავარი შტაბის ხელმძღვანელ ვადიმ ვოლკოვიცის განმარტებით, სამხედრო ავიაციის განმასხვავებელი ნიშნის ცვლილება მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებითაა განპირობებული, კერძოდ, აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსულ და ქართულ სამხედრო თვითმფრინავებს ერთნაირი განმასხვავებელი ნიშნები — წითელი ვარსკვლავები ჰქონდათ, რადგან ანალოგიური სიმბოლიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დსთ-ის ქვეყნებმა დაიტოვეს.

ამ სიტყვების შემდეგ ძნელია, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გენშტაბის ხელმძღვანელის კომპეტენტურობაში ეჭვი არ შეიტანო. სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსები ქართული განმასხვავებელი ნიშნის უცოდინრობას ამჟღავნებენ. 2001 წელს ლე-ბურჟეს ავიასალონზე „თბილავიამშენსა“ და ებრაული „ელბიტის“ ერთობლივად მოდერნიზებული Cy-25KM-ის „სკორპიონის“ ჩატანის

შემდეგ, ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა დაწერა, რომ ქართველები თვითმფრინავის მოდერნიზაციის გამო ებრაელების იმდენად მაღლიერი არიან, თვინათ თვითმფრინავზე დავითის ვარსკვლავი დაახატესო. არ არის გამორიცხული, რომ რუს ჟურნალისტს მხედველობის პრობლემა ჰქონდა და სწორედ ამით იყო განპირობებული ქართული წითელი და ებრაული ლურჯი ვარსკვლავების გარჩევაში დაშვებული შეცდომა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა რუსეთმა სამხედრო ავიაციის განმასხვავებელ ნიშნად ჯერ კიდევ 1917 წელს წითელი არმიის სიმბოლოდ მიღებული ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი დატოვა, რომელიც ხუთი კონტინენტის პროლეტარიატის ერთობას ასახიერებდა. 60-იან წლებში საბჭოთა კავშირმა განმასხვავებელ ნიშანში მცირე ცვლილება შეიტანა და წითელი ვარსკვლავის გარშემო არსებულ თეთრ ზოლს შედარებით ვიწრო წითელი ზოლი დაუმატა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ სამხედრო-საჰაერო ძალების განმასხვავებელ ნიშნად თეთრ წრეში ჩასმული შვიდქიმიანი წითელი ვარსკვლავი ავირჩიეთ. თეთრ წრეს გარედან ლურჯი ზოლი გასდევს. აფხაზეთის ომის დროს ქართული ავიაცია უკვე ახალი განმასხვავებელი ნიშნებით დაფრინავდა.

აგვისტოს ომში კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის შეიარაღებაში არსებული მოიერიშე Cy-25-ების მფლობელის განსხვავებაში სირთულეები მართლაც იყო. 8 აგვისტოს საქართველოზე საჰაერო იერიშის მიტანისას რამდენჯერმე იყო შემთხვევა,

„ლიბა“

სამკურნალო ბაიოტიანება

სემსოკათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე



მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24





როდესაც Cy-25-ები ქართველებს თავიანთი ეკონათ.

80-100მ-ში მიწაზე მდგარ საფრენ აპარატზე ნორმალური მხედველობის მქონე კაცს მის ბორტზე დატანილი რუსული თუ ქართული განმასხვავებელი ნიშნის გარჩევა, ერთი და იმავე ძირითადი ფერის მიუხედავად, არ გაუჭირდება. მაგრამ თუ თვითმფრინავი 300-400მ-ის სიმაღლეზეც კი 500კმ/სთ-ის სიჩქარით მიფრინავს, საქმე რთულდება. ამ შემთხვევაში დიდი სიჩქარით მფრენი ობიექტისა და მით უმეტეს, მას-



აღბათ რუსი ჟურნალისტის მიერ წითელი, ქართული და ლურჯი ებრაული ვარსკვლავების არევა მხედველობის პრობლემით იყო განპირობებული და მან არც თვლა იცოდა, როდესაც ებრაული დავითის ექვსქმიანი ვარსკვლავი ქართულ შვიდექმიანში აურიო...

სკვლავები ყოფილიყო დახატული. მაგრამ სენატმა ის არ დაამტკიცა იმ მიზეზით, რომ ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავზე წითელ ვარსკვლავში ცვლილების შეტანა ვეტერანების უპატივცემულობა იქნებოდა. თავდაცვის სამინისტრო სენატში კანონის დამტკიცებას არ დაელოდა და თავად დაიწყო ალლუმში მონაწილე საფრენ აპარატებზე წითელი ვარსკვლავების გადაღება. გამოდის, 9 მაისს წითელი მოედნის თავზე რუსული თვითმფრინავები დაუმტკიცებელი განმასხვავებელი ნიშნებით იფრენენ.

თამარ კულუზაშვილი

საბჭოთა და „ახალი“ რუსული

თან შედარებით გაცილებით პატარა ზომის მქონე განმასხვავებელი ნიშნის გარჩევა თვალს ძალიან უჭირს.

გაუგებარი მხოლოდ ის არის, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ვარსკვლავის წითელი ნაწილის შიდა მხარეს ვიწრო ლურჯი ზოლის დატანით სჯერა თუ არა, რომ რუსი სამხედროები 300-400მ-ის სიმაღლეზე მფრენ თვითმფრინავსა თუ შვეულმფრენზე ამ ლურჯი

წითელი ვარსკვლავი

ზოლებით დატანილ განმასხვავებელ ნიშანს უკეთესად გააჩვენენ და ისევ თავისიანებს არ ჩამოადგებენ, როგორც ეს აგვისტოს ომში იყო.

კანონპროექტში ცვლილების შეტანას რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ვეველანაირად აჩქარებდა, რადგან უნდოდა, რომ 9 მაისს გამარჯვების ალლუმზე წითელი მოედნის თავზე გადაფრენილ თვითმფრინავებზე ახალი ვარ-



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მოუთმენლობის გამო, 9 მაისს რუსული თვითმფრინავები არაოფიციალური განმასხვავებელი ნიშნებით იფრენენ

სამხედრო
პარლამენტის
პროცესი
ბიკლი

აპერიკა გაენაღბუკიბელ-ბომბლაბუნს ბვიბზავნის



ალექსანდრე ქართველის „დაბრუნება“ საქართველოში

გასულ საუკუნეში აშშ-ში მოღვაწე დიდი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველიშვილის შესახებ „არსენალში“ რამდენჯერმე დაიწერა. ბოლოს ჩვენმა მკითხველმა შეიტყო, რომ ამ დიდი ქართველის შესახებ რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს იღებს, რომლის პრემიერაც ამერიკაში, საგარეუდოდ, შემოდგომაზე გაიმართება. სწორედ ქართველიშვილის ცხოვრების კვლევისას გაუჩნდა რეჟისორს იდეა, რომ ალექსანდრე ქართველის შექმნილი ერთ-ერთი თვითმფრინავი მის სამშობლოშიც მდგარიყო. რამაზ ბლუაშვილის ამ თითქოს უტოპიურ იდეას მისი წყალობით თითქმის ხორცი შეეხსნა, — რამდენიმე თვეში 50-იან წლებში ალექსანდრე ქართველიშვილის კონსტრუირებული მსოფლიოში უდიდესი

გამანადგურებელ-ბომბდამშენი F-105 „ტანდერჩიფი“ საქართველოში ჩამოვა. — თვითმფრინავის ამერიკიდან საქართველოში ჩამოყვანის იდეას თავიდან ყველა სკეპტიკურად შებვდა. მართლაც, წარმოდგენელია სხვა ქვეყნის რიგითი მოქალაქისათვის ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან იმ დონის თვითმფრინავის გამოთხოვა, როგორც F-105 „ტანდერჩიფი“, მაგრამ რადგან ალექსანდრე ქართველიშვილზე ფილმს ვიღებ და მისი სახელის უკვდავოფა გადავწყვიტე, მიზნად დავისახე ამ სახითაც დამებრუნებინა საქართველოსათვის ეს უდიდესი ადამიანი. რატომ არ შეიძლება, მისი შექმნილი ერთ-ერთი თვითმფრინავი ჩამოვიყვანოთ საქართველოში? ბუნებრივია, ჩემთვის, რიგითი სამოქალაქო პირისათვის, ამაზე ოცნებაც

კი წარმოდგენელი იყო. არაფერი გამოივიდოდა, საქმეში საქართველოს სამხედრო ატაშე ამერიკაში მალხაზ ჯამურელი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე და მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია რომ არ ჩარეულიყვნენ. მალხაზ ჯამურელი იყო პირველი, ვინც ჩემი იდეის რეალურობა ირწმუნა. მე და ბატონი მალხაზი უკვე წელიწადზე მეტია ამ საკითხზე ვმუშაობთ და შედეგიც არის.

— **მოლაპარაკება რა ეტაპზეა?**


— საქართველოს სამხედრო ატაშე ამერიკაში ამჟამადაც მართავს მოლაპარაკებას შესაბამის უწყებებთან. უკვე მიმდინარეობს საქართველოში გამოსაგზავნი თვითმფრინავის შერჩევა. ისინი ამერიკის სხვადასხვა სამხედრო ბაზაშია

გადანაწილებული. ჩამოყვანის თარიღს ზუსტად ვერ გეტყვით ვცდილობთ, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, რადგან მინდა თვითმფრინავის საქართველოში ჩამოყვანის სცენა ფილმშიც შევიტანო. ვფიქრობ, ამ თვითმფრინავის ჩამოყვანით ქართველიშვილს სამშობლოში „დავაბრუნებთ“. ეს კადრი ფილმს დიდ ემოციურ დატვირთვას შემატებს.

— რატომ F-105? რითია გამორჩეული ალექსანდრე ქართველის სხვა ნამუშევრებისაგან?

— ჩემი დიდი სურვილი იყო, ჩამოგვეყვანა P-47, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელია, რადგან საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი P-47 სულ ექვსია დარჩენილი. სხვები მუზეუმებშია გამოფენილი. იყო ლაპარაკი A-10-ზე, რომელიც დღესაც დაფრინავს ერაყში და ქართველიშვილის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია.

ძალიან მინდა F-105 ჩამოვიყვანოთ, რადგან მის შექმნაში ქართველიშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მოგეხსენებათ, რაც უფრო ახალია თვითმფრინავი, მით მეტ ხალხს აქვს მის კონსტრუირებაში მონაწილეობა მიღებული, აქედან გამომდინარე, რადგან F-105 ქართველიშვილის მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზეა შექმნილი, იგი უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეს არის თვითმფრინავი-ლევანდა. F-105 ამ კლასის პირველი თვითმფრინავი იყო, რომელმაც ატომური ბომბი გადაიტანა. მასზე მუშაობა 1951 წლიდან დაიწყო, მაგრამ მისი პირველი



ალექსანდრე ქართველის ორი ქმნილება — მეორე მსოფლიო ომის დროინდელი P-47 „ტანდერბოლტი“ და ზებგერიოთი F-105 „ტანდერჩივი“ (ზემოთ)



გაფრენა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შედგა. ქართველიშვილი F-105-ზე დაახლოებით 7 წელს მუშაობდა. ეს არის ძალზე გამძლე საფრენი აპარატი, რომელსაც დიდი დაზიანების ატანა შეუძლია. უნიკალურია იმითაც, რომ F-105 მსოფლიოში არსებული გამანადგურებელი-ბომბდამშენი თვითმფრინავებიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდა და ამავე დროს ბგერის სიჩქარეზე უფრო სწრაფად დაფრინავს. გენერალმა ჯოზეფ მურმა F-105B-თი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მან ჩაკეტილ 100-კილომეტრიან მარშრუტზე 1958 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

სხვა ამერიკული თვითმფრინავები-

სგან გამორჩეულია იმითაც, რომ ვიეტნამის ომში საჰაერო ოპერაციების 75% სწორედ F-105-ის მონაწილეობით ჩატარდა. ვიეტნამის ომში კი მას ამერიკის სამხედრო ავიაციის ხერხემალსაც უწოდებდნენ.

— ამერიკის სამხედრო ავიაცია ამ თვითმფრინავს გვრუქნის თუ ვყიდულობთ?

— ვერ გეტყვით. ჩემთვის მთავარი ის არის, თვითმფრინავი საქართველოში ჩამოვიყვანოთ. უამრავი პროცედურაა გასაწვდილი. ლაპარაკი ხომ სამხედრო თვითმფრინავზეა, ამიტომ საქმე არც ისე მარტივადია. ბუნებრივია, თვითმფრინავი ვერ ჩამოფრინდება. როგორც სამუზეუმო ექ-

ქართველის გამანადგურებელ-ბომბდამშენს 6,7 ტონა საერთო მასის ბომბები და რაკეტები მიჰქონდა



თბილისში მალე ასეთი მრისხანე თვითმფრინავი გამოჩნდება



ჩ3060 დოსია:
 მოდიფიკაცია — F-105 Thunderchief
 ფრთის: გაქანი — 10.65მ
 ფართობი — 35.81მ²
 სიგრძე — 19.6მ
 სიმაღლე — 6.0მ
 მასა: ცარიელის — 127000კგ
 ნორმალური ასაფრენი — 17250კგ
 მაქსიმალური ასაფრენი — 23835კგ
 ძრავა — 1 Pratt & Whitney J75-P-19W
 წევა — 1x12000კგძალა
 მაქსიმალური სიჩქარე: მიწასთან — 1376კმ/სთ
 სიმაღლეზე — 2385კმ/სთ
 ფრენის მაქსიმალური მანძილი — 3980კმ
 მოქმედების საბრძოლო რადიუსი — 380კმ
 ფრენის სიმაღლე — 15850მ
 ეკიპაჟი — 1 კაცი
 საბრძოლო დატვირთვა — 6700კგ
 მოდიფიკაციები: YF-105A, YF-105B, JF-105B, F-105B, RF-105B, F-105C, F-105D, F-105E, RF-105D, F-105F, EF-105F, F-105G.

სპონატი, დაშლილი, არასაბრძოლო მდგომარეობაში გემით ჩამოვა საქართველოში. საქართველოს საავიაციო ქარხანაში აიწყო და საგამოფენოდ გამზადდება. ტრანსპორტირების ხარჯებს თავდაცვის სამინისტრო გაიღებს.

— სად გამოიფინება?
 — ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ძალიან მინდა საქართველოში სამხედრო მუზეუმის გახსნა, სადაც არა მარტო F-

105 განთავსდება. საქართველოს იმხელა საბრძოლო ისტორია აქვს, რომ ასეთი მუზეუმი აუცილებლად უნდა არსებობდეს.

— ის ფაქტი, რომ ამერიკა F-105-ს გვითმობს თუნდაც სამუზეუმო ექსპონატის სახით, უფრო მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე უბრალოდ თვითმფრინავის გადმოცემაა.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი და გურადსადები დეტალია. ის, რომ ამერიკაში ყველაზე ცნობილი ავიაკონსტრუქტორის თვითმფრინავი მის სამშობლოში დაიდგება, ძალზე მნიშვნელოვანია საქართველო-ამერიკის ურთიერთობებისათვის, უფრო კი მაშინ, როცა NATO-ში ინტეგრაცია ასე პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისათვის.

ნიკო მამუკაძე



მონადირეები სუმრობენ

„ჟულიკი“ მონადირეები

ხუთი მეგობარი კახეთში კაკაბზე სანადიროდ წავედით. ისე მოხდა, რომ ერთი ჩემი მეგობარი, თამაზ სურგულაძე, მინდორში გავაშაყიერე და სხვა დროს თუ მითმენდა ხოლმე, ამჯერად აღარ მომიტმინა და ძალიან გამინაწყენდა, თან მარტო მე კი არა, ყველას დაემდურა. საერთოდ, როცა ერთი თავს კარგად ვერ გრძნობს ან ნაწყენია, ყველას დისკომფორტი გვექმნება. ისეც ყოფილა, ვიდაციის გულსითვის ნადირობა მიგვიტოვებია და თბილისში დავბრუნებულვართ.

ბევრი ვიფიქრე, როგორ გამოიმეცოდა დანაშაული, რომ სხვებიც გამხიარულებულიყვნენ და დაძაბულობა განელებულიყო. ერთი შემოვლის შემდეგ, როცა მანქანებთან დავბრუნდით, ყველას გვქონდა ნანადირევი, გარდა თამაზისა. არ შევიძინეთ მისი გაბუტული სახე და ყველამ 1-2 კაკაბი დავუთმეთ. მეორე შემოვლიდან საღამო ხანს დავბრუნდით. არც ერთს არაფერი გვქონდა მონადირეული, თამაზს კი 5 კაკაბი მოეკლა. ახლა მას 12-13 კაკაბი ქონდა, ჩვენი ნაჩუქარი ფრინველიანად, ჩვენ კი, თითო-თითო კინკილა. ძალიან გამხიარულებული გვეჩვენა.

ნადირობაში ვინც გაყოფა არ იცის და მეგობარს ხელცარიელს გაუშვებს, მებორცეებს ვეძახით. თუ მეგობარია, შენიშვნას ვაძლევთ, თუ შემთხვევით მოხვედრილია, ვცდილობთ, მეორედ არ წაიყვანოთ. ნადირობისას ყველაფერი ზიარია.

საღამოს მასპინძელთან ვასშობის შემდეგ გამოვედით, რომ მანქანაში ყველაფერი ჩაგველაგებინა და თბილისში დავბრუნებულყავით. თამაზს ქეიფი ძალიან უყვარდა და სუფრიდან გვიან ადგა. ერთ ჩემს მეგობარს ვეუბნები, ამ ერთ გაბრაზებაში ეს ამდენი კაკაბით მიდის სახლში, ჩვენ კი ხელცარიელი ვბრუნდებით. ეგ ნამდვილად საგანგებოდ გაბრაზდა, ჩვენგან ნანადირევი რომ წაედო-მეთქი და ჩემი 2 კაკაბი უკან ავიღე, ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც. ჩავსხედით მანქანებში და წამოვედით თბილისში.

თამაზი შინ შესანიშნავ ხასიათზე მისულა, უტრაბახია, ნახეთ, რამდენი კაკაბი მოვიანადირეო. ზურგჩანთა რომ გაუხსნია, საკიდარზე ერთი კაკაბი დახვედრია. მეორე დილით უთენია



კაცი ნადირობაში იცნობა

„მაგის თოფს ისეთი მიტანა აქვს, მაგ სიმორეზე ჰატარძალს არ გაატანენ ჯავს“, „ეგ ვაზნაში იმდენ დენტოს ყრის, ქუთაისში რომ გაისვრის, სამტრედიიაში „სტოიკაზე“ დამდგარი ძაღლი გარბის და მწყრის ძებნას იწყებს“, – საინტერესოა, არა? ეს მონადირეების გამონათქვამებია, რომელიც ბაჩო ცინცაძემ გაგვანდო. ბაჩო პროფესიონალი მონადირეა, 42 წელია, სუზონი არ გამოუტოვებია, სანადიროდ კი 7 წლიდან დადის. თავიდან მამას დაჰყვებოდა, ახლა სხვები დაჰყავს და მათ ასწავლის ნადირობის საიდუმლოს. ერთ ჯერზე, ანუ ნახევარ სანადირო დღეში, 36 ხობობი მოუკლავს. თითქმის არასდროს ჰყოლია წმინდა ჯიშის ძაღლი. ხან სპანიელისა და ჯერცხალის ნაჯვარი ჰყავდა, ხანაც – სპანიელისა და დრათჰარის, რადგან ასეთ შემთხვევაში ცხოველი ორი ძაღლის თვისებებს იღებს. ძირითადად, ფრინველზე ნადირობს: კაკაბზე, იხვზე, ტყის ქათამზე, მწყერზე, ხობობზე, ღურაჯზე. ოდონდ ღურაჯს საქართველოში არასდროს ესვრის. სანადიროდ ხშირად აზერბაიჯანშიც გადადის. 4-5 მეგობარი ტყესა და მინდორში ჭირსაც და ლხინსაც თანაბრად იზიარებს. როგორც ბატონი ბაჩო ამბობს, კაცი ნადირობაში იცნობა.

ერთმანეთის მწარე იუმორის მსხვერპლი ხშირად გამხდარან. ეს არის რამდენიმე სახალისო ისტორია მონადირეებზე, რომლებსაც გამოვდილი, მაგრამ დაუნდობლად ხუმარა მონადირე თავად გვიამბობს.



იხვზე სანადიროდ პალიასტომის ტბაზე



კახეთში თუ ღრუბლიანი ამინდი არ არის, 11 საათის შემდეგ ისე ცხელა, ვედარც ძალი მუშაობს და ფრინველიც გრილ ადგილებში, ტყეში შედის. საღამოს სანადიროდ 5 საათიდან გაედფართ ხოლმე.

თამაზს ერთხანს ხშირად ვუწყობდი ერთსა და იმავე ონს. ძალიან გრძელი სავაზზე ჰქონდა, 50 ვაზნამდე მაინც ეტეოდა. ჩვენ მაგის ნახევარი მიგვქონდა ხოლმე. თუ გამოგველეოდა, უკან ვბრუნდებოდი და ვიძარაგებდით. მას კი დროის ხარჯვა არ უნდოდა, რადგან ჟინი ჰქონდა, ჩვენზე ერთით მეტი მაინც მოუნადირა. ჭკუის სასწავლებლად ასეთი რამ მოვიფიქრე: როცა ჩამოცხებოდა, ბიჭები მანქანებთან ვიკრიბებოდით ხოლმე სასადილოდ. ვთხოვდი ბიჭებს, თუიანთი მწერები ეთხოვებინათ, მათ ჩემს ნანადირევს ვუმატებდი და ასე, 60 მწვერი გამოიძიოდა, რაც საუკეთესო შედეგია. მწერებს ისე ვკიდებდი, რომ დაბრუნებულ თამაზს მოსვლისთანავე შეეძინა. შორიდანვე დაინახავდა ხოლმე და სახეწაშლილი იკითხავდა, რომელმა გაფუჭებულმა იფუჟაკეთო? ყველანი ჩემზე აჩვენებდნენ თვალით. გიჟდებოდა. მივიდოდა და ასჯერ დაათვალიერებდა ჩემს თოფს, ვაზნებს და ძაღლს. მერე მეტყვოდა, შენი ძაღლი ლეკვებს რომ დაყრის, ერთი გადამინახეო. ვუბნებოდი, თამაზ, ჩემთან ერთად იარე, ხომ ხედავ, არც იღბალი გაქვს, არც შენს ძაღლს უვარგა ყნოსვა-მეთქი და იყო მერე ერთ განცდებში. ჩემი ყოვლისშემძლეობის ამბავი მთელ სამეგობროს მოსდო. კარგა ხანს ვატყუე ასე, სანამ

დაგვირეკა ყველას და სულ „ჟულიკები“ გვეძახა.

თვითმარკჰვია ყოვლისშემძლე

ამ კაცზე უამრავი რამის მოყოლა შემიძლია. ამჯერადაც კახეთში ვიყავით, ოლონდ მწვერზე სანადიროდ. მწვერზე უთენია უნდა გახვიდე, რადგან

ბიჭებმა არ გამყიდეს. სამწუხაროდ, თამაზი დღეს ცოცხალი აღარ არის.

სიურპრიზი

ერთხელ კახეთში კაკაბზე სანადიროდ ჩემი მეგობარი ექიმი გურამ გუნიაც წაყვივანე. თითქმის ჩაკვივარდა ნადირობა. მე რამდენიმე კაკაბი მოვკალი, გურამმა — ვერაფერი. მასპინძელთან გაწბილებულები დაგბრუნდით და აგრილებას დაველოდეთ, რომ წამოუსულიყავით. იქ ცოტა დავლიეთ და შეზარხოშებულზე გადავწყვიტეთ. მეგობრისათვის სიურპრიზი გამეკეთებინა. მოვხსენი ჩემი საკიდრიდან 2 კაკაბი და გურამს ზურგჩანთაში მალულად ჩავუდე. თბილისში ერთმანეთს დავეშვიდობეთ. შინ მისულმა გურამმა ძაღლი სარდაფში დააბა, თოფი შეინახა, ხოლო ზურგჩანთა საძინებელში რადაატორთან დაღო და დაავიწყდა. ზამთარი იყო და გათბობა ჩართული ჰქონდათ. მეორე დღეს, ოჯახი დასადინებლად რომ ემზადებოდა, უსიამონო სუნი იგრძნეს. 2 დღის განმავლობაში ვერაფრით მიხედნენ, საიდან მოდიოდა ეს სუნი. რამდენჯერმე გენერალურადაც დაალაგეს სახლი. ნახევრად გახრწნილი კაკაბები მხოლოდ 3 დღის შემდეგ იპოვეს. მთელი კვირა ვერ გაიყვანეს სახლიდან სუნი.

გურამმა ყველას სათითაოდ დაგვირეკა, რომელმა „მეცით პატეიო“. ბოლოს დიდსულოვნად მაპატია.

გასურკაბული ჩივიონი

ამ სეზონზე იხვზე სანადიროდ ახერბაიჯანში ვიყავი ჩემს მეგობარ, მსოფლიო ჩემპიონ თამაზ იმნაიშვილთან ერთად. იხვზე, ძირითადად, ასე ვნადირობთ: მტკვრის პირას დიდ დელტაზე მიედფართ, თან მიგვაქვს პლასტმასის სატყუარები იხვებისათვის და მაგნიტოფონი, რომელზეც იხვის ხმა ჩაწერილი. ვსხდებით, ვიფარებთ სამხედრო ბადეებს, რომელიც ჩვეულებრივ კამუფლაჟისათვის გამოიყენება. შენ არ ჩანხარ, ხელოვნურ ხმაზე კი იხვი მოდის და ესვრი. იმ დღეს ქარიანი ამინდი იყო. ყველა ფრინველი და მათ შორის იხვიც, ასეთ ამინდში ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით დაფრინავს. ქარის მიმართულებით რომ იფრინოს, ბუმბული აემლება და ორიენტაცია დაეკარგება, აეროდინამიკა დაერღვევა. მე და თამაზი ერთმანეთის პირისპირ დაესხედით. მე იმ მხარეს დაუჯექი, საიდანაც იხვი უთუოდ წამოვიდოდა. თამაზი მსოფლიო ჩემპიონი კია, მსროლელი,

თვის გაღანერგვის კლინიკა «თაღლიზი»

თვის გაღანერგვის პირველი სპეციალიზირებული კლინიკა ამიერკავკასიაში
 თვის აღღბანითი ჰირკრგინის სავრთაჟორისო საზოგადოებანს -ISHRS- წივრი

გირავალწიანი გომოსფიღება, ხარისხი, გარანტირებული შეღებავი

უახლესი ამირკული მეთოდები, გსოლოდ ჩივთასი
 ფოლიკულირი გარკთიანებანის მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტეროიდოგკოსოკული ტაქნოლოგია, FOX-პროსტაღურკობი, წარბივისა და წამხაგვის გაღანერგვა

თვის გაღანერგვა სტრქიულღება 2-3 საათიო უმტკივნეულოდ

გაღანერგული თვა გუნებრივად იგრღება და არ სხივა, კონსულტაციები უფასოა და ანონიჟური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკინტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



**იბლიანი ნადირობა
დედოფლისწყაროში**



მაგრამ ნადირობის ბევრი ნიუანსი არ იცის. ვსხედვართ ასე და ვეუბნები, თამაზ შენ ჩემს ზურგს უკან გააკონტროლე სიტუაცია, მე შენს ზურგს უკნიდან, თუ იხვი წამოვიდა, იმას ვესერი-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემს ზურგს უკან, ანუ ქარის მიმართულებით, ფრინველი არ წამოვიდოდა. თამაზი ზორბა კაცია და კარგი დამცავი კედელი მქონდა. უცებ ერთი იხვი წამოვიდა და ჩუმად ვეუბნები, იხვი მოდის და არ გაინძრე-მეთქი. თამაზი დაპატარავდა, დაპატარავდა, თავი დახარა. ფრინველი რომ მოგვიახლოვდა, წამოვდექი, ვესროლე და ჩამოვაგდე. თან ვუთხარი, შენ კი ხარ ჩემპიონი, მაგრამ მეც არა მიშავს-მეთქი.

გავიდა ცოტა ხანი. ისევ გამოჩნდა იხვი, ისევ ვუთხარი თამაზს, თავი დახარე-მეთქი, რომ მისთვის არ მომერტყა. ისევ დაპატარავდა ეს ამხელა კაცი, მუშტისხელა გახდა. კიდევ ვისროლე და ჩამოვაგდე. მალე ფრინველების გუნდი წამოვიდა, ისევ მისი ზურგის მხრიდან. კიდევ გავაფრთხილე, არ განძრეულიყო. 2 იხვს ვესროლე და ორივე ჩამოვაგდე. შემომაქვს ეს ამდენი ფრინველი და საკიდარზე ვკიდებ, ჩემი მეგობარი ისეთია, დანა პირს არ უხსნის. მეექვსე იხვზეც რომ ვუთხარი, გაუნძრევლად იჯექი-მეთქი, პროტესტის ნიშნად წამომიხტა, აქ ძეგლივით საჯდომად წამომიყვანეო, შემომიდრინა. იმ მეექვსე იხვს ესროლა და ჩამოვაგდო. ოგარი იყო, ძალიან დიდი იხვია, ჩემს 5 იხვს უდრიდა.

დღის ბოლოს გავუშხილე, რა ოინიც მოეუწყვე. იქედნურად გაიღიმა, ამის მერე ვნახოთო. ამ სეზონზე ეს ბოლო ნადირობა იყო, ვერ მოასწრო სამაგიეროს გადახდა.

იხვის ხარკო

ზამთარში მტკვარზე ძალიან ბევრი იხვი შემოდის. ღამის 2-3 საათზე გავდივართ ზოლმე, რომ ვინადიროთ. ეს ის იხვია, რომელზე სანადიროდაც აზერბაიჯანში დავდივართ ზოლმე. თამაზ იმნაიშვილს მძა ჰყავს, თენგო. ისიც პროფესიონალი მსროლელია. თენგო ერთხელ ღამით გამოვიდა სანაპიროზე და კარგა მოზრდილი იხვი მოკლა. მეორე დღით მასთან მეზობელი და მეგობარი გვიი თავაძე, ისიც მონადირე, მივიდა და მაგიდაზე ამხელა გასაპუტი იხვი რომ დანახა, თან თოფიც იქვე იყო მიყუდებული, გადაირია, საიდანო. თენგომ ძალიან სერიოზულად „გაანდო“, გუშინ

იხვების გადაფრენა იყო, ეტყობა, მტკვრიდან თბილისის ზღვისკენ მიდიოდნენ, ჩვენი კორპუსის სახურავზე ავედი, ვესროლე და ჩამოვაგდეო.

დაბინდებამდე ძლივს გაძლო გვიძმ და საღამოს გამოვიდა პიჟამაში დამალული თოფით, თან ძაღლს მოარბენინებდა. ძაღლი სახანძრო კიბეზე მიაბა, ჯერ თოფი აიტანა, მერე ჩამოძვრა, ძაღლი მხრებზე მოიგდო და ისიც აიყვანა. ეზოში ბიჭები დომინოს თამაშობდნენ, გაცეცებულებმა ჰკითხეს, რაშია საქმეო. საღამოს იხვის ხარჩოზე გეპატიჟებით, თქვენ ღვინო გააშაადეთ, ბიჭებო, უთქვამს და იდუმალი დიმილით ამძვრალა „მონადირე“ კიბეზე. შებინდებიდან დაღამებამდე იჯდა ჩასაფრებული გვიძმ სახურავზე და იხვების გუნდს ელოდა. ისევ მეზობლებმა იხსნეს. შინ დაბრუნებულ თენგოს შეეხვეწნენ, რამე უშველე თავაძეს, თორემ გაიყინა სახურავზე და გაყინა ძაღლიცო. სუფრა, რა თქმა უნდა, გაიშალა, ოღონდ იხვის გარეშე.

ნინო მამუკაძე





გურინავი კოსმოდრომი

ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილეთ დღეისთვის არსებული მსოფლიოს ყველა სახმელეთო და მათ შორის საზღვაო კოსმოდრომები, მაგრამ კაცობრიობის ტექნიკურ პროგრესს ზღვარი არ აქვს და ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ადამიანი კოსმოსში ხომალდებისა და თანამგზავრების გასაშვებად საავიაციო საშუალებების გამოყენებას ცდილობს.

განსაკუთრებული აქტუალობით ეს თემატიკა საბჭოთა კავშირში სარგებლობდა. ქვეყანა, სადაც თავდაცვისთვის განკუთვნილი თანხების დაზოგვაზე არაფერი ფიქრობდა, კოსმოსში დომინირების შენარჩუნებას ყველანაირად ცდილობდა.

1965 წელს მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიუროს ორსაფეხურიანი საჰაერო-ორბიტული თვითმფრინავის შექმნა დაეწყო. პროექტის მიხედვით, კომპლექსის, რომელსაც *Спираль*-ი ეწოდა, ჰიპერბერით თვითმფრინავს, ორბიტაზე პატარა კოსმოსური ხომალდი უნდა გაეყვანა, რომელიც როგორც სადაზვერვო, ასევე დამრტყმელი ამოცანების შესრულებას შეძლებდა. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი კოსმოსში მასშტაბური ომისთვის ემზადებოდა.

შემკვეთის მოთხოვნების თანახმად, კომპლექსში შემავალი ჰიპერბერითი თვითმფრინავი და საბრძოლო ორბიტული ხომალდი მრავალჯერადი გამოყენებისა უნდა ყოფილიყო. კონსტრუქტორების გეგმით, 380-400 კმ/სთ-ის

ტოლი სიჩქარისას, ჰორიზონტალური სტარტის შემდეგ, *Спираль*-ი განსაზღვრულ სიმაღლეზე ადიოდა, სადაც ორბიტული ხომალდი მოსცილდებოდა. ეს უკანასკნელი ორბიტაზე ორსაფეხურიანი რაკეტული ამჩქარებლის საშუალებით გადიოდა, თვითმფრინავი კი აეროდრომზე ბრუნდებოდა.

ატმოსფეროში შემოსვლისას კორპუსის ზედაპირის ძლიერი გახურების გამო (ცხვირა ნაწილში 1400°C) ორბიტული ხომალდი, რომლის სიგრძეც 8მ-ს, ფრთის გაქანი კი 7,4მ-ს შეადგენდა, გარედან სხვადასხვა ტემპერატურაზე გათვლილი მხურვალმდევი ფილებით უნდა დაფარულიყო. ორბიტაზე ყოფნისას სამანევროდ, ორიენტაციისა და დედამიწაზე დასაბრუნებლად ხომალდი, რომელიც ეკიპაჟის ერთ წევრზე იყო გათვლილი, საკუთარი რაკეტული ძრავებით იყო აღჭურვილი. ხომალდი ერთდროულად ოთხ მოდიფიკაციაში იქმნებოდა: დღის ფოტომშვერავე, რადიოლოკაციური მშვერავე, დამრტყმელი და კოსმოსური სამიზნეების გზაგადამტყრელი. ოთხივე მოდი-

ფიკაციის შემთხვევაში, ხომალდი 8800 კგ-ს იწონიდა და მშვერავისა და გზაგადამტყრელის ვარიანტში 500 კგ-იან, დამრტყმელ მოდიფიკაციაში კი 2000 კგ-იან საბრძოლო დატვირთვას ითვალისწინებდა. ჩანაფიქრის თანახმად, ნებისმიერი მოდიფიკაციის ხომალდის წინაშე დასახული ამოცანის შესრულება დედამიწის გარშემო 2-3 ბრუნის განმავლობაში (მესამე ბრუნისას ხომალდი დედამიწაზე ბრუნდებოდა) უნდა მომხდარიყო. მაღალი მანევრულობის წყალობით ხომალდს დაჯდომა დამითაც და რთულ მეტეოპირობებშიც შეეძლო.

ორბიტული ხომალდის ოთხი მოდიფიკაციიდან ყველაზე შთამბეჭდავი დამრტყმელი და გზაგადამტყრელი მოდიფიკაციები იყო. ჩანაფიქრის თანახმად, ეს უკანასკნელი „კოსმოსი-კოსმოსის“ კლასის ექვსი რაკეტით უნდა აღჭურვილიყო, რომელსაც მაქსიმალური 0.5 კმ/წმ-ით მოძრავე სამიზნის განადგურება 30 კმ-ის დისტანციაზე შეეძლო. მოწინააღმდეგის ავიაშინი შენაერთების გასანადგურებლად კი ორბიტული ხომალდის დამრტყმელი მოდიფიკაცია ერთი 1700 კგ-იანი ბირთვულქობინიანი „კოსმოსი-მიწა“ კლასის რაკეტით აღჭურვებოდა, რომლის სავარაუდო გადახრაც, სამიზნის მითითებისას დაშვებული სიზუსტით +/-90 კმ, მხოლოდ 250მ-ს შეადგენდა.

პროექტ სპირალის ფარგლებში შექმნილი პილოტირებადი ანალოგი ЭПОС-ი დღეისთვის მონინოს საავიაციო მუზეუმის ექსპონატია



დამზადებული მეტალური კონსტრუქციის მქონე შემდგომი აპარატები БОР-2 და БОР-3 უკვე მრავალჯერადი გამოყენებისა იყვნენ.

БОР-ების გამოცდის პარალელურად, 1967 წელს მომავალი ორბიტული ხომალდის საცდელი ნიმუშების პროექტირება და მშენებლობა დაიწყო. შემდეგ წელს კი მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიურომ ორბიტული ხომალდის სრულმასშტაბიანი ექსპერიმენტული პილოტირებადი ორბიტული თვითმფრინავ-ანალოგი ЭПОС-ი (105.11) შექმნა. აპარატზე, რომლის ასაფრენმა მასამ 4400 კგ შეადგინა, ძალური დანადგარის სახით ვერტიკალური აფრენა-დაფრენის Як-38-ზე დაყენებული ძრავა РД36-35 გამოიყენებოდა. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ЭПОС-ი ორბიტული ხომალდის თითქმის იდენტური

იყო. წინათვლიანი და უკანათხილამურიანი შასის წყალობით აპარატი მიწაზე თავისუფლად გადაადგილდებოდა.

1970 წლის 9 დეკემბერს, კონსტრუქტორ არტემ მიქოიანის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ნახევრად დამტკიცებულ პროექტ სპირალის თავისი ავტორიტეტით ლობირებდა, 1971 წელს თავდაცვის მინისტრმა გრეჩკომ პროექტის შეჩერება ბრძანა, მაგრამ ერთხანს ЭПОС-ის გამოცდა ინერციით მაინც გრძელდებოდა.

გარბენების პროგრამის შემდეგ, აპარატმა 1976 წლის 11 სექტემბერს, 415 კმ/სთ-ის საშუალო სიჩქარით, ახლომდებარე აეროდრომზე გადაფრენა შეასრულა. ერთი წლის შემდეგ აპარატს ფრენა უნდა დაეწყო. ამ მიზნით ის გადაკეთებულ სტრატეგიულ ბომბდამშენ Ty-95KM-დან უნდა ჩამოეგდოთ — ЭПОС-ს ნახევრად ჩაფლულ მდგომარეობაში თვითმფრინავის ბომბნაკვეთურში ათავსებდნენ. 1977 წლის 27 ოქტომბერს, 5500 მ-ის სიმაღლეზე, 420 კმ/სთ-ის სიჩქარისას მოსცილდა მატარებელ თვითმფრინავს და მფრინავმა ის აეროდრომზე დასვა. შემდგომში 1977-78 წლებში


სპირალის პროექტის სორცშესხმის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი კოსმოსში სრულ დომინანტად იქცეოდა

თავად პიპერბგერიით თვითმფრინავის („50-50“) სიგრძე, რომლის ცხვირა ნაწილშიც ეკიპაჟის ორ წევრზე გათვლილი კაბინა იყო განლაგებული, 38მ-ს, ფრთის გაქანი კი 16,5მ-ს შეადგენდა. ჩანაფიქრის თანახმად, პიპერბგერიით სიჩქარის განსავითარებლად (M>5), ძალური დანადგარის სახით თვითმფრინავზე АЛ-51-ის ტიპის, თხევად წყალბადზე მომუშავე უნიკალური ძრავები უნდა გამოყენებულიყო, რომელთა მაქსიმალური წევაც 17.5ტ-ს შეადგენდა. თვითმფრინავი 36ტ-ის ტოლი ცარიელი მასის, ბორტზე 16ტ თხევად წყალბადს იღებდა. ორბიტული ხომალდი და რაკეტული ამქარებელი ნახევრად ჩაფლულ მდგომარეობაში თვითმფრინავის ზურგზე მაგრდებოდა, რომელთა ცხვირა და კუდა ნაწილები სპეციალური ერთჯერადი გარსშემოდგნებით იფარებოდა.

განსაზღვრულ სიმაღლეზე ასვლის შემდეგ ორბიტულ ხომალდში განლაგებული პილოტი ერთჯერადი გამოყენების ფტორწყალბადოვან საწვავზე მომუშავე ორსაფეხურიანი რაკეტული ამქარებლის (სიგრძე 27.75მ) ძრავას რთავდა და ორბიტაზე გასვლის პროცესს იწყებდა.

პროექტ სპირალის ფარგლებში, თეორიულად მიღებული მონაცემების პრაქტიკულად დასამტკიცებლად, 1966 წელს ორბიტული ხომალდის უბილოტო მასშტაბურ მოდელეებზე БОР (Беспилотный орбитальный ракетоплан) დაიწყო მუშაობა. პირველი ხის БОР-1, რომელიც მომავალი ორბიტული ხომალდის სამჯერ დაპატარაებულ ზუსტ ასლს წარმოადგენდა, 1969 წლის 15 ივლისს რაკეტა-მატარებელ Космос-2-ის საშუალებით, სუბორბიტული ტრაექტორიით 100 კმ-ის სიმაღლეზე გაუშვეს. რა თქმა უნდა, ატმოსფეროში 13000 კმ/სთ-ის ტოლი სიჩქარით შემოსული ხის მოდელისგან არაფერი დარჩა, მაგრამ მიღებული მონაცემები მაინც საკმარისი აღმოჩნდა გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად.

იმავე მასშტაბში





სააერონავტიკო

White Knight & SpaceShipOne


ფერინავსა და მის სისტემებს ახალი დანიშნულებებისამებრ მოდერნიზაცია ჩაუტარდა. Pegasus-ის ახალ მატარებელ-თვითმფრინავზე, რომელსაც Stargazer-ი ეწოდა, რაკეტის განთავსება ფიუზელაჟის ცენტრალური ნაწილის ქვეშ ხდება. თავად რაკეტა-მატარებლის სიგრძე 16,9მ-ს, დიამეტრი 1,27მ-ს, ფრთის გაქანი კი 6,7მ-ს შეადგენს. 18500კგ-ის სასტარტო მასისას მას ორბიტაზე 443კგ ტვირთის გატანა შეუძლია.

1995 წელს რაკეტის მოდერნიზებული ვარიანტი Pegasus XL შეიქმნა. 23130კგ-მდე გაზრდილი სასტარტო მასის მქონე რაკეტას გაცილებით ძლიერი პირველი და მეორე საფეხურები აქვს.

რაკეტის გასაშვებად Stargazer-ი 10-12კმ სიმაღლეზე ადის. მატარებელ-თვითმფრინავისა და რაკეტის დაშორების შემდეგ, ეს უკანასკნელი ხუთი წამის განმავლობაში თავისუფლად ვარდება, რის შემდეგაც რაკეტის პირველი საფეხურის ძრავა ირთვება. ამ ეტაპზე რაკეტით მართვა პირველი საფეხურის ბოლოს განლაგებული საჭეებით ხდება. დაახლოებით ერთი წუთისა და 17წმ-ის შემდეგ, უკვე ჰიპერბერით სიჩქარეზე მყოფ რაკეტას პირველი საფეხური მოსცილდება, რომელზეც ფრთა და საჭეები მაგრდება. ფრენის ამ ეტაპზე რაკეტა მეორე საფეხურის საშუალებით იმართება, რომელსაც ცვლადი წვეის ვექტორი აქვს. მეორე საფეხურის მუშაობის ხანგრძლივობა ერთ წუთსა და 18წმ-ს შეადგენს. მესამე საფეხური კიდევ ნახევარი წუთის განმავლობაში მუშაობს, რის შემდეგაც ხდება ცხვირა გარსშემომდენის მოშორება და ამით ორბიტაზე ტვირთის გატანის პროცესი დასრულდება.

რაკეტის საპაერო სტარტის ამგვარი სქემისას, ძვირად ღირებული კოსმოდრომისგან დამოუკიდებლობის გარდა, რაკეტის სიმაღლიდან გაშვება მას ატმოსფეროს ყველაზე მკვრივ არეში ფრენას აცილებს, რაც თავის მხრივ საწვავის დაზოგვას უწყობს ხელს, — რაკეტის ბორტზე არსებული საწვავის დიდი ნაწილი სწორედ ამ პირველი 10-12კმ სიმაღლეზე ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ხახუნის დასაძლევადაა განკუთვნილი.

2006 წლის მონაცემებით, რაკეტა-მატარებელ Pegasus-ის 38 გაშვება შედგა (გაშვების უმეტესობა Pegasus XL-ის გამოყენებით ხდება, რადგან 1995 წლიდან რაკეტის საბაზო ვარიანტი აღარ იწარმოება), საიდანაც წარუმატებელი მხოლოდ სამი იყო.



ამერიკული ჰიპერბერითი Pegasus-ი მსოფლიოში დღეისთვის ერთადერთი რაკეტა-მატარებელია, რომელსაც მატარებელი-თვითმფრინავიდან სტარტის აღების შემდეგ ორბიტაზე ტვირთი გააქვს.

90-იანი წლების დასაწყისში საპაერო სტარტის ამგვარ პროექტზე რუსეთმაც დაიწყო მუშაობა. 1991 წელს მანქანათმშენებელმა საკონსტრუქტორო ბიურო რადუგა-მ, ორბიტაზე მსუბუქი თანამგზავრების გასაყვანად ორსაფეხურიანი რაკეტა-მატარებელი ბურლაკ-ი შექმნა. მისი სიგრძე 22მ-ს შეადგენს, დიამეტრი — 1,6მ-ს, სასტარტო მასა კი 32ტ-ს უტოლდება.

კომპლექსის საავიაციო შემადგენელ ნაწილს სტრატეგიულ ბომბდამშენ ტუ-160-ის ბაზაზე შექმნილი მოდიფიკაცია ტუ-160СК-ი წარმოადგენს. რაკეტა-მატარებელი თვითმფრინავზე ფიუზელაჟის ქვემოთ, მის ცენტრალურ ნაწილში მაგრდება და სტარტს 11-13კმ სიმაღლეზე, საკმაოდ მაღალი საწვავის სიჩქარით იღებს — $M=0.8$ ან $M=1.7$.

სტარტის სიმაღლიდან და სიჩქარიდან გამომდინარე, ბურლაკ-ს პოლარულ 200-1000კმ სიმაღლის ორბიტაზე 600-800კგ-ის, იმავე სიმაღლის ეკვატორულზე კი — 840-1100კგ-ის გატანა შეუძლია. 1995 წელს რაკეტა-მატარებლის ესკიზური პროექტი შეიქმნა. იმავე წელს კი ბომბდამშენი ტუ-160, მასზე მიმაგრებული ბურლაკ-ის ხის მაკეტით, ლე-ბურჟეს ავიასალონს სტუმრობდა. თავდაპირველად კომპლექსზე მხოლოდ რუსული ფირმები მუშაობდნენ, მაგრამ მალე პროექტით გერმანული კომპანია ONV-Systems-ი დაინტერესდა და მასში ინვესტიცია დააბანდა, რის შემდეგაც 1997 წელს კომპლექსს ახალი სახელი ბურლაკ-დიანა-ი დაერქვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეისთვის



**მატარებელი
White Knight-ისა
და ორბიტული
SpaceShipOne-ის
ერთობლივი ფრენა**

პროექტზე მუშაობა, პრაქტიკულად, შეჩერებულია.

90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში მილიონერ პიტერ დაინამსმა ფონდი X-Prize დააარსა, რომლის არსიც ფონდის მიერ დაწესებულ კონკურსში გამარჯვებულისთვის 10 მილიონი დოლარის გადაცემაში მდგომარეობდა. X-Prize-ს ფარგლებში, პირველი კონკურსის მოთხოვნები 1996 წლის 18 მაისს გამოცხადდა და შემდეგში მდგომარეობდა: კონკურსში მონაწილეს საკუთარი სახსრებით სამ კაცზე გათვლილი პილოტირებადი ორბიტული ხომალდი უნდა აეშენებინა, რომელიც მინიმუმ 100კმ სიმაღლეზე შეძლებდა ასვლას (ეს სიმაღლე აერონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ კოსმოსის საზღვრად იყო აღიარებული). კონკურსის პირობების თანახმად, თუ პირველი გაფრენა შედეგიანი იქნებოდა, მეორე ორ კვირაში უნდა შეძღვარიყო. ბორტზე ერთი კაცის ყოფნის შემთხვევაში, ეკიპაჟის დანარჩენი ორი წევრის მასის იმიტირება ბალასტით უნდა მომხდარიყო.

ერთ-ერთი პირველი კონკურსის ამერიკული კომპანია Scaled Composites-ი გამოეხმაურა, რომელიც 1982 წლიდან ექსპერიმენტულ საფრენ აპარატებს აშენებდა. ამოცანის გასამარტივებლად, კომპანიამ კონკურსის პირობების დასაკმაყოფილებლად საჰაერო სტარტის მეთოდი აირჩია და მატარებელ-თვითმფრინავსა და ორბიტულ ხომალდზე თავად დაიწყო მუშაობა. Scaled Composites-მა ტრადიციას არ უღალატა და ორივე აპარატს საკმაოდ უჩვეულო ფორმა მისცა. ეკიპაჟის ორ წევრზე გათვლილი, 25მ გაქანის ფრთის მქონე მატარებელ-თვითმფრინავი, რომელსაც White Knight-ი („თეთრი რაინდი“) ეწოდა, ორი რეაქტიული ძრავით აღიჭურვებოდა. ფიუზელაჟის ქვემოთ სპეციალური სა-

დღეისთვის ამერიკული SpaceShipOne-ი საჰაერო სტარტის პრინციპით მოქმედი ერთადერთი ორბიტული ხომალდია



მაგრების საშუალებით რაკეტულძრავიანი ორბიტული ხომალდი SpaceShipOne თავსდება. ჰერმეტიკული კაბინის მქონე ხომალდში ჰაერი სამი დამოუკიდებელი სისტემის მეშვეობით წარმოიქმნება. დამატებითი სისტემა კი ჰაერის ტენიანობას არეგულირებს, რისი საშუალებითაც ბორტზე მეოფ პირებს კოსმოსური სკაფანდრების გარეშე შეუძლიათ ფრენა.

შემუშავებული სქემის მიხედვით, White Knight-ს ორბიტული ხომალდი 14კმ სიმაღლეზე უნდა აეყვანა. შემდეგ SpaceShipOne შორდება მას და 10წმ-ის განმავლობაში ჰაერის შემხვედრ ნაკადში სტაბილიზაციისათვის თავისუფლად ვარდება. ირთვება რაკეტული ძრავა და ხომალდი, პრაქტიკულად, ვერტიკალურად იღებს სიმაღლეს. ამ დროს პილოტის მიერ განცდილი გადატვირთვა 3g-ს არ აღემატება. ამ ეტაპზე ხომალდი 50კმ-ის სიმაღლეზე ადის. კიდევ 50კმ-ზე ასვლა კი ინერციის საშუალებით ხდება. ამ დროს ფრენა პარაბოლოიდური ტრაექტორიით მიმდინარეობს. ღია კოსმოსში ორბიტული ხომალდი დაახლოებით 3წთ იმყოფება და ტრაექტორიის აპოგეის (უმაღლესი წერტილი) მიღწევის შემდეგ კეცავს

ფრთებსა და კუდს, რითაც მარტივდება ატმოსფეროში შემოსვლა. დაშვებისას წარმოქმნილ 6g-ს ტოლ მაქსიმალურ გადატვირთვას პილოტი მხოლოდ 10წმ-ის განმავლობაში განიცდის. 17კმ-ის სიმაღლეზე ჩამოსვლის შემდეგ კვლავ იშლება ფრთები და კუდი და ხომალდი აეროდრომზე პლანირებით ჯდება.

White Knight-ისა და SpaceShipOne-ს პირველი ერთობლივი ფრენა 2003 წლის 20 მაისს შედგა და 1სთ-სა და 48წთ-ს გრძელდებოდა. შემდგომი ცხრა გაფრენაც ერთად შეასრულეს, 2003 წლის 17 დეკემბერს კი Space-

ShipOne პირველად ჩამოშორდა მატარებელ-თვითმფრინავს და 20,7კმ სიმაღლეზე ავიდა. კონკურსის ფარგლებში პირველი გაფრენა 2004 წლის 29 სექტემბერს შედგა (პილოტი მაიკ მელვილი). ფრენისას, რომელიც 24წთ-სა და 11წმ-ს გრძელდებოდა, ხომალდი 102,9კმ სიმაღლეზე ავიდა. მეორე შედეგიანი გაფრენა, რომლის დროსაც SpaceShipOne უკვე 112კმ სიმაღლეზე ავიდა, ხუთი დღის შემდეგ, 4 ოქტომბერს, პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების 47-ე წლისთავზე შედგა (პილოტი ბრაიან ბენი).


6 ნოემბერს Scaled Composites-მა X-Prize-სგან კუთვნილი ჯილდო — 10 მილიონი დოლარი მიიღო. თუმცა, სოციალური წყაროს ცნობით, პროექტის მომზადებაზე ფირმამ გაცილებით მეტი — დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დახარჯა, მაგრამ თუ SpaceShipOne-ს მეპატრონეების იმედი გამართლდა და ხომალდი ორბიტაზე ტურისტების რეგულარულ გაყვანას დაიწყებს, პროექტზე გაწეულ ხარჯს მალე სრულად ამოიღებენ.

2000 წლის გაზაფხულზე მოსკოვის საერთაშორისო პრეზენტაციის ცენტრში ახალი საავიაციო-კოსმოსური კო-

მპლექსის „საჰაერო სტარტის“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მიხედვით, რომელზეც მუშაობა 1999 წელს დაიწყო, 100ტ-ის სასტარტო მასის მქონე ორსაფეხურიანი რაკეტა-მატარებელი **Полет-ი** სტარტს 10-11კმ სიმაღლეზე მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავ **Ан-124-100ВС Руслан**-დან იღებს. რაკეტის გაშვების სქემის თანახმად, აეროდრომზე **Руслан**-ის სატრანსპორტო ნაკვეთურში, ცხვირით თვითმფრინავის ფრენის მიმართულების საპირისპიროდ სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერში ჩამონტაჟებულ რაკეტას ათავსებენ. რაკეტის სიგრძე 30მ-ს, დიამეტრი კი 3მ-ს შეადგენს. გაშვების სიმაღლეზე ასვლის შემდეგ, იღება თვითმფრინავის უკანა სატვირთო ლიუკი და სპეციალური პნევმატური სისტემის საშუალებით მრავალჯერადი გამოყენების სატრანსპორტო გამშვები კონტეინერიდან თვითმფრინავის მიმართ 30მ/წმ-ის ტოლის სიჩქარით რაკეტის გამოტყორცნა ხდება. განსაზღვრული დროის განმავლობაში რაკეტა თავისუფლად ვარდება და თვითმფრინავიდან დაახლოებით 300მ-ის მოშორების შემდეგ პირველი საფეხურის სამარშო ძრავა ირთვება (ზოგიერთი ცნობით, რაკეტის თავისუფალი ვარდნის პროცესში მისი სტაბილიზაციისთვის, რაკეტის ცხვირის ნაწილიდან პარაშუტი იხსნება). პროექტის ხელმძღვანელების განცხადების თანახმად, რაკეტა 200კმ სიმაღლის ორბიტაზე 3.7ტ-ის გატანას შეძლებს. პირველი საცდელი გაშვება, საგარაუდოდ, 2010 წელს შედგება.

ანალოგიურ პროექტზე უკვე რამდენიმე წელია, აშშ-ც ინტენსიურად მუშაობს. სხვათა შორის, ამერიკელები

სატრანსპორტო C-17-დან რაკეტა Quick Reach I-ის მაკეტის გადმოგდების მომენტი



პირველები იყვნენ, რომლებმაც სატრანსპორტო თვითმფრინავ **C-5A Galaxy**-დან 1974 წელს რაკეტა-მატარებელი **Minuteman**-ი გაუშვეს. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული პროექტების განვითარების სამმართველო **DARPA 2000** წლიდან აქტიურად მუშაობს პროგრამა **FALCON**-ზე, რომელიც საჰაერო ბაზირების მსუბუქი რაკეტა-მატარებლის შექმნას ისახავს მიზნად.

2005 წლის 29 სექტემბერს სატრანსპორტო თვითმფრინავ **C-17 Globemaster III**-დან „საჰაერო სტარტის“ კონცეფციის შემოწმების ფარგლებში პირველად იქნა გადმოგდებული ორსაფეხურიანი რაკეტა **Quick Reach I**-ის 22.7ტ-იანი სრულმასშტაბიანი მაკეტი. რაკეტის სიგრძე 19,8მ-ს, დიამეტრი — 2,46მ-ს, სასტარტო მასა კი 32,7ტ-ს შეადგენს. მისი შემქმნელების განცხადებით, მას 185კმ სიმაღლის ორბიტაზე 635კგ-ის გატანა შეუძლია. რუსული „საჰაერო სტარტისგან“ განსხვავებით, ამერიკულის შემთხვევაში რაკეტას

თვითმფრინავის სატრანსპორტო ნაკვეთურში სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერის გარეშე და ცხვირით ფრენის მიმართულებით ათავსებენ. რაკეტის გაშვების წინ იღება უკანა სატვირთო ლიუკი და თვითმფრინავი ოდნავ სწევს ზემოთ ცხვირს. ამ დროს ხდება რაკეტის კუდის ნაწილზე მიმაგრებული მცირე ზომის პარაშუტის გადმოგდება, რომელიც თვითმფრინავიდან რაკეტის „გამოტანას“ ახდენს (უკეთესი სრიალისთვის, თვითმფრინავის სატვირთო ნაკვეთურის იატაკზე გორგოლაჭებია დამაგრებული). გადმოგდების შემდეგ რაკეტა 350კმ/სთ-ის პორიზონტალური სიჩქარით 230მ-ით ქვევით ვარდება, რის შემდეგაც პირველი საფეხურის ძრავა ირთვება.

პრიზის მოპოვების შემდეგ **Scaled Composites**-მა პროექტის განვითარება განაგრძო და ახალ მატარებელ და ორბიტულ თვითმფრინავებზე დაიწყო მუშაობა. 2006 წლის 28 სექტემბერს ახალი ორფეხელაჟიანი **White Knight Two**-ს სრულმასშტაბიანი მაკეტის პრეზენტაცია მოეწყო. 2008 წელს კი კომპანიის ანგარიდან პირველი თვითმფრინავი გამოაგორეს. მისი სიგრძე 24მ-ს, ფრთის გაქანი კი 43მ-ს შეადგენს. იმავე წლის 28 დეკემბერს თვითმფრინავი პირველად აფრინდა ჰაერში. რაც შეეხება ორბიტულ ხომალდ **SpaceShipTwo**-ს, ის წინამორბედის ბაზაზე იქმნება. თუმცა მისგან განსხვავებით გაცილებით უკეთესი შესაძლებლობებით გამოირჩევა. კონსტრუქტორ ბერტ რუტანის განცხადებით, მას ბორტზე რვა კაცის აყვანა (6 მგზავრი + 2 პილოტი) და მაქსიმალურ 320კმ სიმაღლეზე შექმნება ასვლა.

პროექტის ხელმძღვანელების განცხადებით, პირველი კომერციული გაფრენა 2009 წლის ბოლოს შედგება.

თეიმურ აულუსაშვილი

ბილეთის საკმაოდ დიდი ფასის მიუხედავად, რომელიც 200-400 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს, პროექტის ხელმძღვანელების აზრით, SpaceShipTwo-თი ფრენის სურვილი ძალიან ბევრს ექნება





რუსული „ღამის მონადირეები“ საქართველოს საზღვრებთან

21 აპრილს რუსულმა გაზეთმა „კომერსანტმა“ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ინფორმაცია ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისთვის ახალი დამრტყმელი შვეულმფრენების Ми-28Н Ночной охотник-ის გადაცემის თაობაზე. ექვსი შვეულმფრენი, რომელთა გამოცდაც 2008 წლის ბოლოს დასრულდა, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 არმიაში შემაჯალ 487-ე ცალკეულ საშვეულმფრენო ავიაპოლკს გადაეცა, რომელიც ქალაქ ბუდიონოვსკთან მდებარე სამხედრო აეროდრომზე დისლოცირდება. შეგახსენებთ, რომ ამავე აეროდრომზე დისლოცირდება 368-ე საიერიშო ავიაპოლკი, რომლის Су-25-ებიც ავგისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოზე საჰაერო იერიშებში. ქართველმა მეზენიტებმა რამდენიმე მათგანის ჩამოგდება და დაზიანება შეძლეს.

2007 წელს ჩკალოვსკში დისლოცირებულ საარმიო ავიაციის გადაშხადების

ცენტრს შვიდი წინასერიული Ми-28Н გადაეცა, რომელთა გამოცდის შემდეგაც, 2008 წელს, მათი შეიარაღებაში მიღებისა და სერიული წარმოების დაწყების აქტებს მოეწერა ხელი.

რაც შეეხება თავად შვეულმფრენს, მასზე მილის საკონსტრუქტორო ბიურომ მუშაობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1972 წელს დაიწყო. შემკვეთის მოთხოვნების თანახმად, ახალი შვეულმფრენი, რომელიც უკვე არსებულ Ми-24-ზე მსუბუქი და მანევრირებადი უნდა ყოფილიყო, ბრძოლის ველზე სახმელეთო ჯარების უშუალო მხარდაჭერისთვის და მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის, მათ შორის ტანკების, გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. მაგრამ მილის საკონსტრუქტორო ბიურო არ იყო ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ამგვარი სახის შვეულმფრენზე მუშაობდა. 1976 წლის 16 დეკემბერს ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი მილის Ми-28-სა და კამოვის Ка-50-ს შორის. ამ უკანასკნელზე მუშაობა თითქმის Ми-28-ის პარალელურად დაიწყო, მაგრამ მისგან განსხვავებით, მას კამოვის ფირმისთვის დამახასიათებელი

ბელი შხიდი ხრახნის თანადერძული სქემა ჰქონდა და ერთწვერიანი ეკიპაჟი ჰყავდა.

Ми-28-ის შექმნისას კონსტრუქტორებმა წინამორბედ Ми-24-ში გამოყენებული ტექნიკური გადაწყვეტილებები მაქსიმალურად გამოიყენეს და მის მსგავსად წინა კაბინაში შტურმან-ოპერატორი, უკანაში კი — მფრინავი განათავსეს. ეკიპაჟის ორივე წევრის კაბინა შემსუბუქებული ტიტანის შენადნობების გამოყენებითაა დაჯავშნული, რომელიც ბორტების მხრიდან კერამიკული ფილებითაა გაძლიერებული. კაბინა 23მმ-იანი ჭურვის მოხვედრას უძლებს. ორივე კაბინის ყველა მინაც დაჯავშნულია და 12,7მმ-იან ტყვიების მოხვედრას უძლებს. პირველად საბჭოთა პრაქტიკაში ხმაურის შესამცირებლად კუდის ხრახნი X-ის სქემის მიხედვით შეასრულეს. შხიდი ხრახნის დიამეტრი Ми-24-ის ანალოგიურია, მაგრამ მისგან განსხვავებით ნიჩბების რაოდენობის შენარჩუნებისას, ისინი კომპოზიციური მასალებისგანაა შესრულებული. შვეულმფრენის ერთ-ერთ თავისებურებას, დღეისთვის მსოფლიოში არსებუ-



ლი სხვა დამრტყმელი შვეულმფრენებისგან განსხვავებით, მართვის ორგანოების მხოლოდ მფრინავის კაბინაში არსებობს.

შვეულმფრენს არ გააჩნია კატაპულტირების სისტემა, მაგრამ დაზიანებული მანქანის დატოვება ეკიპაჟს პარაშუტების საშუალებით შეუძლია, რისთვისაც მზიდი ხრახნის ნიჩბების განცალკევება და კაბინების კარაბების ავარიული ჩამოგდების სისტემებია გათვალისწინებული. მფრინავის კაბინის უკან პატარა ტექნიკური ნაკვეთური მდებარეობს, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში ორი კაცი თავისუფლად თვსდება.

შვეულმფრენი პირველად 1982 წლის 10 ნოემბერს აფრინდა და ორი წლის შემდეგ მისი სერიული წარმოების დაწყება იგეგმებოდა, მაგრამ მისი ბედი სხვანაირად წარიმართა: მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა ერთადგილიანი დამრტყმელი შვეულმფრენის შექმნის შეუძლებლობა არსებული ამერიკული ელექტრონიკის გამოყენებით (საბჭოთა დაზვერვამ ანალიზის შედეგების სრულად მოპოვება შეძლო), საბჭოთა კავშირმა არჩევანი მაინც Ka-50-ზე შეაჩერა, იმ საბაბით, რომ უახლოეს წლებში ქვეყნის მრეწველობა შეძლებდა ერთადგილიანი მანქანისთვის საჭირო ელექტრონული კომპლექსის შექმნას.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაფერი გაცილებით რთული აღმოჩნდა და თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ელექტრონიკაში საბჭოთა კავშირი დასავლეთს ყოველთვის ჩამორჩებოდა.

ბედი არც კამოველებს სწყალობდა, — საბჭოთა კავშირის დაშლამ მანქანის სერიული წარმოების გეგმებს ხაზი გადაუსვა. საბოლოოდ, 1993 წელს, უკვე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, Ми-28-ის საცდელი პარტიის შექმნა გადაწყვიტა. იმავე წლის 6 მაისს შვეულმფრენმა უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ურთულესი ფიგურა — „ნესტეროვის მკვდარი მარყუჟი“ შეასრულა.

შვეულმფრენის საბაზო ვარიანტ Ми-28А-ს, რომელიც სულ ოთხი საცდელი ნიმუში გამოუშვეს (საბოროტო ნომრები 012, 022, 032, 042) ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: მას არ შეეძლო ღამით მოქმედება. ეს ნაკლი საგრძნობლად ამცირებდა მის დამრტყმელ შესაძლებლობებს და ამიტომაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მის ღამის ვარიანტ Ми-28Н-ზე დაიწყო მუშაობა. პირველი პროტოტიპის მშენებლობა 1996 წლის აგვისტოში დასრულდა, იმავე წლის 14

დეკემბერს კი პირველად აფრინდა ჰაერში. შემდგომ წლებში მისი ელექტრონიკის გაუმჯობესებაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა, რასაც ჩვენი თანამემამულე, რამენსკოეს მოწყობილობათა მშენებელ საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გივი ჯანჯღავა ჩაუდგა სათავეში. მოდერნიზაციის შედეგად შვეულმფრენს ავტომატურ რეჟიმში 5-15მ-ის სიმაღლეზე მიწის რელიეფის პარალელურად ფრენის შესაძლებლობა გაუჩნდა. მთავარ ვიზუალურ განსხვავებად შვეულმფრენ Ми-28А-სა და Ми-28Н-ს შორის ამ უკანასკნელის მზიდი ხრახნის მილის თავზე არსებული რადიოლოკაციური სადგურ არბალეტ-ის სფეროს ფორმის გარსშემომდენია.

გარდა ამისა, შვეულმფრენს ისედაც ბევრი პრობლემა ჰქონდა. ელექტრონულ კომპლექსთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა მისი აგვისტოს ომში გამოყენება. რუსების ახალ თავსატეხად კომპოზიციური მზიდი ხრახნის ნიჩბები გახდა, რომელთა რესურსიც გაანგარიშებულზე გაცილებით მცირე აღმოჩნდა. მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ შეიარაღებაში ახლახან მიღების მიუხედავად,

შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების გამო 2003 და 2005 წლებში რუსულ ავიაგამოფენა MAKS-ზე გამოფენილ შვეულმფრენებზე გარსშემომდენი მაკეტის სახით იყო დამაგრებელი





487-ე ავიაპოლკისთვის გადაცემული პირველი სერიული Ми-28Н-ები Арбалет-ის დაუხვეწაობის გამო დღესაც მის გარეშე დაფრინავენ



ჩვენი დონა:
 მოდიფიკაცია — Ми-28Н
 შიდი ზრახნის დიამეტრი — 17.2მ
 კულა ზრახნის დიამეტრი — 3.84მ
 შვეულმფრენის პლანერის: სიგრძე — 17.9მ
 სიმაღლე — 3.82მ
 მასა: ცარიელის — 7890კგ
 ნორმალური ასაფრენი — 10500კგ
 მაქსიმალური ასაფრენი — 11700კგ
 საწყვიის რაოდენობა — 1500ლ
 საბრძოლო დატვირთვის მასა — 1605კგ
 ძრავა — ორი ტურბოლილვური ТВ3-117ВМА
 წვა — 2x2200კვტ
 სიჩქარე: მაქსიმალური — 324კმ/სთ
 კრეისერული — 265კმ/სთ
 გადაფრენის მანძილი — 1105კმ
 ფრენის საბრძოლო რადიუსი — 500კმ
 მაქსიმალური სწრაფადმავლობა — 816მ/წთ
 პრაქტიკული ჭერი — 5700მ
 ეკიპაჟი — 2 კაცი

შვეულმფრენი უკვე იწყებს მოქმედებას. ამერიკული AH-64 Apache-იც საკმაოდ ხანდაზმულია (პირველი აფრენა 1975 წლის 30 სექტემბერს შედგა), მაგრამ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პენტაგონი მისი მოდერნიზებისათვის საკმაოდ დიდ თანხებს გამოყოფდა. რუსულ Ми-28А საბჭოთა კავშირის დაშლამდე, პრაქტიკულად, განვითარების ერთ დონეზე რჩებოდა. მოდიფიკაცია Ми-

28Н კი მილის საკონსტრუქტორო ბიურომ თავისი სახსრებით შექმნა, რის გამოც მის სრულყოფას 10 წელზე მეტი დასჭირდა.

ნაკლის მიუხედავად, შვეულმფრენს შეიარაღების საკმაოდ ფართო არსენალი აქვს. ცხვირა ნაწილში მოძრავ ტურელზე 30მმ-იანი 2А42 ტიპის ქვემეხია დამაგრებული. საწყის ვარიანტში ეს ქვემეხი პირველად ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ზე გამოიყენეს. ტურელის გადახრის დიაპაზონი აზიმუტის მიხედვით +/-110°-ს, ადგილის კუთხის მიხედვით კი +13/-40°-ს შეადგენს. ქვემეხის საბრძოლო კომპლექტი 250 (მეორე მონაცემებით 300) ჭურვს შეადგენს. ოთხ გარე საკიდზე Ми-28Н-ს 1605კგ-ის წაღება შეუძლია. ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებიდან აღჭურვილია 16 მართვადი რაკეტა Атака-В-ით ან ამდენივე Штурм-В-ითა და Вихрь-ით, უმართავი სარაკეტო შეიარაღებიდან ოთხ-ოთხი კონტეინერით 57, 80 და 122მმ-იანი С-5 (УБ-32А), С-8 (Б-8М20) და С-13 (Б-13Л1) ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტებით. ორი უნივერსალური საშვეულმფრენო გონდოლა ГУВ-ით, ამდენივე Р-60М-ის ტიპის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტით. ბომბები კალიბრით 250 და 500კგ, ოთხი საქვემეხო გონდოლა УПК-23-250, კასეტური ნაღმების კონტეინერები

КМГУ-2. ბოლო დროს განხდა ცნობა შვეულმფრენის С-24Б-ს ტიპის 240მმ-იანი უმართავი რაკეტებით შეიარაღების თაობაზე.

2007 წლის ავიასალონ МАКС-ზე რუსეთმა ერთდროულად ოთხი Ми-28Н გამოიყვანა (საბორტო ნომრები 032, 035, 036, 037), მაგრამ ყველა Арбалет-ის გარეშე იყო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გეგმით, 2010 წლამდე სულ 47 Ми-28Н-ის შექმნა დაგეგმილი (მის კონკურენტ Ка-50-ის სერიული წარმოება მხოლოდ 15 მანქანის, მათ შორის პროტოტიპების გამოშვებით შემოიფარგლა) და ყველა მათგანს ბუდიონოვსკში დისლოცირებულ 487-ე ცალკეულ საშვეულმფრენო ავიაპოლკს გადასცემენ. სხვათა შორის, სწორედ ამავე საშვეულმფრენო პოლკის შეიარაღებაში არსებულმა Ми-24ПН-ის ტიპის შვეულმფრენებმა, რომლებსაც ღამით მოქმედება შეუძლიათ, 10 აგვისტოს ღამეს ნიქოზთან ორი ქართული ჯავშანტექნიკა ააფეთქეს.

ბუდიონოვსკის აეროდრომიდან, ცხინვალის რეგიონამდე 288კმ-ია, ამიტომაც ალბათობა იმისა, რომ რუსეთთან ახალი საბრძოლო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი „ღამის მონადირეებს“ გამოიყენებს, საკმაოდ დიდია.

თეიმურ კულუზაშვილი



ყიულაჟ სკურ კუნდაისტან დაგებული საფანაში

2008 წლის 18-19 აგვისტოს, ქაბულიდან დასავლეთით 40 კმ მანძილზე, ფრანგული ოცეული „თალიბანის“ ბოევიკების ხაფანგში გაება: გაფთრებულ ბრძოლაში ფრანგებმა 10 ჯარისკაცი დაჟარგეს. ამ ფაქტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ფრანგებს არ ჰქონდათ საკმარისი საბრძოლო მასალა, რადიოაპარატების საშუალებები და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა, სამაგიეროდ, თალიბები იყვნენ უბილებამდე შეიარაღებული.


ეს, შოკი მოჰგვარა ავღანეთის კამპანიის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს.

მოსენება

როგორც მოხსენებაში ნათქვამია, ქაბულის აღმოსავლეთით, მიგრუებულ

პროლოგი

შუადღე გადასული იყო, როცა სოფლის უხუცესმა ამერიკელი სამხედრო მეთაური ბაღში გაიხმო. მისი ვიშლაყი უკვე იმ უცხოელთა (ამერიკელების) ალყაში იყო, რომლებიც პაკისტანიდან გადმოსულ ბოევიკებზე ნადირობდნენ. ამ დროს საზღვაო ქვეითთა მე-8 საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ფრანგული ოცეულის ოცდაათი ჯარისკაცი სოფლის მიმდებარე ტერიტორიას, ხშირბუჩქნარიან ციცაბო კლდეებს ზეურავდა. სწორედ აქ გაებნენ თალიბების ხაფანგში. ბრძოლა სისხლიმღვრელი იყო და კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ მოჯანყებები პარტიზანული ომის კარგი ოსტატები არიან და მათთან ხუმრობა არ შეიძლება. მოხსენებამ, რომელიც კანადური გაზეთის „გლოუბენდ მილის“ რეპორტიორებმა მოიპოვე-





სოფელთან, ფრანგული ოცეული თალიბების ხაფანგში გაება. ორგანიზებულ და შეიარაღებულ ბოვეიკებთან ბრძოლაში ფრანგებმა 10 თანამებრძოლი დაკარგეს. ქვედანაყოფმა კონტრშეტევაზე გადასვლა ვერ მოახერხა, რადგან ბრძოლაში, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, საბრძოლო მასალა ერთიანად დახარჯა. ფრანგებს მხოლოდ ერთი რადიოსადგური ჰქონდათ, რომელიც ბრძოლის დაწყებისთანავე გამოვიდა მწყობრიდან. ამან მათ დამხმარე ძალის გამოძახების საშუალება მოუსპო.

გამოძიებისას გაირკვა, რომ ჯარისკაცები ახლო მანძილიდან იყვნენ დახოცილი, — თალიბებს კარგად გამოწვრთნილი სნაიპერი ჰყოლიათ. ჩასაფრებულები, რომლებიც ჯავშანგამტან ტყვიებს ისროდნენ.

დაზინფორმაციული ომი

შეტაკების შემდეგ თალიბებმა გააერცვლეს ხმა, რომ ტყვედ ჩაიგდეს ფრანგი ჯარისკაცები და მალე მათი წამების ვიდეომასალასაც გამოაქვეყნებდნენ. „შეიძლება ის ქალი ცოლადაც დავისვა“, — უთხრა „გლოუბ ენდ მეილის“ კორესპონდენტს საველე მეთაურმა რაჰმათულამ ვითომდა ფრანგული ოცეულის რიგითი მებრძოლი ქალის შესახებ. გააერცვლეს ხმა სხვა ტყვეების გაჟლეტის თაობაზეც. დასავლელ ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ „თალიბანი“ საგანგებოდ აერცვლებს დეზინფორმაციას და გადაჭარბებულად აფასებს თავის გამარჯვებას და სინამდვილეში ყველა ფრანგი ჯარისკაცი ბრძოლის დროს დაიღუპა, ერთი კი სატრანსპორტო კატასტროფაში.

მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, რომ ოცეულმა ყველა დანაკარგი შეტაკების პირველივე წუთებში განიცადა, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ოთხი ფრანგი ჯარისკაცი ბრძოლის დაწყებამდე დაატყვევეს.

ყოველკვირეულ გაზეთ **Le Canard**-ში გამოქვეყნებულ სტატიაში დასტურდება ოთხი ფრანგი ჯარისკაცის ბრძოლის დაწყებამდე დატყვევებისა და მათი დახოცვის ფაქტი.

ფრანგმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა თავი აარიდეს კომენტარებს, სამაგიეროდ, ამ ბრძოლის მონაწილე ერთ-ერთმა ოფიცერმა აღწერა შეტაკება. მისი თქმით, თალიბებს ხერხმა და გამოგონებლობამ გაამარჯვებინა.

ფრანგი მეომრები თავდადებით იბრძოდნენ. განსაკუთრებით ისახელა თავი დაზვერვის ფრანგმა ოფიცერმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ იყო დაჭრილი, ბოლომდე მეთაურობდა თავის ოცეულს და რომ არა მისი გამბედაობა, შეტაკების შედეგი გაცილებით ტრაგიკული იქნებოდა.

თალიბების ტაქტიკის ფარისცვალება

მომხდარის ანალიზი უმოკლეს ვადაში მოამზადეს ბრძოლაში მონაწილე ფრანგმა ოფიცრებმა. მოხსენებაში ლაპარაკია ბრძოლაში დაშვებულ ტაქტიკურ შეცდომებზე, არასათანადო მომზადებასა და აღჭურვილობაზე. ექსპერტ-ანალიტიკოსები ამ შემთხვევას გაცილებით ფართო კონტექსტით

განიხილავენ და ფიქრობენ, რომ ეს ინციდენტი მომავალში ხელს შეუწყობს უფრო სახიფათო ტენდენციას. ზოგი მიმომხილველი ფრანგული ოცეულის ხაფანგში მომწყვდევეს ამავე წლის ივლისში ამერიკელებზე თავდასხმას უკავშირებს (როცა 9 ჯარისკაცი დაიღუპა), ერთი თვით ადრე კი კანადელებზე თავდასხმას (დაიღუპა 3 ჯარისკაცი). თალიბები თანდათან აუმჯობესებენ პარტიზანული ომის ტაქტიკასა და სტრატეგიას. როგორც ჩანს, მათ უარი თქვეს იმ უვარგის ტაქტიკაზე, რომელსაც ჯერ კიდევ 2006 წლამდე იყენებდნენ. კერძოდ, როცა თხრიდნენ სანგრებს, აწყობდნენ ბლინდაჟებს, ქმნიდნენ ათასკაციან ბანაკებს, რითაც კოალიციური ძალების ავიაციას საუკეთესო სამიზნეს უმზადებდნენ. ამჯერად თალიბებმა გამოიყენეს მაღალი დონის შეტევით მოქმედების ტაქტიკა, როცა მცირერიცხოვანი, დაქსაქსული ბანდები ერთ ადგილზე საგანგებო ამოცანის შესასრულებლად შეკრიბეს.

ზინ მოიოქმედა ეს

ზოგიერთი სამხედრო ექსპერტის აზრით, თავდამსხმელთა რაზმში, საგარეულოდ, იყვნენ ავღანეთის ისლამური პარტიის მებრძოლები, რომელთაც გულბუდინ ჰქმნითიარი მეთაურობს. ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ ჩასაფრებას ხელმძღვანელობდა პაკისტანის რეგიონის სამხრეთ ვაზირისტანის (სადაც ქვეყნის ოფიციალური კანონები არ მოქმედებს) ექსტრემისტი ლიდერი ჰაზრათ ნური, სხვა ვერსიით კი ოპერაცია ჩაატარა საველე მეთაურმა ფაროუ-

ქმ. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ საქმეში ისლამური პარტიის მებრძოლთა რაზმის მეთაურის, მოლა რაჰმათუ-ლას ხელი ურევია. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაჰმათულა ეყრდნობა როგორც თავის პარტიას, ასევე „თალიბანს“, და მეტად აქტიურობს ამ რევიონში.

კანადელი ბრიგადის გენერალი რიჩარდ ბლანშეტი, რომელიც NATO-ს საერთაშორისო ძალების უსაფრთხოებასა და უზრუნველყოფაზე აგებს პასუხს, შენიშნავს, რომ მოწინააღმდეგის რიგებში სნაიპერის გამოჩენა იმის დასტურია, რომ ექსტრემისტებს პაკისტანში ამზადებენ: „ჩვენი აზრით, ალ-ქაიდა“ ბოვეიკებს საზღვრის იქითა მხარეს ამზადებს. პაკისტანი ისე ახლოა, რომ ლოგიკურია, ვამტკიცოთ, — სნაიპერები ამ ქვეყნიდან შემოვიდნენ. ბოვეიკების ჩასაფრებისას გამოყენებული რთული ტექნიკაც პაკისტანზე მიგვიანიშნებს“.

არსებობს აზრი, რომ მოჯანყებულები ქალაქ სურუბის ადმინისტრაციაზე თავდასხმას აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად შხამზარეულ სამიხნეს წააწყდნენ: ქაბულის ადმოსავლეთით მიმავალ სამხედრო ტექნიკის კოლონას. ინფორმატორის ცნობის თანახმად, სოფელ მარშრუტისა და ალიანსის ქვედანაყოფების ამოცანის შესახებ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ავღანელი თარჯიმანი, რომელიც კოლონას თან ახლდა, ბრძოლის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გაქრა. შესაძლოა, თალიბებს სწორედ მან მიაწოდა ინფორმაცია. არც ისაა გამორიცხული, რომ საიდუმლო იმ ავღანელმა ჯარისკაცებმა გათქვეს, რომლებიც ფრანგებს გასაძლიერებლად გააყოლეს.

გზილი ყივლაყი

18 აგვისტოს საზღვაო ქვეითთა მე-8 საპარაშუტო პოლკის 30-მა ჯარისკაცმა და სამარშო პოლკის ასევე 30-მა ჯარისკაცმა მიიღეს ბრძანება, დაეზვერათ მარშრუტი უზმინის დაბლობზე, ყივლაყებს — თავებისა და სურუბის შორის. პატრულის შემადგენლობაში იყვნენ აშშ-ის საგანგებო ძალების ქვედანაყოფები და ავღანელი გასამხედროებული ნაწილები. ფრანგების უმეტესობა მიდიოდა ჯაუშინიანი მანქანებით avangard RTM-ით, ამერიკელე-

ბი სამი HAMVEE-ით, ავღანელები კი ოთხი Ford Renger-ის ჯიპით. ყივლაყში, სადაც თალიბანის მეთრები იყვნენ ჩასაფრებული, აბსოლუტური სიმშვიდე იყო.

ამერიკული საგანგებო ძალების ქვედანაყოფის მეთაური თარჯიმნის მეშვეობით გაესაუბრა ადგილობრივ მცხოვრებლებს და მიიღო ის პასუხი, რასაც ავღანელები იძლევიან მაშინ, როცა დაინახავენ, რომ მათი სოფელი ალყაშემორტყმულია. ასეთ შემთხვევაში კი ამბობენ, რომ „მხარს უჭერენ ხელისუფლებას, სოფელში კი სიმშვიდეა“. სოფლის უხუცესმა ამერიკელი ოფიცერი ბაღში შეიწვია, მაგრამ მაშინვე შეწყვიტა საუბარი, როცა ადგილობრივი პოლიციის ოფიცერი შენიშნა, რომელიც მათ საუბარს უსმენდა. უხუცესმა ამერიკელი ოფიცერი მანქანამდე მიაცილა თუ არა, მთიდან, რომელიც ყივლაყს გადმოჰყურებდა, პირველი გასროლა გაისმა. სწორედ ამ მიმართულებას ზვერადა ფრანგების ოცეული, რომელიც უკვე ბექობზე იყო ასული და რამდენიმე ასეული მეტრი ჰქონდა გავლილი. სამარშო პოლკის ჯარისკაცებსა და ავღანელებს პოზიცია დაბლობზე ჰქონდათ დაკავებული. ოცდაათი მედეხსანტე ძირითადი ჯგუფისგან დაახლოებით ერთი კილომეტრით იყო დაშორებული. დაახლოებით 300-300 მეტრ ფართობზე გაბეუული ფრანგი ჯარისკაცები იოლი სამიხნე გამოდგნენ ჩასაფრებული ბოვეიკებისთვის — მათ ტყვიები სეტყვასავით დაუშინეს.

ბრძოლის დასასყისი

ბრძოლა დაახლოებით 15.00-15.30 სთ-ზე დაიწყო. ქედიდან ბოვეიკებმა ჯერ მეჩხერი ცეცხლი გახსნეს, შემდეგ კი სროლა განშირდა. მალე თალიბებმა ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარ-

სატყორცების გამოყენება დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის სიმორე რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენდა, ყუმბარები მიზანს ზუსტად ხვდებოდა. ხაფანგში მოექცვდნენ როგორც მედეხსანტეები, ასევე პატრულის ძირითადი ძალები, რომლებსაც პოზიციები ყივლაყის გარშემო ჰქონდათ დაკავებული. გადარჩენილი მეთრები ჰყვებოდნენ, რომ ბრძოლის დაწყებამდე პირველივე წუთებში დაირღვა კავშირი და მასთან ერთად მოიშალა საერთო ხელმძღვანელობა, რადგან პირველად დაიღუპნენ სექციის მეთაურის მოადგილე და რადისტა, ერთ-ერთი ოფიცერი კი მხარში დაიჭრა. მალე ოცეულის ერთადერთი რაციაც მწყობრიდან გამოვიდა. ფრანგები განუწყვეტელი ცეცხლის გამო მიწაზე იყვნენ გართხმული ოთხი საათის განმავლობაში. ტყვია-წამალი, რომელიც ოცეულს ოპერაციის შესასრულებლად ჰქონდა, მალე ამოიწურა, ხოლო შესავსებად მანქანებთან მიახლოებაც კი შეუძლებელი იყო.

35-ე საარტილერიო-საპარაშუტო პოლკის მებრძოლებს, რომლებიც კოლონის ზურგში იყვნენ, შეეძლოთ დახმარებოდნენ ხაფანგში მოქცეულებს, თუკი მანქანებზე დამონტაჟებულ ტყვიამფრქვევებსა და ოთხ 120-მილიმეტრიან ნაღმსატყორცს შეაბრუნებდნენ და მათ დასაცავად ცეცხლს გახსნიდნენ, მაგრამ ეს რატომღაც არ გააკეთეს.

მანევრირების ხალმოსარული მსდელთა

ქვედანაყოფები, რომლებსაც ყივლაყის გარშემო წრიული თავდაცვის პოზიციები ეკავათ, ადგილსამყოფლის შეცვლას შეეცადნენ, რომ კონტრშეტყვის საშუალება მისცემოდათ, მაგრამ მალე გაირკვა, რომ საბრძოლო მასალა თითქმის ამოწურული იყო. ამიტომაც





იძულებული გახდნენ, კონტრშეტევაზე უარი ეთქვათ. როგორც მოგვიანებით ექსპერტებმა გაარკვიეს, მანქანებზე დაყენებული ტყვიამფრქვევების საბრძოლო მარაგი მხოლოდ 600 ვაზნას შეადგენდა. მიწას გაკრულმა და მოძრაობაზე ხელუღმარა ფრანგმა მედესანტებმა მალე კავშირგაბმულობის საშუალებაც დაკარგეს, რამაც მათ ავიაციის მხარდაჭერის იმედი გადაუწურა. თალიბებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი პოზიციები და პატრულს გამანადგურებელი, ზუსტი ცეცხლი გაუხსნეს. ამერიკული ჯიპები ცეცხლგამძენი და ჯავშანგამტანი ტყვიების სეტყვაში მოექცნენ. სროლა მიზანმიმართული იყო, ტყვიების უმრავლესობა მანქანებს გვერდითა და შუბლის მხარეზე ხვდებოდა. ყიშლაყის გარშემო მდებარე პოზიციაზე მყოფი პატრულის ქვედანაყოფები ორ ნაწილად გაიყო და კიდევ ერთხელ სცადეს რკალის გარღვევა. ამერიკელთა და ავღანელთა ქვედანაყოფები შეეცადნენ თალიბებისთვის დასავლეთიდან შემოეკლოთ, მაგრამ ჯვარედინ ცეცხლში მოხვდნენ და უკან დაბრუნდნენ. ფრანგების ქვედანაყოფი ცდილობდა, მიახლოებოდა ხაფანგში გაბმულ თანამემამულეებს, მაგრამ ისინიც ინტენსიურ ცეცხლში მოხვდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეს ოცდაათიდან შეიდი ჯარისკაცის სამშვიდობოს გაყვანა.

მოქმედება ავიაციისთან ერთად

მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო, კოალიციური ძალები პარტიზანების ალყაში

მოქცეულიყვნენ. ბოვეიკები ცდილობდნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ უპილოტო თვითმფრინავების საავიაციო დარტყმებისათვის, აგრეთვე სადაზვერუო შვეულმფრენ OH-58 „კაიოებისათვის“ და საბრძოლო შვეულმფრენ AH-64 „აპაჩებისათვის“. გარდა ამისა, ამ დროისთვის ბრძოლაში ჩართული იყვნენ მოიერიშე A-10 „ტანდერბოლტები“, „მფრინავი საარტილერიო ბატარეები“ AC-130, გამანადგურებელი F-15 და სტრატეგიული ბომბდამშენები B-1B.

მოიერიშე A-10-ების დარტყმებს წარმართავდა ამერიკელი სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი. ამ დროისთვის ჰაერს სერავდა ორი გამანადგურებელი F-15, რომელთაც თავიანთი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება არ ჰქონდათ, რადგან თალიბები საკმაოდ ახლოს იყვნენ ფრანგებთან. ამერიკულ შვეულმფრენებს, რომლებიც დაჭრილების გამოყვანას შეეცადნენ, ხელი მოწინააღმდეგის ინტენსიურმა ცეცხლმა შეუშალა. დასახმარებლად მოსულმა ფრანგულმა შვეულმფრენმა (EC-725 Caracal) ექიმი და სწრაფი რეაგირების ძალების ათი კომანდოსი გადმოსხა. მოგვიანებით ზოგიერთმა დაჭრილმა განაცხადა, რომ მათი ქვედანაყოფი ავღანელი მოკავშირეებისა და NATO-ს ავიაციის ერთობლივ ცეცხლში მოხვდა. ამ დროს ამერიკელი მედიკოსები ორი დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ერთი მათგანი დაიღუპა, მეორემ მოახერხა და დაზიანებული არტერიიდან დროებით შეაჩერა სისხლდენა. მას სასწრაფო კვალიფიციური დახმარება სჭირდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა,

ავიაციამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს, რამაც მედიკოსებს საშუალება მისცა დაჭრილი ბრძოლის ველიდან გაეყვანათ.

დღეგრძეობა, დახმარება და თალიბების შეუპოვრობა

სამხედრო ექსპერტები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ამ ბრძოლაში ამერიკელებისა და ფრანგების გამირობას, ძალზე კრიტიკულად აფასებენ ავღანელი მოკავშირეების მოქმედებებს. თხუთმეტი მათგანი სამი სატვირთო პიკაპით („ფორტ რეინჯერი“) თან ახლდა პატრულს. ორი მანქანა ინტენსიურ ცეცხლში მოექცა და სწრაფად გამოვიდა მწყობრიდან, ოთხი ოფიცერი კი დაიჭრა. საბოლოოდ ავღანელმა ჯარისკაცებმა იარაღი დაყარეს და ბრძოლის ველიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. თუმცა დახმარებამ დაიგვიანა, მაგრამ მაინც მოვიდა: ბრძოლის ველისკენ გაემართნენ ქაბულში დაბანაკებული სწრაფი რეაგირების მსხვილი ქვედანაყოფები და პროვინციული ცენტრ სურუბის შენაერთები. სწრაფი რეაგირების ძალების მეთაური იხსენებს: „ჩვენ ვხედავდით ბოვეიკებს, მაგრამ არ ვიცოდით, რამდენი იყვნენ. როცა აღმართზე ასვლა დაიწყეთ, არ გასულა 20 წუთი და ზურგიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. ჩვენ ალყაში მოვხვდით“. შვეულმფრენები ცდილობდნენ დაჭრილების გამოყვანას, მაგრამ ინტენსიური ცეცხლის გამო დიდხანს ვერაფერს გახდნენ. როგორც იქნა, შებინდების შემდეგ მოხერხდა დაჭრილების ევაკუირება.

ბრძოლის დაწყებიდან ექვსი საათის შემდეგ თალიბების ზოგიერთმა ჯგუფმა უკან დახევა დაიწყო, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ნაწილმა დარჩენა არჩია და მეორე დღის 9.00 საათზე უკანასკნელი გამანადგურებელი იერიშის მიტანა სცადა. ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა და მხოლოდ შუადღისთვის მინელდა. ამის შემდეგ მოხერხდა ბრძოლის ველიდან ცხედრების გამოტანა.

დანაკარგები

ფრანგების ცხედრების გამოტანა 19 აგვისტოს შუადღემდე ვერ მოხერხდა. მანამდე თალიბებმა ისინი გაძარცვეს, — აართვეს აღჭურვილობა, იარაღი და გახადეს ფეხსაცმელები. დაზოცილი ფრანგი ჯარისკაცების ჭრილობები აშკარად მეტყველებდა, რომ ახლო მანძილიდან იყვნენ დაზოცილი. დაიღუპა ათი ფრანგი მედესანტე, დაიჭრა



თვრამეტი. დაჭრილების გადარჩენის მცდელობისას ერთი ჯავშნიანი მანქანა უფსკრულში გადაიჩეხა. დაშავდა ოთხი და დაიღუპა ერთი ჯარისკაცი. მტრის ტყვიამ იმსხვერპლა უცხოური ლევიონის მე-2 საპარაშუტო-სადესანტო პოლკის მედიკოსი, როცა დაჭრილი ჯარისკაცების შევლას ცდილობდა.

თალიბებმა დაკარგეს თხუთმეტი ბოვეკი, თვრამეტი კი დაიჭრა. ეს მონაცემები ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა გაახმაურა (რაც ნაკლებსარწმუნოა). ფრანგი ოფიცრების აზრით, ამ ბრძოლაში 40-70 ბოვეკი გაანადგურეს, რაც სასურველის რეალობად გასაღების ცდას უფრო წააგებს, ვიდრე სიმართლეს. ბრძოლის ველზე მხოლოდ ერთადერთი თალიბი მეომრის გვამი აღმოჩნდა.

საეჭვო დასკვნები

გაკვირვებას იწვევს დასავლელი ექსპერტების დასკვნები თალიბების ესოდენ წარმატებული ოპერაციის შესახებ. მათი აზრით, პატრული ISAF ან შემთხვევით გადააწყდა ყიშლაყს, სადაც პარტიზანთა მრავალიცხოვანი რაზმი იყო ჩასაფრებული, ან თალიბებმა წინასწარ იცოდნენ პატრულის მარშრუტი და მიზანი. ორივე აზრი საკამათოა. საკმარისია, გავიხსენოთ მიზეზი, რამაც ამ რეგიონში პატრულის მოქმედება გამოიწვია. ეს იყო სადაზვერუო ინფორმაცია, რომ პაკისტანიდან დივერსიების მოსაწყობად ორმოცი პარტიზანი იყო გადმოსული, რომლებიც თავს ამ რეგიონს აფარებდნენ. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ეს დეზინფორმაცია თალიბებმა გაავრცელეს და ინფორმატორის მეშვეობით ISAF-ს მიაწოდეს (შესაძლოა, ინფორმატორი სწორედ ის თარჯიმანი იყო, რომელიც ბრძოლის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გაუჩინარდა). თალიბებმა ჯერ ხაფანგი დააგეს და ის „ნადირი“ შეიტყუეს, რომელიც თავს მონადირედ თვლიდა.

საეჭვო ტაქტიკა და რანაფიქარი

პატრულის შეცდომებმა თალიბებს ამოცანა გაუმარტივა. განსაკუთრებით არაპროფესიონალურია პატრულის მეთაურობის მოქმედებები. ნათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენი და მოუხსმინოთ ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტს, რომელიც ალიანსის სამხედრო ძალების მოქმედებას კრიტიკულად აფასებს: „მიუხედავად იმისა, მექნებოდა თუ არა მოჯაჰედების რაოდენობისა და მათი ადგილსამყოფლის შესახებ ცნობები,

ისე არ ვიმოქმედებდი, როგორც ფრანგები მოქმედებდნენ. სისულელეა იმის იმედი იქონიო, რომ მოჯაჰედები ყიშლაყში მშვიდად დაელოდებოდნენ, მოწინააღმდეგის მოუხეშავი ტექნიკა როდის აბობლდებოდა სოფლამდე და ალყას შემოარტყამდა მათ. თალიბებთან მებრძოლმა ყველა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ როცა მოჯაჰედები თავიანთი ინფორმატორებისაგან მოწინააღმდეგის ძალების გადაადგილების ცნობას იღებენ, ან ადგილს იცვლიან, ან ცდილობენ, თავს დაესხან მოძრავ კოლონას, მით უმეტეს, რომ მძიმე სამხედრო ტექნიკა მთავორიან ვიწრო გზებზე მანევრირების საშუალებას მოკლებულია. კიდევ კარგი, თალიბები ფრანგებს მოძრაობის მიმართულებით არ ჩაუსაფრდნენ, მაშინ ხომ მათგან აღარაფერი დარჩებოდა.

უკეთესი იქნებოდა, თუ მიღებული ინფორმაცია აერომობილური ოპერაციის გზით გადამოწმდებოდა, ანდა ქვეითთა ჯგუფები გაეყვანათ ყიშლაყის გარშემო მდებარე გაბატონებული სიმაღლეების დასაკავებლად და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ამოცანის შესასრულებლად კოლონის ადგილიდან დაძვრა. ჩვეულებრივ, დაფარული მარშის მოსაწყობად სასურველია, კოლონა შებინდებისას დაიდრას, რომ მეორე დღის დილას დანიშნულების ადგილზე იყოს. ამ დროს მთებისკენ უკანდახეული მოწინააღმდეგე გაბატონებულ სიმაღლეზე ჩასაფრებული ჯგუფების ცეცხლში ხვდება.

გარდა ამისა, გამოცანად რჩება, რა იყო მთებში წინწაწეული ფრანგული ოცეულის მთავარი ამოცანა.

NATO-სათვის განკუთვნილ მოხსენებაში ნათქვამია, დაზვერვის ჩასა-

ტარებლად, მაგრამ რა უნდა დაეხვერა? ოცეული მთებში საცეცხლე მხარდაჭერის გარეშე გაუშვეს. ნუთუ ეგონათ, რომ თალიბები მათ დაუწყებდნენ ლოდინს? ფრანგების მოქმედება ამ ოპერაციის დროს ტაქტიკური თვალსაზრისით სრული უაზრობაა“.

როგორს პირველ მსოფლიო ომში

ამ საბრძოლო მოქმედების მატერი-ალური უზრუნველყოფა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ორმოცდაათკაციანი ჯგუფის დასაზვერად გაგზავნა, როდესაც მხოლოდ ერთი რადიოსადგური აქვთ, დანაშაულია. ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინ ამავე რაოდენობის საგანგებო ქვედანაყოფებს ამოცანის შესრულებისას თან ჰქონდათ მინიმუმ ორი რადიოსადგური შტაბთან კავშირის დასამყარებლად და 4-5 — ქვედანაყოფის შიგნით კავშირისთვის. ფრანგების ოცეულს შიდაკავშირის რადიოსადგური რომ ჰქონოდა, მისი გამოყენება ძირითად ძალებთან დასაკავშირებლად თავისუფლად შეიძლებოდა.

ანდა, რა არის 600 ვაზნა ჯავშან-მანქანაზე დამონტაჟებული თითო ტყვიამფრქვევისთვის, როცა ათჯერ მეტი მარაგიც საკმარისი არ იქნებოდა? ყველაზე მეტ გოცებას იწვევს ის, რომ აღწერილი მოვლენები არა კამპანიის დასაწყისში, 2001-2002 წლებში, არამედ შვიდი წლის შემდეგ მოხდა. მით უმეტეს, როგორც ამერიკელებს, ისე ფრანგებს პარტიზანებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ ვიეტნამში (ფრანგებს — ალჟირშიც). იქნება შთაბეჭდილება, რომ მათი მეთაურები წინა თაობების გამოცდილებას გულისყურით არ ეკიდებიან.



ახალი საპატრულო კატარაჟი



16 აპრილს ახალი ზელანდიის სამხედრო-საზღვაო ძალებს **Protector**-ის პროექტის პირველი კატარაჟი **P3569 Rotoiti** გადაეცა, რომელიც კორპორაცია **BAE Systems**-ის ფსტრალიურმა განყოფილებამ ააგო. კიდევ სამი კატარაჟის მიღება მისისათვის არის დაგეგმილი.

Rotoiti-ს გამოიყენებენ ახლო საზღვაო ზონის — 40-50 კმ რადიუსში პატრულირებისათვის, კერძოდ, ტერიტორიულ წყლებში არალეგალურ იფუნქციონირებასთან საბრძოლველად. კატარაჟის ტექნიკური შესაძლებლობები უფრო შორ მანძილზე ამოცანების შესრულების საშუალებასაც იძლევა.

კატარაჟის წყალწვევა 340 ტონაა, სიგრძე — 55 მეტრი, მაქსიმალური სიჩქარე კი 25 კვანძია, ეკიპაჟი 20 კაცს ითვლის. შეიარაღებულია ერთი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრეხვეით.



„კომსოლოცის“ დაღუპიდან 20 წელი უსრულდა

1989 წლის 9 აპრილს, როცა თბილისში შვეიდობიანი გამოსვლები საბჭოთა არმიამ სასტიკად დაარბია, მოსკოვმა იმავე დღეს ერთი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა:

„1989 წლის 7 აპრილს 11 საათსა და 41 წუთზე კუნძულ მედვეეიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 180 კილომეტრით დაშორებული რაიონის ნეიტრალურ წყლებში, ბირთვული ენერგეტიკული დანადგარით აღჭურვილი სატორპედო წყალქვეშა ნავის ერთ-ერთ ნაკვეთურში ხანძარი გაჩნდა. მიღებული ზომების მიუხედავად, 17 საათსა და 15 წუთზე წყალქვეშა ნავი 1500 მეტრ სიღრმეზე ჩაიძირა.

ეკიპაჟის პირად შემადგენლობას ავარიის რაიონში მისული საბჭოთა ხომალდები და გემები დახმარებას უწყვენ. არის მსხვერპლი“.

საბჭოთა საზოგადოებისათვის ორი დღის დაგვიანებით გავრცელებული ზოგადი ინფორმაცია ტრაგედიის დეტალებზე, ტრადიციულად, არაფერს ამბობდა. მოგვიანებით დასავლეთის ქვეყნებისა და განსაკუთრებით ნორვეგიის მედიის დახმარებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-საზღვაო კატასტროფის ბევრ ეპიზოდს ფარდა აქხადა.

საბჭოთა ატომური წყალქვეშა ფლოტის მშენებლობის პიკში — 1978 წლის 22 აპრილს სვეეროდინსკის „სევმაშპრედპროიატიეში“ საიდუმლო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა ახალი 685 პროექტის ატომურ წყალქვეშა ნავს.

სხვა სუბმარინებისაგან განსხვავებით, ხომალდის კორპუსი ტიტანის ფურცლებისაგან იგებოდა, რომელიც წონის შეძცირებასთან ერთად მაქსიმალურ — 1000 მეტრ სიღრმეზე ჩაყვინთვის საშუალებას იძლეოდა. მაშინ, როცა ფოლადის კორპუსის მქონე სერიული წყალქვეშა ნავების ჩაყვინთვის სიღრმე 300-დან 500 მეტრს არ აღემატებოდა.

ახალი სუბმარინის დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის ატომური წყალქვეშა ნავების, საავიამზიდო შენაერთების, დიდი საბრძოლო ხომალდებისა თუ სატრანსპორტო გემების აღმოჩენა, ხანგრძლივი დროით თვალყურის დევნება და განადგურება.



რეკორდული ჩაყვინთვისათვის აგებული K-278 „კომსოლოცი“



უფროსი მატროსი ნოდარ ბუნნიკაშვილი

ექსპერიმენტულ ხომალდში საბჭოთა საზღვაო სტრატეგები სამომავლოდ ღრმა წყლების საბრძოლო სუბმარინების სერიული მშენებლობის პერსპექტივას ხედავდნენ.

მართლაც, ჰიდროაკუსტიკური საშუალებებით 1000 მეტრ სიღრმეზე წყალქვეშა ნავის აღმოჩენა და განადგურება, ურთულესი ამოცანა იყო, მაგრამ ასეთი დიდი სიღრმიდან წყალქვეშა ნავის შეიარაღების გამოყენებაც არანაკლებ პრობლემატური.

სიახლეს წარმოადგენდა მაშველი კამერა, რომელიც ეკიპაჟს მთლიანად იტევდა და 1500 მეტრი სიღრმიდან ამოყვინთვა შეეძლო. გასაგები მიზეზების გამო კამერის რეალურ პირობებში გამოცდა არ შედგა და მისი არასაიმედოობა კატასტროფამაც დაადასტურა.

1983 წლის 28 დეკემბერს ატომური

წყალქვეშა ნავი K-278 ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში შევიდა და მოგვიანებით სახელი „კომსოლოცი“ მიიღო.

1984 წლის 4 აგვისტოს პირველად „კომსოლოციმა“ რეკორდულ — 1000 მეტრ სიღრმეზე ჩაყვინთა და იქ 51 წუთი დაყო. იმ დღეს მაქსიმალური ჩაყვინთვის სიღრმემ 1027 მეტრს მიაღწია.

ამოყვინთვის დროს 800 მეტრის სიღრმიდან სატორპედო აპარატიდან ლუგვის საცდელი გასროლა შედგა. მაღალი წნევის გამო ნამდვილი ტორპედოს სროლას მაინც მოერიდნენ.

ამ სახიფათო და სარისკო ექსპერიმენტს უზრუნველყოფას რამდენიმე გემი უკეთებდა. გამოცდის მონაწილე ერთ-ერთი გემის ჰიდროაკუსტიკოსი იხსენებდა, რომ სიღრმისკენ მიმავალი წყალქვეშა ნავს წყლის წნევისაგან ისეთი ჭრატუნის და ღრჭიალი გაჰქონდა, რომ შიშისგან ლამის გაჭაღარავდა.


მაქსიმალურ სიღრმეზე წყალქვეშა ნავის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე წყლის დაწოლა 100 კილოგრამს აღწევდა და კორპუსზე დამაგრებული ერთი ოფიცრის საწოლი მშვილდით გაიღუნა.

რეკორდული ჩაყვინთვისათვის აგებული საცდელი წყალქვეშა ნავის ბიოგრაფია ხანმოკლე გამოდგა.

1989 წლის 7 აპრილი ხომალდზე ჩვეულებრივ დაიწყო. 11 საათზე წყ-



ჩაძირული
„კომსომოლცი“
1685 მეტრის
სიღრმეზე



წყალქვეშა
ნავის საჭე

ალქვეშა ნავზე პირველი საბრძოლო ცვლის მზადყოფნა გამოცხადდა, მესამე კი სადილისათვის ემზადებოდა. იმპედროულად, დადგენილი წესით, ვახტის ოფიცერი ნაკვეთურებში არსებულ მდგომარეობაზე მოხსენებებს იღებდა.

კიხოს მეშვიდე უკაცრიელ ნაკვეთურს, სადაც ხომალდის ხრახნის მთავარი ლილვი და საჭის ამძრავები იყო მოთავსებული, უფროსი მატროსი ნოდარ ბუხნიკაშვილი ამოწმებდა. გაგრის რაიონის სოფელ განთიადში გაზრდილ ახალგაზრდას სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრებამდე 6 თვე რჩებოდა.

იმ დღეს ქართველ მეზღვაურს ბედმა უშუბთლა და მეშვიდე ნაკვეთურში სტიქიასთან პირისპირ აღმოჩნდა. სახომალდო წესდება მოკლე განმარტებას იძლევა: ხანძრის დროს ცეცხლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ნაკვეთური იკეტება და იქ მყოფი პირები ხანძართან ბრძოლას იწყებენ.

შეზღუდულ გარემოში, სადაც უამრავი კაბელი თუ მილი გადის და შეიძლება ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ იყოს, ხანძართან ბრძოლა ადამიანისგან დიდ ძალასთან ერთად გამძლეობასაც მოითხოვს.

მეშვიდე ნაკვეთურში ნოდარი შვეიდა, ლიუკი დაკეტა და ცენტრალურ პოსტს შეატყობინა: „მეშვიდეში ძლიერი კვამლია, ცუდი ხილვადობაა, იწვის გაყვანილობა“. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები, ამის შემდეგ ნაკვეთურთან კავშირი გაწყდა.

ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რა შეეძინა ქართველ მეზღვაურს „კომსომოლცი“ ნაკვეთურში, მაგრამ მისმა თავგანწირვამ ბევრი მისი მეგობარი გადაარჩინა.

11 საათსა და 3 წუთზე ვახტის მექანიკოსის პულტზე მივიდა სიგნალი, რომ

მეშვიდე ნაკვეთურში ტემპერატურამ 70 გრადუსს გადააჭარბა.

ამ დროს „კომსომოლცი“ 157 მეტრ სიღრმეზე მიცურავდა. გამოცხადდა განგაში და ეკიპაჟის თითოეულმა წევრმა ადგილი განრიგის მიხედვით დაიკავა. ხანძარი განდა მეექვსე ნაკვეთურში და აფეთქების სახით მეხუთე ნაკვეთურში გავრცელდა. თვითმხილველთა გადმოცემით იყო მოცულობითი აფეთქება ან ხანძარი. ცეცხლმტყორცნიდან გამოვარდნილმა ცეცხლის მსგავსმა ცისფერმა ალმა მთელი ნაკვეთური გაიარა, მეზღვაურებს ტანსაცმელი და თმა დაუწვა და ერთ წუთში გაქრა.

ბუხნიკაშვილის მსგავსად მეექვსე ნაკვეთური მიჩმანმა ვლადიმერ კოლოტილინმა ჩაკეტა. როგორც გადარჩენილი მეზღვაურები იხსენებდნენ, ნაკვეთური ისე იყო ჩაკეტილი, რომ ხანძრის ნიშანიც კი არ ჩანდა.

ხანძრის კერის აღმოჩენიდან 11 წუთის შემდეგ, 11 საათსა და 14 წუთზე, „კომსომოლცი“ ზღვის ზედაპირზე იყო და ეკიპაჟი ნაკვეთურებში ხანძართან ბრძოლას განაგრძობდა.

12 საათისათვის წყალქვეშა ნავის 7 ნაკვეთურიდან 4 იწვოდა. ცენტრალურ პოსტს იქ ჩარჩენილ ადამიანებთან კავშირი არ ჰქონდა, ხოლო დარჩენილი სამიდან ორში ძლიერი კვამლი შეიმჩნეოდა.

ხანძრის ლოკალიზება მეშვიდე ნაკვეთურის გამოკლებით თითქმის ყველგან მოხერხდა. ეკიპაჟიდან ბევრს დამწვრობა ან მოწამვლის ნიშნები ჰქონდა. ასეთები ხომალდიდან გემბანზე სუფთა პაერის ჩასასუნთქად გამოჰყავდათ, ხოლო ვისაც ჯერ კიდევ ძალა შესწევდა, ხანძართან ბრძოლას განაგრძობდა.

გემბანიდან კარგად ჩანდა ხომალდის მეშვიდე ნაკვეთურის რაიონი, სა-

დაც კორპუსი კვამლში იყო გახვეული. ხანძარმა კორპუსში ჩაყოლებული ყველა ჩობალი, მამჭიდროებული თუ კაბელი გააღწო და გაჩენილი ღრიჭოებიდან სუბმარინაში წყალი შევიდა.

წყალი კიხოს ამძიებდა, რომელიც სულ უფრო ღრმად ჯდებოდა და ცხვირი კი პირიქით — ზემოთ იწვედა. 16 საათსა და 30 წუთიდან დიფერენტმა მკვეთრად მოიმატა და 17 საათსა და 8 წუთზე „კომსომოლცი“ ზღვის სიღრმისკენ წავიდა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ჩრდილოეთის ფლოტის სამეთაურო პუნქტებზე ხომალდიდან პირველი სიგნალი 11 საათსა და 41 წუთზე მივიდა, მაგრამ იმდენად დამახინჯებული, რომ ხომალდის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მასშველი გემების რაზმში განგაში გამოცხადდა.

12 საათსა და 19 წუთზე მიღებული სიგნალებით, როგორც იქნა, ხომალდის ზუსტი კოორდინატები დადგინდა და შემთხვევის ადგილისაკენ მასშველი გემი „ყარაბახი“ მასშველი ბუქსირის СБ-406-ის თანხლებით გაიგზავნა.

„კომსომოლციისაკენ“ კურსი აიღო მეთევზეთა მცურავმა ბაზა „ალექსეი ხლობისტოვმა“ და თევზმჭერმა ტრაულერმა СТР-612-მა. ეს გემები ავარიის ადგილიდან ყველაზე ახლოს — დაახლოებით 94 კილომეტრზე იყვნენ.

წყალქვეშა ნავამდე ყველაზე სწრაფად — ორ საათში — ოთხძრავიანმა საპატრულო თვითმფრინავმა ИЛ-38-მა მიაღწია.

„კომსომოლციის“ მეთაურის მოხსენებები განგაშის საფუძველს არ იძლეოდა და თვითმფრინავი წყალქვეშა ნავის ახლოს დაფრინავდა.

16 საათსა და 38 წუთზე დიფერენტის მომატებამ სახიფათო სახე მიიღო, ამიტომ საპატრულო თვითმფრინავი



დაბალ სიმაღლეზე დაეშვა და წყალქვეშა ნავიდან დაახლოებით 300 მ რადიუსში მაშველი კონტინენტები ჩამოყარა.

„კომსომოლცის“ გემბანზე მყოფთა ფიზიკური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ კონტინენტებისაკენ გაცურვა, თანაც ცუდ ამინდსა და ცივ წყალში, ვერავინ შეძლო.

16 საათსა და 40 წუთზე წყალქვეშა ნავის დატოვების ბრძანება გაიცა, მაგრამ ხომალდში მყოფთაგან ყველამ ბრძანება ვერ გაიგო.

გემბანიდან ჩაშვებული პირველივე მაშველი ტივი ქარმა გაიტაცა და რამდენიმე მეზღვაურს ტივის გადასარჩენად ზღვაში ცურვამ მოუწია, მეორე ტივი კი ჩაშვებისთანავე გადაბრუნდა, მაგრამ მისი გასწორების ძალა უკვე აღარავის შესწევდა.

17 საათსა და 8 წუთზე „კომსომოლცი“ ჩაიძირა. ხომალდში დარჩენილმა ხუთმა კაცმა, მათ შორის მეთაურმა, მაშველ კამერაში შედგენა შეძლო. დაახლოებით 400 მეტრის სიღრმიდან კამერა წყალქვეშა ნავს გამოეყო და წყლის ზედაპირისაკენ წაიდა. წნევითა სხვაობამ კამერის სახურავი მოგლიჯა და მეზღვაური ამოაგდო, რომელიც კესონური ტრაუმისაგან დაიღუპა, ერთმა ამისმანმა თავისით გამოღწევა მოასწრო. ამის შემდეგ კამერა მომენტალურად გადაბრუნდა და სამი კაცით სიღრმისაკენ სამუდამოდ წაიდა.

სალამოსათვის შემთხვევის რაიონში „ალექსეი ხლობისტოვის“ მიაღწია და სამაშველო ოპერაციას შეუდგა. მეთუხუცებმა მაშველი ტივებიდან გემის ბორტზე 30 მეზღვაური ამოიყვანეს, მაგრამ სამის გადასარჩენა ვერ მოხერხდა, — ისინი გადაცივებისაგან გარდაიცვალნენ. გარდა ამისა, ზღვიდან 16 დაღუპული მეზღვაურის ცხედარი ამოიტანეს.

„კომსომოლცის“ 69-კაციანი ეკიპაჟიდან 42 დაიღუპა. სამაშველო ოპერაციის დროული დაწყების შემთხვევაში მსხვერპლი ბევრად ნაკლები იქნებოდა.

ამ ტრაგედიაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა საბჭოთა სამხედროების ერთხანოვანი და ადამიანის სიცოცხლისადმი გულგრილი დამოკიდებულება. სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნების შიშით თავად ეკიპაჟმაც არ გამოიყენა საერთაშორისო სიგნალი SOS-ი.

ნორვეგიელ მაშველებს კატასტროფის რაიონში შეუუღმფრეების გამოყენება შეეძლოთ, თანაც ოპერაცია „კომსომოლცის“ ჩაძირვამდე 3 საათითა და 45 წუთით ადრე. სამაშველო ოპერაცია

დაღუპულ მეზღვაურებთან გამომშვიდობების ცერემონიალი



„ალექსეი ხლობისტოვის“ მისვლამდე ხუთი საათით ადრე დაიწყებოდა.

ცეცხლმოდებული და ჩასაძირად განწირული ხომალდი არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენდა. ხომალდის დაღუპვიდან ძალიან მალე დასავლეთის პრესაში გამოჩნდა „კომსომოლცის“ საკმაოდ ზუსტი სქემა და აღწერა, აგრეთვე ტექნიკური მახასიათებლები, რომელსაც საბჭოთა სამხედროები საიდუმლოდ თვლიდნენ.

1989-98 წლებში ავარიის რაიონს ღრმა წყლების საკვლევი აპარატები „მირ-1“ და „მირ-2“ იკვლევდა. ამ აპარატებმა სახელი ლეგენდარულ ლაინერ „ტიტანიკზე“ გადაღებული ფილმით გაითქვეს.

„კომსომოლცი“ ლაშში ღრმად, დაახლოებით 2-2,5 მეტრით არის ჩაფლული. კორპუსში დიდი ბზარებია გაჩენილი, რომელიც, ალბათ, ჩვეულებრივი საბრძოლო ტორპედოების დეტონაციას უნდა გამოეწვივა.

კორპუსიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით მკვლევრებმა

ფსკერზე თავლია მაშველი კამერა აღმოაჩინეს, მაგრამ სიღრმიდან მისი ამოღება არ მოხერხდა.

ჯერჯერობით, რადიაციული ფონი ნორმაშია, ხოლო სატორპედო აპარატები, სადაც ბირთვული ქობინებით აღჭურვილი ორი ტორპედო ინახება, საიმედოდ არის დახუფული.

ერთხანს ლაპარაკი წყალქვეშა ნავის ამოწვავზეც მიდიოდა და საფარაულო ხარჯები დაახლოებით 2 მილიარდ დოლარამდე აღწევდა. არც ერთი ქვეყნის საფარო-სამაშველო სამსახურის პრაქტიკაში 1655 მ სიღრმიდან „კომსომოლცის“ მასის მქონე ჩაძირული ობიექტის ამოწვევის პრეცედენტი არ მოიძებნება. ეს მართლაც უნიკალური ოპერაცია იქნებოდა, მაგრამ გაუმართლებლად დიდი ხარჯი და ხომალდის ბირთვული რეაქტორი ბირთვულ იარაღთან ერთად შეიძლება კიდევ უფრო მასშტაბური ახალი კატასტროფის მიზეზი გამხდარიყო, ამიტომ ამოწვევის იდეა დაიწყებას მიეცა.

თიმურ ჩაჩანიძე



ეკიპაჟიდან თექვსმეტი დაღუპული მეზღვაური მინაში დაიკრძალა, ხოლო დანარჩენების სამარე ზღვა იქნება

საზღვაო ავარიები



„პარტფორდის“
დაზიანებული ჯიხური

ორმუხის სრუტეში 20 მარტს ღამით მომხდარ ინციდენტს რეაგირება მალე მოჰყვა. როგორც ცნობილია, ინციდენტის დროს ატომური წყალქვეშა ნავი SSN 768 HARTFORD-ი ამოყვინთვისას სადესანტო-შვეულმფრენშიდ ხომალდ-ლოკ LPD 18 NEW ORLEANS-ს დაეჯახა.

„პარტფორდისათვის“ ეს მეორე შემთხვევა გამოდგა. 2003 წლის 25 ოქტომბერს წყალქვეშა ნავი კუნძულ სარდინიის ახლოს ცურვისას მეჩქეს გამოედო და საჭე და ჰიდროლოკატორი დაუზიანდა.

მე-5 ფლოტის 54-ე ოპერატიული შენაერთისა და წყალქვეშა ნავების მე-7 ჯგუფის სარდალმა, კონტრადმირალმა მაიკლ კონორმა ინციდენტის გამოძიებაში წყალქვეშა ნავ „პარტფორდის“ მეთაური კომანდერი (შეესაბამება II რანგის კაპიტანს) რაიან ბრუკპარტი „ნდობის დაკარგვის“ მიზეზით თანამდებობიდან გადააყენა.

„პარტფორდის“ მეთაურობა მიიღო წყალქვეშა ძალების მე-8 ესკადრის მეთაურის მოადგილემ, კომანდერმა ქრის პარკინსმა, რომელიც მანამდე ატომურ

წყალქვეშა ნავ SSN 765 MONTPELIER-ს მეთაურობდა.

3-4 თებერვალს ბალისტიკურაკეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავების ბრიტანული S-28 VANGUARD-ისა და ფრანგული S 616 TRIOMPHANT-ის შეჯახება ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ფვლაზე მძიმე ავარიად შეაფასა.


თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 20 წლის მანძილზე ბრიტანულმა ატომურმა სუბმარინებმა 14 დაჯახება მოახდინეს. მათ შორის მეჩქესთან, თევზმჭერ გემებთან, 2003 წელს S-88 TIRELESS-ი აისბერგსაც კი დაეჯახა, მაგრამ ფრანგულ წყალქვეშა ნავთან დაჯახება სამხედრო ხომალდთან დაჯახების ერთადერთი შემთხვევაა. ბოლო ინციდენტი ორივე ხომალდის დაზიანებით დასრულდა, მაგრამ ეკიპაჟსა და რეაქტორებს არაფერი შეემთხვა.

ბრიტანეთის ფლოტში 1988-09 წლებში ატომურ წყალქვეშა ნავებზე გაჩენილი ხანძრის 237 შემთხვევიდან 213-ის ლოკალიზება სწრაფად და ბორტზე არსებული რესურსების მინიმალური გამოყენებით მოხერხდა.

21 შემთხვევაში ხანძარი „საშუალო სირთულის“ გამოდგა, რაც მექანიკური მოწყობილობების გაუმართაობით იყო გამოწვეული და ბორტის რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობით გამოყენება მოითხოვა.

ბრიტანეთის ატომური წყალქვეშა ფლოტის არსებობის 40 წლის მანძილზე ბირთვული უსაფრთხოების საკითხი არასდროს დამდგარა. ბრიტანული წყალქვეშა ნავები დაპროექტებულია ყველა წყალქვეშა საფრთხის გათვალისწინებით და ექსპლუატაციისათვის მაქსიმალური საიმედოობით იგება.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, არც ერთი ინციდენტი საამაყო არ არის, მაგრამ ტექნიკა იმდენად საიმედოა, რომ ბორტზე



„პარტფორდის“
დაზიანებული
საჭე 2003 წლის
ავარიის შემდეგ



052B პროექტის სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი



მენტარები არ გააკეთა. შეიძლება ითქვას, რომ 1962 წლის ჩინეთ-ინდოეთის 1962 წლის სასაზღვრო კონფლიქტის შემდეგ ეს პირველი საზღვაო ინციდენტია.

10 აპრილს ხანძარი გაუჩნდა კალინინგრადში ქარხანა „ინტარში“ სარემონტოდ მდგომ რუსეთის ბალტიის ფლოტის დიდ სადესანტო ხომალდ „ალექსანდრ შაბალინს“, რომლის ჩაქრობასაც დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა. ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ავსტრალიის მახლობლად, კონცხ ოტუეიდან სამხრეთით 14 კილომეტრში, 70 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილია II მსოფლიო ომში დაღუპული პირველი ამერიკული სატვირთო გემის City of Rayville-ს (წყალწვევა 5883 ტონა) ნამსხვერვეები. გემის კორპუსი მთლიანად მარჯვნივ არის დაფარული.


ეს რაიონი ჯერ კიდევ 2004 წელს დაიზვერა, მაგრამ თავად გემის ადგილმდებარეობა ბოლო დრომდე უცნობი რჩებოდა.

ავსტრალიის შტატ ვიქტორიიდან ნიუ-იორკში მიმავალი „სიტი ოფ რუვილი“ 1940 წლის 8 ნოემბერს ნაღმზე აფეთქდა. ეკიპაჟიდან 38 კაცი გადარჩა, ერთი დაიღუპა.

ნაღმები ავსტრალიის წყლებში ნორვეგიული ტანკერიდან გადაკეთებულმა Passat-მა დააყენა, რომელსაც ამ მიზნით გერმანული რეიდერი Pinguino იყენებდა.

„პინგვინი“ 1940-41 წლებში ინდოეთის ოკეანესა და ანტარქტიდის მახლობლად რეიდერობდა. გერმანულმა რეიდერმა მოკავშირეთა 61 სატვირთო გემი ჩაძირა.

თემურ ჩაჩანიძე



ინდოეთის ფლოტს „კილოს“ პროექტის 10 წყალქვეშა ნავი ჰყავს

გაჩენილი ხანძრების უმეტესობამ ამოცანის შესრულებაზე გავლენა არ მოახდინა და ზიანი არც ეკიპაჟს მიაყენა.

წყალქვეშა ნავის დახშულ სივრცეში გაჩენილი ხანძარი ზომალდისა და ეკიპაჟისათვის უზარმაზარ საფრთხეს შეიცავს. მარტო ამ მიზეზით საბჭოთა წყალქვეშა ფლოტში სამი ატომური სუბმარინა დაიღუპა და კიდევ რამდენიმე მძიმე დაზიანება მიიღო.

1970 წლის 11 აპრილს ატლანტის ოკეანეში ესპანეთის სანაპიროსთან ხანძრის მიზეზით ატომური წყალქვეშა ნავი K-8 (პროექტი 627) ჩაიძირა. იმ ტრაგედიას ეკიპაჟიდან 52 კაცის სიცოცხლე შეეწირა.

ხანძარმა იმსხვერპლა 1986 წლის 6 ოქტომბერს ატლანტის ოკეანეში ბალისტიკურ კატეგორიის ატომური წყალქვეშა K-219 (პროექტი 667A).

არასაიმედო ტექნიკა და არაეფექტური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მიზეზით 1989 წლის 7 აპრილს ნორვეგიის ზღვაში K-278 „კომსოლოცი“ (პროექტი 685) დაიღუპა.

ცნობილი ზღვა კიდევ ერთ ინციდენტთან დაკავშირებული დეტალები, რომელსაც ადგილი ინდოეთისა და ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს შორის ჰქონდა.

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების რაზმი — საესკადრო ნაღმოსანი Haikou (პროექტი 052 C) და Wuhan (პროექტი 052 B) დამხმარე გემი „ვეი-შანჰუს“ თანხლებით ადენის ყურეში სომალელ შეკობრეებთან საბრძოლველად გაიგზავნა. სამივე ხომალდზე დაახლოებით 800 კაცი და მათ შორის 70 სპეცრაზმელი იმყოფებოდა.

ინდოეთის ოკეანის წყლებში შემოსული რაზმი რუსეთში „კილოს“ პროექტით აგებული ინდური წყალქვეშა ნავის ფარული თვალთვალის ქვეშ მოექცა.

15 იანვარს ბაბ-ელ-მანდების სრუტეში გავლისას ჩინური ხომალდებიდან წყალქვეშა ნავი შეამჩნიეს და დაიწყო დევნის ოპერაცია წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო შეკუმშვარების გამოყენებით.

ინდური სუბმარინა თავის დაძვრენას ცდილობდა. იყენებდა რადიოელექტრონულ დაბრკოლებებს, ჩაყვინთა დიდ სიღრმეში, მაგრამ ჩინელი მეზღვაურების მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ იძულებით ამოყვინთა.

დაპირისპირება დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა და ინდოელმა მეზღვაურებმა რაიონი დატოვეს.

პეკინმა და დელიმ ინციდენტზე კო-

საქართველო და საბჭოთა სამხედრო ავიაცია



„კოკოდებმა“ კავკასიის მთებში ფრენა ისწავლეს

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №8)

სამხედრო აეროდრომებთან ერთად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ავიაცია ბაზირებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სამოქალაქო დანიშნულების აეროპორტებსაც იყენებდა, სადაც ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე სამხედრო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების სადგომები იყო მოწყობილი.

ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე სამოქალაქო აეროპორტს ქუთაისის 31-ე საარმიო კორპუსის დაქვემდებარებაში მყოფი 56-ე შერეული ცალკეული საავიაციო ესკადრილი იყენებდა.

საქართველოდან გასვლის წინ ესკადრილის შემადგენლობაში 5 საბრძოლო-სატრანსპორტო Ми-8Т და 1 სატრანსპორტო Ми-6 ტიპის შვეულმფრენი შედიოდა.

თბილისის აეროპორტში „ალექსეევკას“ სახელით ცნობილი ტერიტორია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის 193-ე ცალკეული შერეული საავიაციო ესკადრილის განკარგულებაში იყო. ესკადრიაში AN-12 ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავებსა და Ми-6/Ми-8 ტიპის შვეულმფრენებს აერთიანებდა.

მარნეულის აეროდრომზე ავიაგამ-

ანადგურებლებთან ერთად განთავსებული იყო 141-ე ცალკეულ შვეულმფრენთა რაზმი, რომელიც საჰაერო თავდაცვის მე-14 კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა და 3 Ми-26-სა და 5 Ми-8-საგან შედგებოდა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის განკარგულებაში საარმიო ავიაციის შვეულმფრენთა სამი პოლკი იყო და სამივე ბაზირებისათვის საქართველოს ტერიტორიით სარგებლობდა.

ცხინვალთან მდებარე აეროდრომს ოლქის მე-7 არმიის (შტაბი ერევანში) დაქვემდებარებაში მყოფი 292-ე ცალკეულ სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენთა პოლკი იყენებდა.

პოლკის პირველი შვეულმფრენები საქართველოში 1973 წლის აპრილში სამხედრო სწავლება „კავკაზში“ მონაწილეობის მიზნით ტორჟოკიდან შემოფრინდა. ცხინვალამდე გზაში შუალედური დაჯდომები კუბინკაში, ვორონეჟში, ვოროშილოვგრადში, კრასნოდარში, გუდაუთასა და წულუკიძეში (ხონში) შესრულდა.

1980 წლის 7 იანვარს განგაშით პოლკის I ესკადრილის Ми-24В-ები და II ესკადრილის Ми-24А-ები ცხინვალთან ვაზიანში გადაფრინდნენ, სადაც შვეულმფრენები დაიშალა და მძიმე, სატრანსპორტო AN-22-ებმა უზბეკეთში ქაქაიდის აეროდრომზე გადაიტანეს.

აწყობა-შემოწმების შემდეგ ეკიპა-

ჟებმა შვეულმფრენებით 10 იანვარს განგაშითი ფრენა ავღანეთის ტერიტორიაზე და წუნდუზის აეროდრომზე დაჯდომით შეასრულეს. 13 იანვარს ორივე ესკადრიაში პირველი საბრძოლო გაფრენის დროს ხელთ არსებული ყველა საცეცხლე საშუალება გამოიყენა.

14 იანვრიდან ესკადრიაში ბაზირებისათვის წუნდუზის აეროდრომზე გადაფრინდნენ. თებერვლის შუა რიცხვებიდან I ესკადრილის დისლოკაციის ადგილი ჯალალაბადის აეროდრომა, ხოლო წუნდუზში დარჩენილ II ესკადრილის იმავე დროისათვის ცხინვალთან გადმოყვანილი III ესკადრილის Ми-8Т-ები დაემატა.

ავღანეთში მივლინება 1981 წლის 23 აგვისტოს დასრულდა. საბრძოლო მოქმედებებში პოლკმა ოთხ-ოთხი Ми-24 და Ми-8 დაკარგა. პირადი შემადგენლობიდან დაღუპულთა შორის არის გორელი პრაპორშჩიკი იური გოლოშვილი.

1980 წლის 25 აგვისტოს 1980 წლის 25 აგვისტოს შვეულმფრენთა რგოლი დაუღლებას ასრულებდა, როცა შვეულმფრენმა, რომლის ეკიპაჟში გოლოშვილი შედიოდა, მიწიდან ДШК-ს ცეცხლმა მძიმე დაზიანებები მიაყენა და დაჯდომისას აფეთქდა. ბორტზე მყოფნი დაიღუპნენ.

1990 წლების დასაწყისისათვის 292-ე პოლკი 24 საბრძოლო Ми-24-სა და 20 სატრანსპორტო Ми-8Т-ს ითვლიდა და ოლქის საარმიო ავიაციის ყველაზე გამოცდილ ნაწილს წარმოადგენდა. ავღანეთში მიღებული გამოცდილება და სწავლებებზე დამუშავებული ჩვევები პოლკის მფრინავებმა ძალიან მალე კავკასიურ კონფლიქტებში გამოიყენეს.

ყარაბაღის ომის პირველ წლებში პოლკის Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენები ყარაბაღელი სომხების საცეცხლე წერტილების ჩაზნობის ამოცანებს ასრულებდნენ, ხოლო სატრანსპორტო შვეულმფრენებს კი საბჭოთა არმიისა და აზერბაიჯანის „ომონის“ მებრძოლები გადაჰყავდა.

ფრენები ყარაბაღელთა ძლიერი წინააღმდეგობის პირობებში სრულდებ-



ბოდა. ცნობილია, რომ 1991 წლის 20 ივლისს შაუმიანის რაიონის სოფელ ბუნჯულუკთან ხმელეთიდან გახსნილი ცეცხლით სამი Ми-24 დაზიანდა და ერთი მფრინავი დაიჭრა.

შვეულმფრენების საპასუხო ცეცხლი კი ბოვეიკებზე მეტ დანაკარგს მშვიდობიან მოსახლეობაში იწვევდა. 1991 წლის 18 სექტემბერს Ми-24-ებმა ასგერანის რაიონის სომხურ სოფლებთან ნორაგიუპთან, მეჰთიშენთან და ბერკაძორთან განლაგებულ საცეცხლე წერტილებს შეუტყეს, რასაც ერთ-ერთ სოფელში ქალის დაღუპვა და რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრების დაჭრა მოჰყვა.

ცხინვალის რეგიონში 1991-92 წლებში შეიარაღებული დაპირისპირების დროს პოლკის საწყობები ოსური ფორმირებებისათვის იარაღისა და საბრძოლო მასალების შევსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაიქცა.

დროდადრო პოლკის ტერიტორია ქართული ფორმირებების ცეცხლის ზონაში ხვდებოდა, რაც მფრინავთა გაღიზიანებისა და ოსური რაზმების მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

1992 წლის გაზაფხულზე პოლკში რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონდრატიევი იმყოფებოდა და საკითხის რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ რუცკოისთან შეთანხმების შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ პოლკის მეთაურს შვეულმფრენებით ქართული ფორმირებების პოზიციათა ცეცხლით დამუშავების უფლება მისცა.

ქართული გვარდიის, მილიციის, პოლიტიკური პარტიებისა თუ მოხა-



ლისეთა რაზმები საპაერო თავდაცვის საშუალებებით სუსტად ან საერთოდ დაუცველნი იყვნენ და შვეულმფრენების დაუსჯელ რეიდებს რუსი სამხედროები ეფექტიან მოქმედებად აფასებდნენ.

ერთ-ერთი თავდასხმის დროს, 1992 წლის 18 ივნისს, სამმა რუსულმა შვეულმფრენმა უმართავი რაკეტული ჭურვებით ქართველ გვარდიელთა პოზიციები დაამუშავა, რასაც 2 გვარდიელის დაჭრა და ერთის დაღუპვა მოჰყვა.

დაგომისის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების ერთი პუნქტი ცხინვალ-დან რუსეთის არმიის შვეულმფრენთა და მესანგრეთა პოლკების გაყვანას შეეხებოდა.

მალე 292-ე პოლკის შვეულმფრენთა არასრული ესკადრილია თელავის აეროდრომზე დაეშვა და 1992 წლის ივლისის მეორე ნახევარში ქართველმა

მფრინავებმა სამ-სამი Ми-24В და Ми-24П ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი მიიღეს.

ოლქის სარდლობის უშუალო დაქვემდებარებაში იყო თელავის 793-ე სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენთა პოლკი, რომელიც არსებობას 1952 წლიდან იწყებს. მაშინ პოლკის მფრინავები Ми-4-ებით დაფრინავდნენ.

1963 წელს პოლკმა სატრანსპორტო Ми-6-ები მიიღო, რომლებიც 1973 წლიდან ჯერ Ми-8Т-ებმა შეცვალა და 1986 წლიდან Ми-26 ტიპის შვეულმფრენები დაემატა.

პოლკს მდიდარი საბრძოლო ბიოგრაფია ჰქონდა. პირად შემადგენლობას დავალეების შესრულებამ მოუწია კორეაში, კონგოში, ინდონეზიაში, მაროკოში, ალჟირში, ლაოსში, სომალისა და სხვა ქვეყნებში.

1980-86 წლებში პოლკის ეს-

აეროდრომი	სამხედრო ნაწილის ნომერი	საფრენი აპარატის ტიპი	რაოდენობა	აეროდრომის ზომები, მეტრი
მერია	841-ე გამ.-ბომბდამშენთა პოლკი	МиГ- 23М	32	2340X40
სენაკი	176-ე გამანადგურებელთა პოლკი	МиГ-29	34	2400X40
ვაზიანი	982-ე გამანადგურებელთა პოლკი	МиГ-23МЛД	32	2500X60
	313-ე მზვერავთა პოლკი	Су-17Р	28	
შირაქი	168-ე ბომბდამშენთა პოლკი	Су-24М	30	2400X60
კობიტნარი	143-ე ბომბდამშენთა პოლკი	Су-24М	28	2500X80
ბომბორა	529-ე გამანადგურებელთა პოლკი	Су-27	34	2200X40
მარნეული	166-ე გამანადგურებელთა პოლკი	Су-15ТМ	29	2500X40
ცხინვალი	292-ე შვეულმფრენთა პოლკი	Ми-24	24	460X30
		Ми-8Т	20	
თელავი	793-ე შვეულმფრენთა პოლკი	Ми-26	26	420X60
		Ми-8Т	46	
ხონი	325-ე შვეულმფრენთა პოლკი	Ми-8Т	46	
		Ми-6	20	

საბრძოლო
Ми-24П



კადრილები მონაცვლეობით ავლანეთში იმყოფებოდნენ. ავლანეთში პოლკმა 19კაცი დაკარგა, მათ შორის იყო უფროსი ლეიტენანტი როლანდ დაუდაშვილი. ქართველი ოფიცერი ავლანეთში 1985 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა და ეკიპაჟში შტურმანის მოვალეობას ასრულებდა. 1985 წლის 19 იანვარს საბრძოლო დაუაღებების შესრულების დროს Ми-8 ჩამოვარდა და ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა.

ლაგის პოლკის შვეულმფრენებმა ჩერნობილში დანგრეული რეაქტორის თავზე 125 გაფრენა შეასრულეს. 1988 წლის დეკემბერში სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულებისათვის საკვების, მედიკამენტებისა თუ პირველადი აუცილებლობის ნივთების ტრანსპორტირებისას 793-ე პოლკის მძიმე სატრანსპორტო Ми-26-ები შეუცვლელი იყო. 1989-92 წლებში პოლკი ყარაბაღის გარშემო განვითარებული მოვლენებისა

და შემდეგ საომარ მოქმედებათა მონაწილე აღმოჩნდა. სატრანსპორტო Ми-26-ები სომხეთიდან ყარაბაღში ჰუმანიტარული სახის ტვირთთან ერთად იარაღსა და საბრძოლო მასალებს ეზიდებოდნენ. დაფრინავდნენ ნახჭევანში, სადაც რუსეთის არმიის 72-ე მოტომსროლელ დივიზიას აუცილებელი საშუალებებით ამარაგებდნენ. ფრენა ყარაბაღის თავზე სახიფათო და საშიში იყო. დაპირისპირებული მხარეები რუსულ შვეულმფრენებს ეჭვის თვალით უყურებდნენ და ჩამოგდებას არ ერიდებოდნენ.

1992 წლის 3 მარტს Ми-26 საბრძოლო Ми-24-ის თანხლებით ყარაბაღში სოფელ გიულისტანისკენ მიფრინავდა, როცა კამუფლირებულმა აზერბაიჯანულმა Ми-8-ამ შეუტია, მაგრამ თანხლებმა საბრძოლო Ми-24-მა შეტევის მოგერიება შეძლო. უკანა გზაზე თელავის პოლკის Ми-26-ს სოფელ სეიდილიართან მიწიდან გასროლილი ხელით გადასატანი საზენიტო რაკეტა მოხვდა და ეკიპაჟმა მძიმედ დაზიანებული შვეულმფრენის დასმა მაინც მოახერხა, მაგრამ



ყველა თაობის
საყვარელი გაზეთი
1934 წლიდან





სატრანსპორტო-საბრძოლო
მი-8



2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს პოლკის შვეულმფრენები დასავლეთ საქართველოში საოკუპაციო ჯარებს ჰაერიდან მხარდაჭერას უკეთებდნენ და იმავე სამსახურს ამჟერად უკვე გუდაუთის მე-7 რუსული სამხედრო ბაზის შემაღვწელობაში აგრძელებენ.

რუსული მონაცემებით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ამ მრავალფეროვანი საავიაციო ტექნიკიდან საქართველომ 29 თვითმფრინავი და 11 შვეულმფრენი მიიღო.

საქართველოსათვის გადაცემულ თვითმფრინავებში რუსები მარნეულის აეროდრომზე მიტოვებულ და მწყობრიდან გამოსულ 29 Су-15ТМ-ის ტიპის ავიაგამანადგურებელს გულისხმობენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით კი საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა არმიის საავიაციო ნაწილების განკარგულება-

ში მყოფი 318 თვითმფრინავიდან და შვეულმფრენიდან ჩვენ შეიარაღებულ ძალებს 1992-95 წლებში რუსებისაგან მხოლოდ 1 თვითმფრინავი და 12 შვეულმფრენი გადმოეცა.

სახმელეთო აეროდრომებთან ერთად მეორე მსოფლიო ომის დროს შავი ზღვის ფლოტი საზღვაო ავიაციის ბაზირებისათვის პალიასტომის ტბას იყენებდა, სადაც МБР-2 ტიპის საზღვაო ჰიდროთვითმფრინავების ესკადრილია იყო განლაგებული.

ომის შემდგომ პერიოდში პალიასტომზე ჰიდროთვითმფრინავები ერთხანს კიდევ რჩებოდნენ, ხოლო 1953 წლის ივლის-ნოემბერში ტბის ზედაპირზე გამოცდა გაიარა ქართველი ავიაციონსტრუქტორის, გიორგი ბერიაშვილის შექმნილმა Бе-6-მა.

თიემურ ჩაჩანიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მომხმე სატრანსპორტო
მი-26



ბორტზე მყოფი 50 კაციდან 12 დაიღუპა. თელავის პოლკის მეორე Ми-26 სომხების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე 12 მაისს ჩამოვარდა და ექვსკაციანი ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა.

1992 წელს თელავის პოლკის შვეულმფრენები ცხინვალის გავლით რუსეთში პრიფლესკის სამხედრო ოლქის კინელ-ჩესკარის აეროდრომზე გადაფრინდნენ.

თელავის შვეულმფრენთა პოლკის კავკასიაში ყოფნა ერთი საგანგებო შემთხვევით აღინიშნა. 1991 წლის 24 აპრილს ლეიტენანტი ირეკ გიმატოვი Ми-8Т ბორტი №09-ით ერევნიდან თურქეთში გადაფრინდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. თურქებმა შვეულმფრენი მალე დააბრუნეს, მაგრამ პილოტის გარეშე.

დასავლეთ საქართველოში ქალაქ წულუკიძესთან (ახლანდელი ხონი) აგებული აეროდრომი 1977 წელს 325-ე ცალკეულ სატრანსპორტო შვეულმფრენთა პოლკს გადაეცა.

პოლკი 31-ე საარმიო კორპუსის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და მთავარი დანიშნულება ქუთაისის 21-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის დესანტირება იყო.

პოლკის შემადგენლობაში 46 საბრძოლო-სატრანსპორტო Ми-8 და 20 სატრანსპორტო Ми-6 ტიპის შვეულმფრენი შედიოდა. ბევრი მფრინავი ავღანეთის ომში მონაწილეობდა და სათანადო გამოცდილებასაც ფლობდა.

1992 წლის სექტემბერში პოლკი რუსეთში ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის აეროდრომ ვგორლიკსკაიაზე გადავიდა, მაგრამ რამდენიმე შვეულმფრენი გუდაუთასთან ბომბორას აეროდრომზე დარჩა.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს შვეულმფრენები ტყვარჩელის მიმართულებით მშვიდობიანი მოსახლეობის დასახმარებელ ჰუმანიტარულ რეისებს ასრულებდნენ. იმავედროულად იმავე რეისებით აფხაზური ფორმირებები იარაღსა და საბრძოლო მასალებს იღებდნენ, მიმდინარეობდა ბოფი კოა ჯგუფებისა და სეპარატისტთა ლიდერების გადაყვანა.

ერთ-ერთი ასეთი რეისის დროს ქართულმა ფორმირებებმა 1992 წლის 14 დეკემბერს სოფელ ლათასთან 325-ე პოლკის Ми-8 ტიპის შვეულმფრენი ჩამოაგდეს. შვეულმფრენში ტყვარჩელიდან ევაკუირებული მშვიდობიანი მოქალაქეები აღმოჩნდნენ, ეკიპაჟის სამ წევრთან ერთდ 58 მგზავრი დაიღუპა.



დაკ ქართულ არმიას უბრუნდება

ავვისტოს ომის დროს რუსი აგრესორების შვეულმფრენების ჩამოგდების ან დაზიანების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ მოიპოვება.


არადა რუსული Ми-24-ები დაბალ სიმაღლეზე დაუბრკოლებლად დაფრინავდნენ და ნადირობდნენ ქართულ სამხედრო კოლონებზე.

დაბალ სიმაღლეზე (50-100 მ) მფრენი შვეულმფრენების ან თუნდაც თვითმფრინავების დასაზიანებლად მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების და მათ შორის „ბუკისა“ თუ „სპაიდერის“ გამოყენება ყოველთვის მოხერხებული არ არის, მით უმეტეს, მთაგორიან რელიეფზე, როდესაც შვეულმფრენები ხეობებს შორის დაფრინავენ.

ავვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე ამ სტატიის ავტორი ცდილობდა თავდაცვის სამინისტროს ყურადღება გაემახვილებინა საჰაერო თავდაცვის ერთ-ერთ კომპონენტზე — მსხვილკალიბრიან საზენიტო ტყვიამფრეველებზე, კერძოდ კი 12,7 მმ კალიბრიან დაკ-ზე (ან მის მოდერნიზებულ ვარიანტზე დაკმ).

მაშინ ეს წინადადება ზოგიერთებმა სასაცილოდ აიგდეს, მაგრამ ეს, ალბათ, მათი უცოდინარობით უფრო იყო განპირობებული, რაც ავვისტოს ომმაც დაადასტურა.

საბრძოლო მოქმედებებში ცხინვალში, მის შემოგარენში, ასევე ზემო ნიქოს-



მოკვლეული, გაგრაგ ჯერ კიდევ საჭირო მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრეველი უზაზიანი იქნება 1,5 კმ სიმაღლეზე გურკანი თვითმფრინავებისა და განსაკუთრებით ვეულფრენების დასაზიანებლად...

თან, ერგნეთსა და სარაბუკთან ოთხ ათეულამდე ქართული T-72 ტიპის ტანკი მონაწილეობდა. თითოეული მათგანის კოშკურაზე УТес-ის ტიპის 12,7 მმ კალიბრის საზენიტო ტყვიამფრეველი იყო დამონტაჟებული. მიუხედავად ამისა,

საზენიტო ტყვიამფრეველებით თითქმის არც ერთ ეკიპაჟს არ უსარგებლია, ზოგიერთმა კი პირველივე საჰაერო დაბომბვებისთანავე აბსოლუტურად გამართული ტანკი მიატოვა...


არადა, 12,7 მმ კალიბრის საზენიტო

რუსული დაკმ-ი ამერიკულ „ჰამერზე“



ДШК
ბორბლებიან
დაზგაზე სახმელეთო
სამიზნეების
გასანადგურებლად

67/18



ჩვენი ღოსია: ДШК-დან ნასროლი ჩვეულებრივი ჯავშანგამტანი ტყვია 5-32 100 მ-ში 20 მმ-იან სისქის ჯავშანს ხვრეტს, 500 მეტრში კი 15 მმ-იანს. ჯავშანგამტანი — ცეცხლგამჩენი ტყვია 5С (რომელიც ვოლფრამის კარბიდისგანაა დამზადებული) 750 მეტრში 20 მმ-იან ჯავშანს ხვრეტს მცირე კუთხით მოხვედრის შემთხვევაშიც კი. ადვილად წარმოსადგენია, რას უზამს ДШК-დან გაშვებული ჯერი Ми-8 ტიპის შვეულმფრენს, შეჯავშნულ Ми-24-საც ჩამოგდება არ ასცდება, თუკი ეს ჯავშანგამტანი ტყვიები რედუქტორში, მთავარ ხრახნში, ლილვში თუ კუდის ხრახნში მოხვდება. რამდენიმე ჯავშანგამტანი ტყვიის მოხვედრას ვერც Ми-24-ის ჯავშნიანი საქარე მინა უძლებს...

შედარებისთვის მარცხნიდან:
 5.45X39 (AK-74), 7.62X39 (AKM),
 7.62X54R (СВД/ПКМ), 12.7X108 (ДШК),



საზენიტო НСВТ-ები
ერთეულ Т-72-ების
კოშკურებზე



ტყვიამფრევეები ДШК და НСВ-12,7 სწორედ შედარებით დაბალ სიმაღლეზე — 1500 მეტრამდე მფრენი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების დასაზიანებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.



ДШКМ-ი
უნივერსალურ
დაზგაზე

ჩვენი ღოსია: ДШК საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში ჯერ კიდევ 1938 წელს მიიღო. იგი განკუთვნილი იყო იმდროინდელი გამანადგურებლისა და ბომბდამშენების ჩამოსაგდებად, მაგრამ დღევანდელი შვეულმფრენები მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ბომბდამშენებზე უფრო ნელა — 250-300 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავენ და ამიტომაც მათი დაზიანება გაწვრთნილ მეზენიტებს არ უნდა გაუჭირდეთ.

1946 წელს მოდერნიზებულ ტყვიამფრევეს ДШКМ ეწოდა. იგი 34 კგ-ს იწონის. თვლებიანი დაზვის მასა 157 კგ-ია, თუმცა შეიძლება მისი დაყენება კოლესნიკოვის სამფეხა უნივერსალურ დაზგაზე, რომელიც უზრუნველყოფს სროლას როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების მიმართულებით.

ДШКМ-ის სიგრძე 1625 მმ-ია, ლულის სიგრძე კი 1070 მმ. საჯახნე ლენტში 12,7X108 მმ ტიპის 50 ვაზნა ეტევა. სროლის ტემპი წუთში 600 ვასროლას აღწევს. საჰაერო სამიზნეების დაზიანება 1500 მ სიმაღლეზე შეიძლება, ხოლო სახმელეთო სამიზნეების კი უფრო შორ მანძილზე.



მსხვილკალიბრიანი
НСВ-12,7 Утес-ი
საზენიტო დაზგაზე

ჩვენი დროში: НСВ-12,7
Утес-ი ДШК-ის თანამედროვე
გაგრძელებაა და ანალოგიურ
ვაზნებზეა გათვლილი. თუმცა მხ-
ლოდ 25 კგ-ს იწონის. უნიფერსა-
ლური დაზგის მასა 41 კგ-ია, ტყვი-
ამფრქვევის სიგრძე — 1560 მმ,
ლულისა კი 1346 მმ. სროლის ტემპი
წუთში 700-800 გასროლაა.

ომის მწარე გამოცდილებიდან გამომ-
დინარე, მგონი, ქართული არმიის მეთაუ-
რობამ გამოიტანა დასკვნა და ДШК-ები
და Утес-ები შეიარაღებაში დააბრუნა.
თითოეული ქვეითი ოცეულის არსე-
ნალში ერთი ДШК-აც ან Утес-აც
მძლავრ საზენიტო საშუალებად იქცე-
ვა, რომელთა გამოყენება მოწინააღმდე-
გის ცოცხალი ძალისა და მსუბუქად შე-
ჯავშნული ტექნიკის გასანადგურებლად
დაც შეიძლება.
3У-23-2 ტიპის 23 მმ-იანი ავტომა-
ტური საზენიტო ქვემებისგან განსხვავე-



Утес-ი
სამფეხა დაზგაზე
და ლამის ხედვის სამიზნით

ბით, მსხვილკალიბრიანი საზენიტო
ტყვიამფრქვევები ბევრად უფრო მცირე
მასით გამოირჩევა და მათი გამოყენება
თავდაცვაში მყოფ მსუბუქ ქვეით
ოცეულს არ უნდა გაუჭირდეს.
ერთი შეხედვით მოძველებული ავ-
ტომატური ДШК-ს ეფექტიანობა ჯერ
ავლანეთის, შემდეგ კი ჩეჩნეთის ომმა
კარგად დაამტკიცა. მანამდე კი იმავე
ДШК-ებს ეფექტიანად იყენებდნენ
ვიეტნამელი მეზენიტები ამერიკული
„იროკუზების“ გასანადგურებლად.
სტატისტიკის მიხედვით, ავლანეთის
ომის პირველ წლებში (1980-82 წწ.) მო-
ჯაპელებმა ДШК-ები საზენიტო ცეცხ-
ლით ჩამოაგდეს 12 შეჯავშნული Ми-
24 (სულ ამ ომში საბჭოთა კავშირმა
სხვადასხვა ტიპის 333 შეუუღმფრენი
დაკარგა).
ავლანელების ДШК-ების ცეცხლს

ვერც საბჭოთა ზებგერთი საბრძოლო
თვითმფრინავები გადაურჩა. მთის
კალთებზე მიძალული ДШК-ების გად-
ამლობმა საზენიტო ცეცხლმა 7 ზებ-
გერთი გამანადგურებელი ბომბდამშ-
ენი Су-17М3 იმსხვერპლა.

ავლანელების მსხვილკალიბრიანი
საზენიტო ტყვიამფრქვევების სამიზნე
ხშირად ხდებოდა საბჭოთა შეჯავშნუ-
ლი Су-25 ტიპის მოიერიშეები.

თუკი ვიეტნამელ და ავლანელ პარ-
ტიზანებს შეეძლოთ ДШК-ებით დაე-
ზიანებინათ და ჩამოეგდოთ მოწინააღმ-
დეგის შეუუღმფრენები და თვითმფრი-
ნავები, რატომ ვერ უნდა შეძლონ ეს
კონტრაქტით მომსახურე და მომზადე-
ბულმა ქართველმა მებრძოლებმა?! მით
უმეტეს, რომ რუსეთი ისევე როგორც
ავლანეთის ომში, დღესაც სწორედ იმავე
Ми-24-ებითა და Су-25-ებით გვემუ-
ქრება.



ДШК-ას საზენიტო ცეცხლით
ჩამოგდებული რუსული Ми-24




ՀԱՅԿՏՆՆԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

1-30

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ


ԴՇԿՄ

ISSN 1987 - 5061



9 771987 506107

МАКС-ის პროექტის წარმატების შემთხვევაში, მისი გამოყენება არა მხოლოდ ორბიტაზე ტვირთის გასატანად შეიძლებოდა



ანალოგმა კიდევ ხუთი შედეგანი ავტონომიური ფრენა შეასრულა, მაგრამ უკანასკნელი ფრენისას, 1978 წლის 13 სექტემბერს, დაჯდომისას მცირე ავარიამ აპარატის გამოცდას წერტილი დაუსვა. ერთ თვეში კი არანაკლებ 75 მილიონი რუბლის დახარჯვის შემდეგ მრავალჯერადი გამოყენების საჰაერო-ორბიტული პროექტი **Спираль-ი** საბოლოოდ დაიხურა.

რაც შეეხება უპილოტო **БОР-ე**სს, შემდგომში შექმნილი **БОР-4**, **БОР-5** და **БОР-6** მრავალჯერადი გამოყენების ორბიტული ხომალდ **Буран-ის** პროგრამის ფარგლებში შეიქმნა და მათზე ამ უკანასკნელისთვის განკუთვნილი თბოდაცვის ფილები იცდებოდა.

Спираль-ის პროექტის დახურვის შემდეგ, 80-იანი წლების დასაწყისში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება **Молния-მ** მრავალჯერადი გამოყენების ახალ საავიაციო-კოსმოსურ სისტემაზე დაიწყო მუშაობა. ორსაფეხურიანი კომპლექსი, რომელსაც **МАКС (9Ф-10485)** ეწოდა, **Спираль-ზე** მუშაობისას მიღებული ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით იქმნებოდა, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით შედარებით მოკრძალებული მასშტაბებით გამოირჩეოდა. ჩანაფიქრის თანახმად, კომპლექსში შემავალ როგორც პილოტირებად, ასევე უპილოტო ორბიტულ ხომალდს, სტარტი თვითმფრინავ გიგანტიდან **АН-225 Мрия-დან** უნდა აედო. ორბიტული ხომალდი მატარებელ-თვითმფრინავზე რაკეტული ძრავებისთვის განკუთვნილი კრეოგენული საწვავის ავზით მაგრდებოდა და თვითმფრინავის განსაზღვრულ სიმაღლეზე ასვლის შემდეგ სტარტს მასთან ერთად იღებდა. წინასწარი გათვლებით, **МАКС-ის** სასტარტო მასა 620ტ-ს შეადგენდა, საიდანაც 275ტ მეორე საფეხურზე მოდიოდა, თავად ორბიტული ხომალდი კი 26.9ტ-ს იწონიდა. მრავალჯერადი გამოყენების ორბიტულ ხომალდ

Буран-ისგან განსხვავებით, **МАКС-ს** სტარტისთვის კოსმოდრომი არ ესაჭიროება და ერთჯერად რაკეტ-მატარებლებთან შედარებით გაცილებით იაფია — 1კგ დაახლოებით ათასი დოლარი 12-15 ათასის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ორბიტაზე ტვირთის გატანის გარდა (400კმ-ის სიმაღლეზე 6.9ტ, 800კმ-ზე — 4.3ტ) მისი გამოყენება სამშველო სამუშაოებსა და კოსმოსური ტურიზმის სფეროებში შეიძლება.

1988 წლისთვის პროექტის ფარგლებში საწვავის ავზისა და ორბიტული ხომალდების სრულმასშტაბიანი მაკეტები და მუშანახაზები გაკეთდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ **МАКС-თან** დაკავშირებულ ყველა გეგმას ბოლო მოუღო. შემდგომში **Молния-მ** უკრაინაში დარჩენილი საწვავის ავზის მაკეტი თავისი სახსრებით მოსკოვში ჩამოიტანა. მაგრამ მალე იმ მიზეზით, რომ მაკეტი ფუკოვსკში საცდელ-საფრენოსნო აეროდრომზე დიდ ადგილს იკავებდა, დაჭრეს და 12ტ სუფთა ალუმინი (მაკეტი სამტარო ავზზე მძიმე იყო) ჯართად გაყიდეს. ერთხანს **Молния** თავისი სახსრებით ცდილობდა პროგრამის გაგრძელებას, მაგრამ უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუფუჭების შემდეგ,

პროექტი დაიხურა. ამას ისიც დაემატა, რომ მატარებელი-თვითმფრინავი **АН-225** კერძო კომპანიის საკუთრება გახდა.

საბოლოოდ, ნაკლებმასშტაბური პროექტების მიუხედავად, საჰაერო სტარტის მემკვიდრით ორბიტაზე კოსმოსური ხომალდი პირველად სწორედ აშშ-მა გაიყვანა. 80-იანი წლების ბოლოს ამერიკულმა კომპანია **Orbital Science Corporation-მა** ორბიტაზე მცირე წონის თანამგზავრების გასაყვანად მყარსაწვავიანი ჰიპერბგერიით რაკეტ-მატარებელ **Pegasus-ის** გამოყენება გადაწყვიტა. ჩანაფიქრის თანახმად, 10-12კმ სიმაღლეზე რაკეტა-მატარებელ თვითმფრინავს უნდა აეყვანა, სადაც თვითმფრინავისგან განცალკევების შემდეგ სამსაფეხურიანი რაკეტა დამოუკიდებლად განაგრძობდა გზას. **Pegasus-ის** პირველი სტარტი 1990 წლის 5 აპრილს შედგა **NASA-ს** კუთვნილი სტრატეგიული ბომბდამშენ **B-52-ის** ფრთაქვეშა პილონიდან (სწორედ ამ თვითმფრინავიდან იღებდნენ სტარტს ექსპერიმენტული **X-15-ები**). 1994 წლიდან **Orbital Science Corporation-მა** ექსპერიმენტებისთვის ავიაკომპანია **Air Canada-სგან** სამგზავრო თვითმფრინავი **L-1011** შეიძინა. თვით-

გერმანული პარტნიორის მიუხედავად, რუსეთმა ვერ შეძლო კომპლექს Бурлак-ის ბოლომდე მიყვანა

